გამოცდები 2015 | გამოსაშვები გამოცდების დავალებათა ნიმუშები

NAEC.ge

მარტი 2015

ქართული საბავშვო მწერლობის შესახებ... გვ. 11

კრწანისის ბრძოლაში დამარცხების მიზეზები გვ. 16

მივიწყებული საღარბაზოები გვ. 22

„სიყვარულის“ შემქმნელისაგან... გვ. 40

სდასუ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

მედიის სკოლა

მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა

ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლა

სამართლის სკოლა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

ევროპაში ჰარმონიზებული ფასიანი

საშსაფეხურიანი სწავლება ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, რეზიდენტურა, დოქტორანტურა

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პირველ და მეორე პრიორიტეტად არჩევის შემთხვევაში სწავლის საფასურზე სტუდენტის ექნება 10%-იანი შეღავათი. წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ ფასიან აუდიტორიებსა და ლია მეორის სანებლობის სტიპენდია (120 და 100 ლარის ოდენობით). ოჯახის წევრების ერთდროულად სწავლის შემთხვევაში ითითოეული ასარჩევია 10% - იანი შეღავათი.

გაეცანით უნივერსიტეტის პროფესურას, საგანმანათლებლო პროგრამებს, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ გადაწყვეტილება

www.sdasu.edu.ge
ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 25

სარჩევი

რუბრიკა	გვერდი	სათაური
რედაქტორის სვეტი	4	
გამოცდები 2015	6	რეგისტრაცია დასრულდა
ჩვენი ისტორია	8	ვახტანგ VI
ზოგადი განათლების პრობლემები	11	ქართული საბავშვო მწერლობის შესახებ...
ზოგადი განათლების პრობლემები	16	კრწანისის ბრძოლაში დამარცხების მიზეზები
	20	სდასუ
ფოტორეპორტაჟი	22	მივიწყებული სადარბაზოები
საავტორო სვეტი	26	აკაკის „განთიადის“ ისტორიისათვის
ვიდეოლექცია	30	გარემო და მისი დაცვა უარყოფითი ანთროპოგენული ფაქტორებისაგან
	38	ჯიდიესი - ახალი თაობის ტელევიზია დიდი გეგმებით!
ნომრს სტუმარი	40	„სიყვარულის“ შემქმნელისაგან...
პუბლიცისტიკა	44	ჩვენი ხალხი და განათლება
კვლევა	46	მოსწავლეთა წიგნიერებაზე ზემოქმედი ფაქტორები
ლიტერატურული გვერდი	56	ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში გამარჯვებული ნაწარმოებები
ტესტები	58	გამოსაშვები გამოცდების დავალებათა ნიმუშები

რედაქტორის სვეტი

მოვიდა გაზაფხული და „ცხელი დღეებიც“ დაგვიდგა!

და არა მხოლოდ თქვენ, ძვირფასო უფროსკლასელებო, აბიტურიენტებო და მაგისტრანტებო, არამედ ჩვენც, „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ თანამშრომლებს, რომლებიც აგერ უკვე 10 წელია მხოლოდ იმაზე ვზრუნავთ, რომ გამოცდებზე საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა შეძლოთ, არავითარი დისკომფორტი ანდა მცირე უხერხულობაც კი არ შეგექმნათ, აისრულოთ თქვენი ოცნებები და მხოლოდ მართლაც ღირსეულებმა მიაღწიოთ სანუკვარ მიზნებს.

ვფიქრობ, ჟურნალ „NAEC.ge“-ს მე-5 და მე-6 ნომრებში დაბეჭდილი ტესტები გარკვეულ დახმარებას გაგიწევთ მე-11 და მე-12 კლასების მოსწავლეებს საატესტატო გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში, ვინაიდან ამ ჟურნალებში ყველა საგამოცდო საგნის დავალებათა ტიპურ ნიმუშებს იხილავთ. ამიტომ გირჩევთ, შეასრულოთ ეს დავალებები და მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინოთ გამოსაშვები გამოცდების წინ.

ჟურნალის რედაქციამ არც ჩვენი აბიტურიენტები დაივიწყა და ამ ნომერში გთავაზობთ თეიკო ანჯაფარიძის მასალას „გამოცდები 2015“, რომელშიც აბიტურიენტთა რეგისტრაციის პირველადი სტატისტიკური შედეგებისა და გრანტების განაწილების წესის შესახებაა საუბარი.

თუმცა, ცხადია, ცხოვრება მხოლოდ გამოცდებით არ შემოიფარგლება და მითუმეტეს თქვენთვის, ასეთი აქტიური და კრეატიული თაობისათვის! ამიტომ ჟურნალ „NAEC.ge“-ს რედაქცია გთავაზობთ ფოტოკონკურსში მონაწილეობის მიღებასა და საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას. გთხოვთ იაქტიუროთ და გამოგვიგზავნოთ თქვენი ნამუშევრები, რომელთაგანაც საუკეთესოებს პერიოდულად დავბეჭდავთ ხოლმე ჩვენი ჟურნალის მომავალ ნომრებში. კონკურსის პირობებს ჟურნალის გარეკანის ბოლო გვერდზე გაეცნობით.

გისურვებთ წარმატებებს, თქვენი მიზნებისა და ოცნებების ასრულებას და, რაც მთავარია, დიდ სიყვარულს გაზაფხულის ამ უმშვენიერეს დღეებში!

ALMA MATER

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

თანამედროვე განათლება თანამედროვე გარემოში

გახდი გამორჩეული სტუდენტი, აირჩიე 033 პირველ პრიორიტეტად და მიიღე 15% ფასდაკლება.

აბიტურიენტები, რომლებიც წარმოადგენენ მოსაწვევს 1+1 (ჟურნალი "უნივერსი"-ს გაზაფხულის სეზონის №1 გამოცემის მე-3 გვერდი) სწავლის ღირებულება შეუმცირდებათ 5%-ით

აბიტურიენტები, რომლებიც წარმოადგენენ "საგზურს ალმა მატერის სამყაროში" (საგზურის მოპოვება შეგიძლიათ 27-28 თებერვალს განათლების საერთაშორისო გამოფენაზე) მიიღებენ 5-დან 100 პროცენტამდე ფასდაკლებას სწავლების საზღაურზე (ნომინაციის შესაბამისად).

პროგრამები

- საჯარო
- საჯარო მართვა და პოლიტიკა
- ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი
- ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები
- ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი
- ტურიზმი
- ქართულ-ბრიტანულ-უნგრული ერთობლივი პროგრამა
- ქართულ-გერმანულ ენოვანი პროგრამა
- ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
- ფსიქოლოგია
- სოციოლოგია

033

- ქართულ-ინგლისურენოვანი და ქართული-გერმანულენოვანი გაცვლითი პროგრამები და ორმაგი დიპლომი.
- ტელე-რადიო რეპორტიორის პროფესიული პროგრამა
- პრიმინალისტიკის პროფესიული პროგრამა

LIKE

იმ შემთხვევაში, თუ ერთი ოჯახიდან ორი ან მეტი წარმომადგენელი ისწავლის გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში, თითოეულის სწავლის საზღაური შემცირდება 10 %-ით

თქვენი ნარმატების რიცხვი ჩვენი დეევიზია თითოეული სტუდენტისგან შესაძლებლობათა მაქსიმუმი – თითოეულ სტუდენტს ხრუნვისა და მხარდაჭერის მაქსიმუმი

Grigol Robakidze University-Alma Mater
www.gruni.edu.ge \ info@gruni.edu.ge \ Tel:2384406

სწავლის საზღაურის ინდივიდუალური გადანაწილების შესაძლებლობა

სასწავლო მასალებით უზრუნველყოფა

რეგისტრაცია დასრულდა...

ავტორი: თეიკო ანჯაფარიძე

აბიტურიენტთა უმრავლესობამ არჩევით საგნად გეოგრაფია მონიშნა.

დასრულდა რეგისტრაცია ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის. წელს სტუდენტობის სურვილი 40 000-ზე მეტმა აბიტურიენტმა გამოთქვა, გრანტის გასაუმჯობესებლად 4 000-ზე მეტი სტუდენტი იბრძოლებს, მაგისტრობის სურვილი კი 12 500-ზე მეტ კანდიდატს აქვს.

აბიტურიენტემბა რეგისტრაციის პირველ ეტაპზე უნდა აირჩიონ ჩასაბარებელი გამოცდების ჩამონათვალი, მიუთითონ ქალაქი, სადაც გამოცდების ჩაბარება სურთ და ენა, რომელზეც გამოცდებს ჩააბარებენ – **ეს ინფორმაცია რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ ვეღარ შეიცვლება!**

რეგისტრაციის პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არჩევითი საგნის მონიშვნაა. წლების განმავლობაში აბიტურიენტების უმეტესობა ისტორიას აბარებდა, 2014 წელს კი უმრავლესობამ საკუთარი არჩევანი გეოგრაფიაზე შეაჩერა. სტატისტიკა წლიდან წლამდე იცვლება, მითუმეტეს, რომ წელს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა აბიტურიენტებს კიდევ ერთი სიახლე შესთავაზა – არჩევითი საგნების ჩამონათვალს სამოქალაქო განათლებაც დაემატა.

აქვე შეგახსენებთ, რომ უკვე მეორე წელია სახელმწიფო სასწავლო გრანტისათვის გათვალისწინებული თანხები განაწილდება არჩევითი საგნების მიხედვით.

თანხები ორ თანაბარ ნაწილად იყოფა – თანხის ერთი ნახევარი განაწილდება არჩევითი საგნების შემდეგ ჯგუფზე:

- ლიტერატურა;
- ისტორია;
- გეოგრაფია;
- ხელოვნება;
- სამოქალაქო განათლება.

ამ ჯგუფისათვის გამოყოფილი თანხის 5% თანაბრად გადანაწილდება შესაბამისი ჯგუფის არჩევით საგნებზე, ხოლო 95% გადანაწილდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამავე ჯგუფის ყოველი არჩევითი საგნისათვის მოთხოვნილი ადგილების რაოდენობის პროპორციულად.

თანხის მეორე ნახევარი კი არჩევითი საგნების შემდეგ ჯგუფზე გადანაწილდება:

- მათემატიკა;
- ქიმია;
- ფიზიკა;
- ბიოლოგია.



ამ შემთხვევაში, ჯგუფისათვის გამოყოფილი თანხის 4% თანაბრად გადანაწილდება შესაბამისი ჯგუფის არჩევით საგნებზე, ხოლო 96% გადანაწილდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამავე ჯგუფის ყოველი არჩევითი საგნისათვის მოთხოვნილი ადგილების რაოდენობის პროპორციულად.

განაწილების შედეგად მიღებული თანხების 25% დაეთმობა სრულ (100%-იან) საგრანტო დაფინანსებას, 25% – 70%-იან საგრანტო დაფინანსებას, ხოლო დარჩენილი თანხა – 50%-იან საგრანტო დაფინანსებას.

აბიტურიენტების არჩევანთა მიხედვით კი 2015 წლის სტატისტიკა ასე გამოიყურება:

ბიოლოგია – 3 500-ზე მეტი
გეოგრაფია – 12 700-ზე მეტი
ისტორია – 12 500-ზე მეტი
ლიტერატურა – 5 900-ზე მეტი
მათემატიკა – 10 200-ზე მეტი
სამოქალაქო განათლება – 550-ზე მეტი
ფიზიკა – 500-ზე მეტი
ქიმია – 1 500-ზე მეტი
ხელოვნება – 200-ზე მეტი

კიდევ ერთი და უმნიშვნელოვანესი არჩევანი აბიტურიენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის არჩევისას უნდა გააკეთონ. სპეციალისტების რჩევით, აპლიკანტმა საკუთარი სურვილისა და გამოცდებზე მიღებული შედეგის მიხედვით უნდა იხელმძღვანელოს.

P. S. ყველაზე მთვარი კი ამ ყველაფერში მაინც არჩევანის თავისუფლება და თავისუფალი არჩევანის წყალობით მიღებული სიამოვნებისა და პირველი გამარჯვების გამაბრუებელი შეგრძნებაა.
წარმატებას გისურვებთ!

ვახტანგ VI

ავტორი: მიხეილ ბახტაძე

XVIII საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში უმძიმესი მდგომარეობა იყო. ერთ დროს ერთიანი ქვეყანა სამეფო-სამთავროებად იყო დაყოფილი. შემცირებული იყო მოსახლეობის რაოდენობა. ოსმალებს დაპყრობილი ჰქონდათ მთელი მესხეთი. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მომთაბარეთა სამსაუკუნოვანმა შემოსევებმა თითქმის მოსპო ქართული ეკონომიკის საფუძველი – სოფლის მეურნეობა. ქალაქების განადგურებამ დასცა ვაჭრობა, ჩაკვდა ხელოსნობა.

ასეთ რთულ ვითარებაში 1703 წელს ქართლის ჯანიშინად (მმართველად) დანიშნულმა ვახტანგმა თავიდანვე ენერგიული ღონისძიებები გაატარა სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით. მან ქვეყნის მართვას ერეკლე I-ის მიერ დაწინაურებული მოხელეები ჩამოაშორა და მათ ნაცვლად თავისი ერთგული პირები დანიშნა. ვახტანგი შესანიშნავად ხვდებოდა, რომ ნებისმიერი ღონისძიების გატარება გაჭირდებოდა თუ ეკლესიის მხრიდან არ ექნებოდა მხარდაჭერა. 1705 წელს საეკლესიო კრებაზე კათოლიკოს-პატრიარქად ვახტანგის ძმა, დომენტი, აირჩიეს.

სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მიზნით შეიქმნა „მცველთა ჯარი“, რომელიც თავადიშვილების, აზნაურებისა და მსახურებისაგან კომპლექტდებოდა. აღსანიშნავია, რომ ისინი ხელფასს სახელმწიფოსაგან იღებდნენ. ქართლის სამეფოს ჩრდილოეთის საზღვრის დაცვის მიზნით ვახტანგმა ჯერ დვალეთში, ხოლო შემდეგ – ოსეთში ილაშქრა. მეფემ ქსნისა და არაგვის ერისთავებიც დაიმორჩილა.

ვახტანგ VI

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ვახტანგმა საკანონმდებლო სფეროში. მისი ბრძანებით საგანგებოდ შეაგროვეს სხვადასხვა სახის სასამართლო გადაწყვეტილებები, სიგელები, საბუთები და მათი გათვალისწინებით სახელმწიფო სამართლის ძეგლი „დასტურლამალი“ შეიქმნა. მასში დადგენილი იყო მოხელეების უფლება-მოვალეობანი, მიწათმფლობელობის ფორმები, გადასახადების რაოდენობა და სხვა მრავალი პრაქტიკული საკითხი. ვახტანგის ბრძანებითვე შედგა კანონთა კრებული – „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“, რომელიც მთელს საქართველოში მოქმედებდა.

1709 წელს ვახტანგმა თბილისში სტამბა დააარსა. სტამბის დაარსების საქმეში ვახტანგს ანთიმოზ ივერიელმა გაუწია დიდი დახმარება. მან

საქართველოში თავისი მოსწავლე მიხაი იშტვანოვიჩი გამოაგზავნა. თბილისის სტამბაში ვახტანგმა პირველად „სახარება“ დაბეჭდა. სამი წლის მანძილზე თბილისში 14 წიგნი დაისტამბა. უმეტესობა სასულიერო შინაარსის წიგნი იყო: „სახარება“, „დავითნი“, „სამოციქულო“ და სხვ. დაიბეჭდა ორი სახელმძღვანელო, ერთს ეწოდებოდა „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“, ხოლო 1712 წელს დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გამოიცა ვახტანგის რედაქციითა და კომენტარებით.

ვახტანგის ბრძანებით შეიქმნა „სწავლულ კაცთა კომისია“ ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით, რომელმაც რედაქტირება გაუკეთა „ქართლის ცხოვრებას“ და დაიწერა XIV-XVII საუკუნეების ისტორია.

ვახტანგის წერილი საფრანგეთის ელჩს





ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი ქიმიის სახელმძღვანელოს ერთი გვერდი

ვახტანგი თავადაც წერდა ლექსებს. თარგმნა იგავ-არაკთა კრებული „ქილილა და დამანა“, ასტრონომიული ხასიათის ნაშრომი „ვარსკვლავთა კატალოგი“ და სხვ. დაწერა ქიმიის სახელმძღვანელო „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა“.

მის დროს განაახლეს თბილისის სიონის მოპირკეთება (პერანგი), შეაკეთეს: ურბნისისა და სადგერის ტაძრები, ნარიყალას, ქსნისა და სამშვილდის ციხეები.

1711 წელს ავღანეთში, ქალაქ ყანდაარის იერიშის დროს ბევრი ქართველი დაიღუპა, მათ შორის ქართლის მეფე ქაიხოსროც. შაჰმა თავისთან ვახტანგი დაიბარა. 1712 წელს ვახტანგი ირანში გაემგზავრა. მას თან სულხან-საბა ორბელიანიც ახლდა. ქართლის მეფედ დანიშვნისათვის მთავარი პირობა გამაჰმადიანება იყო. ვახტანგმა ისლამის მიღებაზე უარი განაცხადა და შაჰმა იგი დაატყვევა. ქართველი პოლიტიკოსები შეეცადნენ დახმარება დასავლეთში ეპოვათ და ამ მისიით ევროპაში სულხან-საბა ორბელიანი გაემგზავრა, თუმცა ევროპიდან დახმარების მიღება შეუძლებელი აღმოჩნდა.



ვახტანგ მეფის დროშა

ქართლში შექმნილმა მძიმე ვითარებამ ვახტანგი აიძულა 1716 წელს მოჩვენებით მაჰმადიანობა მიეღო. შაჰმა იგი ქართლის მეფედ დაამტკიცა, მაგრამ ირანში დატოვა. ქართლის გამგებლად ვახტანგ VI-ის ძე, ბაქარი დაინიშნა.

ვახტანგ VI ქართლში მხოლოდ 1719 წელს დაბრუნდა. ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში დახვდა. განსაკუთრებულ ზიანს ქართლსა და კახეთს დაღესტნელთა თავდასხმები აყენებდა. ვახტანგ VI და კახეთის მეფე დავით II ერთმანეთს შეხვდნენ და დაღესტნელთა წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის გეგმა შეიმუშავეს. ვახტანგმა კახეთში ქართლის ჯარიც გაგზავნა, მაგრამ დავითმა აქტიური სამხედრო მოქმედებების დაწყება ვერ გაბედა.

ჯერ კიდევ ირანში ყოფნის დროს ვახტანგ VI-სთან კავშირი დაამყარა რუსეთის მეფის, პეტრე I-ის ელჩმა არტემ ვოლინსკიმ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვახტანგ VI-სა და პეტრე I-ს შორის ირანის წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობის შესახებ სიტყვიერი შეთანხმება შედგა. 1722 წლის ზაფხულში პეტრემ კასპიის ზღვისპირეთში ლაშქრობა დაიწყო და ამის შესახებ ვახტანგ VI-ს აცნობა. ქართლის მეფემ ჯარი შეკრიბა და განჯასთან დაბანაკდა, სადაც ის რუსეთის იმპერატორს უნდა დალოდებოდა. რუსებმა დაიკავეს დარუბანდი, მაგრამ შემდგომ ლაშქრობა აღარ გააგრძელეს. ვახტანგი კი განჯაში იდგა და პეტრეს ელოდა. ვახტანგ VI-მ ვერ გაბედა მარტო დაეწყო საომარი მოქმედებები. პეტრე I-ის იმედად მყოფი ვახტანგ VI მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ირანის ახალმა შაჰმა თამაზმა ქართლის მეფობა ერკლე I-ის ძეს, კონსტანტინეს გადასცა. 1723 წელს კონსტანტინემ ლეკების დახმარებით თბილისი აიღო. მალე ოსმალების ლაშქრობა დაიწყო და მათ მთელი ქართლი დაიკავეს. დაიწყო „ოსმალობა“.

ასეთ ვითარებაში, 1724 წელს ვახტანგ VI 1200 კაცთან ერთად რუსეთში წავიდა. ვახტანგის მიზანი პეტრე I-ის ნახვა და რუსეთის იმპერატორის სამომავლო გეგმების გარკვევა იყო. ქართლის მეფე გზაში რამდენჯერმე შეაყოვნეს და როდესაც ის პეტერბურგში ჩავიდა, პეტრე I უკვე გარდაცვლილი იყო. ვახტანგი და მისი ამალა რუსეთში დარჩა. ივანე ჯავახიშვილი ყოველივე ამის შესახებ წერდა, „ასე უკუღმართად დამთავრდა საქართველოსთვის რუსთა ხელმწიფის მიერ აღთქმული აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველობა. ჯერ თავის სასარგებლოდ ქართველთა ომში ჩათრევით და შემდეგ მტრის წინაშე უმწეოდ მიტოვებითა და მტრისთვის გაცემით, პეტრე დიდმა ისეთი უმადურობაც კი გამოიჩინა, რომ მის მიერვე მოტყუებული და გაუბედურებული მეფე ვახტანგისთვის შესაფერისი თავშესაფრისა და საცხოვრებელი ადგილის მიჩენა არ ჰნებავდა“.

ქართლის თავადებმა რამდენჯერმე სთხოვეს ვახტანგს ქართლში დაბრუნებულიყო, მაგრამ ვახტანგი არ ბრუნდებოდა. ქართლის მეფე ვახტანგ VI 1737 წლის 26 მარტს ასტრახანში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს.

ქართული საბავშვო მწერლობის შესახებ...

ავტორი: ქეთი კვიტატიანი

„დედამ საკინძე მოიგლიჯა. შესძახა: – ჰოი, ჩემო ცოცხლად დამარხულო შვილო! და ქონგურიდან გადმოეშვა.“ ეს არის ნაწყვეტი ქართული ენისა და ლიტერატურის მესამე კლასის სახელმძღვანელოდან. არქაული და ამგვარი პათეტიკით სავსე ტექსტები დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში მრავლადაა. წიგნების ავტორები ჩივიან, რომ კარგი თანამედროვე საბავშვო ტექსტები ან არ არსებობს, ან მათი მოძებნა ძალიან რთულია და იძულებულები არიან ძველი, ნაცადი კლასიკური ნაწარმოებებით შეავსონ სახელმძღვანელოები. მოსწავლეებს მასწავლებლები ეუბნებიან, რომ წაიკითხონ წიგნში მოცემული მასალა, მაგრამ თემა დაწერონ თანამედროვე ქართული ენით და უფრო სადად. სულ პატარები კითხულობენ: „რატომ არის ლექსებში ისეთი სიტყვები, რომლებიც სალაპარაკო ქართულში არ გამოიყენება?“ მართალია, ისინი ამ წინადადებას უფრო ბავშვურად და სხვა ინტერპრეტაციით ამბობენ, მაგრამ პასუხი ალბათ ყოველთვის ერთია – მშობლის ღიმილიანი სახე...

მართლაცდა რა მდგომარეობაშია თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურა და შეიძლება თუ არა მან გასული საუკუნეების ტექსტები ჩაანაცვლოს სახელმძღვანელოებში?

ამ თემაზე სასაუბროდ ის ადამიანი ჩავწერეთ, რომელიც დიდი ხანია ზრუნავს საბავშვო ლიტერატურის განვითარებაზე. ნომერის სტუმარია საბავშვო მწერალი, „საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის – ლიბოს“ ერთ-ერთი დამაარსებელი, ინიციატორი – საქართველოში „ქართული საბავშვო წიგნის დღის – 27 ოქტომბრის“ დაწესებისა და სხვ. ქ-ნი მარიამ წიკლაური.

– ქ-ნო მარიამ, რა არის საჭირო თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის?

– განვითარებას ერთდროულად ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს. ღირებულებათა სისტემიდან დაწყებული ბაზრის მოთხოვნით დამთავრებული ან სულაც პირიქით! გარდა ამისა, ტრადიცია, აღზრდის ტრადიციაც, მწერლობის ტრადიციაც. ქვეყანაში არსებული საგანმანათლებლო პოლიტიკა, წიგნის პოპულარიზაცია, ასაკობრივი და თემატური კონკურსები, საბიბლიოთეკო ქსელისა თუ კლასის ბიბლიოთეკების აქტივობა, ოჯახური ბიბლიოთეკის, საჭირო ლიტერატურული პერიოდიკისა და კარგი საბავშვო ვებგვერდების არსებობა და, რაც მთავარია, ილუსტრატორებთან ერთად აუცილებელია მწერლის სურვილი და მოტივაცია, რომელიც შექმნის ამ ლიტერატურას! აი, მათ ირვლივ უნდა იყოს აქტივობა, ისინი უნდა იყვნენ ჩართულები სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ საგამომცემლო პროექტში,

სახალისო ტელეგადაცემებში. მწერალი მოტივირებული უნდა იყოს, რათა მიზანმიმართულად იმუშაოს ანუ შექმნას საჭირო, მეთოდური, ასაკის შესაფერისი ლიტერატურა ბავშვებისათვის. ასევე შესწავლის ობიექტი უნდა გახდეს არსებული საბავშვო ლიტერატურა, კვლევების, დაკვირვების ობიექტი, რომ მივხვდეთ, რა გვაქვს და რა არ გვაქვს, რა არის გასაკეთებელი, მაგრამ ასეთ კვლევებში აუცილებელია განათლების სპეციალისტები, ექსპერტები, პედაგოგები, ფსიქოლოგები ერთობლივად იღებდნენ მონაწილეობას. გვინდა თუ არ გვინდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ლიტერატურა იდეოლოგიზირებული იყო და არის. ლიტერატურა ერთდროულად ბევრ ფუნქციას ასრულებს, დრო შეიცვალა, იდეოლოგიაც შეიცვალა, ღირებულებები, აგერ სულ ჩვენ თვალწინ მხოლოდ საუკუნეები კი არა – ათასწლეულიც შეიცვალა, რამაც დიდი მენტალური ძვრები გამოიწვია ადამიანში. ტექნოლოგიების განვითარებამ უსწრაფესი და მასშტაბური სააზროვნო ცვლილებები გამოიწვია. **ახალ სამყაროში, ახალ დროში, ახალ გარემოში უწევს ადამიანს არსებობა და ბავშვისათვისაც ბევრი რამ სრულიად სხვანაირადაა მისაწოდებელი. საბავშვო ლიტერატურა მაინც გარკვეულ სპეციფიკას შეიცავს და ხშირად ავტორები მხოლოდ საკუთარ გუმანს მინდობილნი წერენ ბავშვისათვის. თეორიული ცოდნა, სხვადასხვა მეცნიერული თუ მეთოდოლოგიური ბაზა არა აქვს ავტორს... ზოგს საერთოდ ვერ გაურკვევია, რა არის საბავშვო მწერლობა. ყალბი პათეტიკა, სრულიად გაუაზრებელი ტექსტი, რატომ უნდა ვაწვდიდეთ მას პატარებს?** რაც მეტი იქნება გააზრებულ, მეთოდურ ცოდნასა და თეორიებზე დაყრდნობილი ნაწარმოები, მით უკეთესი. თუმცა არიან განსაკუთრებული ადამიანები, რომლებიც თავიანთი ინტუიციისა და ნიჭიერების წყალობით სასურველ შედეგებს აღწევდნენ, მაგრამ მაინც, დარგის განვითარებისათვის საბავშვო მწერალს ალბათ ნიჭის გარდა დიდი განათლებაცა და პრაქტიკაც სჭირდება, დიახ, პრაქტიკა სხვადასხვა ასაკის ბავშვებთან ცოცხალი ურთიერთობისა. თუ ეს ურთიერთობები არ იქნება (ხშირად დაკვირვების ობიექტია ახლობელი ბავშვი, ხშირად მთელი კლასი ან საბავშვო ბაღის ჯგუფი), ვეჭვობ ბევრ სიყალბეს გადავაწყდებით ნაწარმოებებში. ლიტერატურას, სადიდოსაც და საბავშვოსაც, თარგმნაც ავითარებს. ჩვენ დღეს მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის მკითხველებიც ვართ და ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს გამოცდილებისა და თვალსაწიერის ერთგვარი გაზრდაა. მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო ორი წელია საბავშვო მწერალთა ერთი ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს სკოლებთან „ჯი-პრაიდის“ საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში და თავად ამ პროექტის იდეა, საკლასო ბიბლიოთეკებისათვის ბევრი ახალი წიგნის გამოცემა და წიგნიერების დონის გაზრდა, საკმაო მოტივაციას ქმნის წერისათვის, რომელსაც სწორედ თეორიული ცოდნა და ანალიზი უდევს საფუძვლად.

ნეტავ ბევრი იყოს მსგავსი პროექტი, რომ საბავშვო ავტორების გარჯას სწორი მოტივაცია წარმართავდეს, იმუშაონ რეალობის გათვალისწინებით და არა მხოლოდ თავიანთი მწერლური შესაძლებლობების გამოსავლენად.

– ქართულ საბავშვო ლიტერატურას ჰყავს ისთი ცნობილი ავტორები, როგორებიც არიან: მაყვალა მრევლიშვილი, გივი ჭიჭინაძე, ნოდარ დუმბაძე და სხვ. არ არსებობდა ოჯახი, რომელშიც მათ წიგნებს ვერ იპოვნიდით... როგორ შეიძლება მოხერხდეს, რომ თანამედროვე საბავშვო მწერლებიც ასთივე პოპულარულები გახდნენ და ისე არ გამოვიდეს, რომ წინა საუკუნიდან მოყოლებული, ყველა თაობა ერთსა და იმავე ლექსზე გაიზარდოს?

– ვინც დაასახელეთ, დიახაც, უნდა იკითხონ და იკითხონ ეს ავტორები ბავშვებმა, რადგან მათი ნაწარმოებები კლასიკაა უკვე. თანამედროვეები რომ ასეთივე პოპულარულები გახდნენე, ასევე კარგად უნდა წერდნენ! საბედნიეროდ, კარგი ავტორები დღესაც გვყავს. იმდენად ძლიერი ტრადიცია აქვს ქართულ ლიტერატურას, რომ ეს გასაკვირიც არაა, მაგრამ მწერლის მუშაობისა და წიგნის გავრცელების სქემა დღეს რადიკალურად განსხვავებულია იმ დროისაგან, როცა ის ავტორები ქმნიდნენ და ცხოვრობდნენ. სახელმწიფო დოტაცია, დიდი ტირაჟები, მაღალი ჰონორარები, გეგმიური მუშაობის პრაქტიკა, შემოქმედებითი მივლინებები, პრემიები, საბავშვო წიგნის მასშტაბური საკავშირო ფესტივალები თუ კვირეულები, თარგმნა, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა... ახლა მწერალი მარტოა თავისი ნიჭისა და შეუპოვრობის ამარა, სხვა მას არაფერი და არავინ გააჩნია. უმძიმესი წლები ჩვენ უკან ჩამოვიტოვეთ. ვფიქრობ, ყველამ ერთად შევძელით გადარჩენა, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ვარსებობთ, ვქმნით პროდუქციას და რომ საჭირონიც ვართ, თუმცა ამის მტკიცება გვჭირდება ყოველდღიურად, ყველასთან! არც ქვეყანა, არც საგანმანათლებლო სისტემა, არც კულტურის პროფილის სტრუქტურები და ინსტიტუციები, არც შემოქმედებითი კავშირები და საერთოდ არავინ არის დღეს მწერლის უფლებების დამცველი. რთულია, გული არ გაგიტყდეს და მაინც ჯიუტად წერო და წერო! ამით ვერ იცხოვრებ, მაგრამ მაინც ქმნი! დაიხმარ ხან ინტერნეტს, ხან წიგნს, მცირე ტირაჟიან გამოცემებს და წვალებით მიდიხარ მკითხველამდე. ვერც ჟურნალ-გაზეთები გეხმარება საბავშვო მწერალს, არ არსებობს ასეთი სალიტერატურო გამოცემები და რაც არის, თუნდაც 110 წლის ჟურნალ „დილის“ სახით, ესაა ზღვაში წვეთი, იმდენად მცირეა მისი ტირაჟი.

ახალი თაობის ავტორთა სახელები ნაკლებად იცის მკითხველმა და სახელი იქით იყოს, მის ნაწარმოებებს, წიგნებსაც ნაკლებად ეცნობა. არც კრიტიკაა დაინტერესებული საბავშო ლიტერატურის კვლევითა და მიმოხილვით. თავად მწერლებს მენეჯერული თვისებები ნაკლებადა აქვთ განვითარებული. რეკლამას კი მათ არავინ უკეთებს. ასე რომ, ჯაჭვი პრობლემებისა ერთმანეთს ებმის. მარტივი სქემა ასეთია: არავინ გიცნობს, არავინ გამოგცემს, არავინ გიყიდის! ამიტომ ეცადე, ძალიან კარგი და ინდივიდუალური შემოქმედება შექმნა და მოიპოვო ნდობაც, სახელიც, ბაზარიც. თუ გინდა და გაქვს ამის პოტენცია, უნდა შეძლო! თუ არადა, გაანებე თავი, სხვა შეძლებს, შენზე ნიჭიერი და ძლიერი!

– ამბობენ, რომ ბავშვებისათვის წერა ძალიან რთულია, თქვენ როგორ ფიქრობთ, რა სირთულეებთანაა დაკავშირებული საბავშვო მწერლობა?

– რთული კი არა, ერთი დიდი ბედნიერება და სიამოვნებაა მათთვის, ვისაც ეს ნიჭი აქვს. ვისაც არა აქვს, ნურც გაიწვალებს თავს! **კარგ საბავშვო ლიტერატურას, ყოველგვარი პათეთიკის გარეშე ვიტყვი, ქმნის ის ადამიანი, ვისაც საკუთარ სულში გადარჩენილი ჰყავს ბავშვი და ვისი სამყაროც ბავშვობის დროით მუშაობს.** ვის სულშიც ცხოვრობს სიხარული, ვის გონებაშიც ცოცხალია ბავშვის ენა, ვის მეხსიერებაშიც სუნთქავს ბავშვობა, სხვანაირად შექმნი ყალბ, არაფრისმთქმელ სიტყვათა ერთობლიობას. თუ ბავშვური ხალისი, თამაშის უნარი, დაუღლელობა და მგონი რაღაც უცნაური, კოსმიური ენერგია არა გაქვს, არაფერი გამოგივა ამ დარგში. თანაც მზად უნდა იყო, რომ შენ მიერ შექმნილ სამყაროში სიკეთე უპირობოდ გამარჯვებული იქნება ბოროტებაზე. თუ ასე არაა, გაიხურე კარი და წადი! ლიტერატურა იმხელა ოკეანეა, სხვა ბევრ კუნძულსაც გადააწყდები, რაღა ბავშვების კუნძულზე გინდა ნადირობა?

– ხომ ვერ გაიხსენებთ შემთხვევას, როცა ბავშვებმა დაგიწუნეს ან კორექტივი შეიტანეს თქვენს ნაწერში?

– იმ შეხვედრებზე, რომლებსაც ჩვენ გვიწყობენ ხოლმე, ძირითადად, ზრდილობიანი მასპინძლების როლში არიან და ბევრ რამეს გვეკითხებიან კიდეც, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა, ესაა უფრო ე. წ. ერთი წიგნის შეხვედრა! მე ვგულისხმობ, რომ ბავშვებს ნაკლებად აქვთ ჩვენი წიგნები საკუთრებაში. ესაა, როცა მასწავლებელს აქვს ერთი და იქიდან იწერენ რამეს და იზეპირებენ. აბა ყველა ბავშვს თავისი საკუთარი ჰქონდეს, იქნებადა მეტად გულახდილებიც იყვნენ, მაგრამ ასეთი შეხვედრები მაინც უფრო ცოტა ხელოვნურია. ბავშვებიც მორიდებულები



არიან, თანაც ლექსებში ძნელია ედაო ავტორს რაღაცეებზე და პროზაიკოსებთან იქნებ სხვანაირადაცაა, არ ვიცი. მაინც ვთვლი, რომ ჩვენ მკითხველი ბავშვები ნაკლებად გვყავს. მეტი სინათლე რომ მოვფინო საკითხს, ასეთ მაგალითს მოვიტან: მსმენია ხშირად მშობლებისაგან, როცა წიგნს იყიდიან ან აჩუქებ, – ოი, ოი რა ლამაზია! ამას ზევით შევდებ, ბავშვმა ხელი არ მოკიდოსო. – ასე რომ, თუ ბავშვებს თავისთან ახლოს არა აქვთ წიგნები, შენიშვნებსაც ნაკლებად მოგცემენ. ისინი გარკვეულწილად წიგნთან არიან გაუცხოებულები და აბა რაზე უნდა გეკამათონ? ისე მიხვალ შეხვედრაზე და ისე წამოხვალ ხოლმე, ვერც მშობელი და ვერც ბავშვი ვერ იგებს ვინ ხარ და რა დაგიწერია, რა წიგნი გამოგიცია ან რა გქვია. არაა ეს გადაჭარბება. გულახდილად გეუბნებით ამას. მთავარია, სურათები გადაუღონ შვილებს... მკაცრი ვარ ალბათ, ხომ, მაგრამ ასეა, სამწუხაროდ. რა თქმა უნდა, ყველგან ასე არაა, მაგრამ თუნდაც მცირედი იყოს მსგავსი რამ, უკვე საშინლად ვწუხვარ...

– თქვენ, როგორც საბავშვო მწერალს, ბევრი ჯილდო გაქვთ მიღებული? რას ურჩევდით ქართველ საბავშვო მწერლებს, როგორ შეიძლება მათ მოახერხონ სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსის მოძიება და თავიანთი შემოქმედების პოპულარიზაცია?

– ისეთი არაფერი, ერთი ჯილდო მაქვს – მაყვალა მრევლიშვილის სახელობის პრემია საბავშვო ლიტერატურის დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი, რომელიც მე და ირმა მალაციძემ დავაარსეთ, საქართველოდან პირველად იყო წარდგენილი ასტრიდ ლინდგრენის საერთაშორისო პრემიის ნომინაციაზე, სულ ესაა საბავშვო დარგში. ორჯერ ვარ პოეზიაში „წლის

საუკეთესო საბავშვო წიგნის“ ავტორის ტიტულის მფლობელი. საერთაშორისო კონკურსები, როგორც ასეთი, თვითმიზანი ალბათ არც ერთი მწერლისათვის არაა. აქამდე რაღაცნაირად მიდიხარ, ზოგჯერ ცხოვრებასა და დიდ შრომას მოაქვს ადამიანისათვის აღიარებაც. თანაც, საერთაშორისო კონკურსებამდე შენ თვითონ ხომ ვერ მიხვალ? ეს თავისებური „პროტოკოლური“ გზაა. საერთაშორისო კონკურსებს ყველა სახელმწიფოში ჰყავს თავისი ოფიციალური წარმომადგენელი ან დაწესებულება, ან ადამიანთა ჯგუფი, საბჭო და ეს მათი საზრუნავია, რომ თავიანთი ქვეყნიდან ღირსეული ავტორი წარადგინონ ნებისმიერ კონკურსზე ამავე კონკურსის მიერ შემოთავაზებული პირობების საფუძველზე. უმთავრესი არის შრომა, მუხლჩაუხრელი თუ „კალამჩაუხრელი“... მე ასე მგონია, ნებისმიერი ადამიანი და მათ შორის მწერალიც, ერთგულად, კეთილსინდისიერად, პასუხისმგებლობით და ნიჭიერად უნდა ემსახურებოდეს თავის დიად იდეალებს! დანარჩენი უკვე ან იქნება, ან არც იქნება, ამისათვის თავს ვერ მოიკლავ. თანაც, ჩვენი ქვეყნის მწერლისათვის ურთულესია თარგმნოს და პოპულარიზაცია გაუწიოს საკუთარ შემოქმედებას, წარმოუდგენელიც კია... მას თუნდაც იმისათვის ეკუთვნის მადლობა, რომ ხშირ შემთხვევაში მშიერი, შეციებული, საარსებო ლუკმისათვის ათას სხვა საქმეს მოდებული, მაინც ზის და კეთილსინდისიერად წერს პატარებისათვის! რაღა უნდა ქნას ამაზე მეტი? მით უფრო, თუ კარგად წერს. ამას წინათ, **ერთი პეტერბურგელი მწერალი და მთარგმნელი დაგვიკავშირდა, ქართველი საბავშვო პოეტები თარგმნა და წიგნადაც გამოსცემს მაღე. ასეთ სიურპრიზებსაც გიწყობს ცხოვრება, მაგრამ შენ მაინც ის გიხარია, თუ შენი ქართველი მკითხველი გეყოლება! ჩვენ ხომ ის ერი ვართ, რომლის ბავშვებიც ღაპარაკს ლექსით იწყებენ და ზღაპარი მათი პური და რძეა?** ჰოდა, წიგნს სჭირდება პოპულარიზაცია, უფრო მეტიც, წიგნს დღეს უკვე მთელი პოლიტიკის წარმართვა სჭირდება, დიახ, წიგნის პოლიტიკის, აბა ჩვენთან სად სცალიათ საამისოდ? ჩვენთან თავად ბავშვიც კი ნაკლები



ღირებულებაა! ესაა თავი და თავი ყველაფრისა. დაუკვირდით, რამდენი პრობლემა აქვს ჩვენს სახელმწიფოში ბავშვს: აღზრდის, სოციალური, ჯანმრთელობის, განათლებისა თუ ნებისმიერი სხვა და ჩვენ, მისთვის წიგნების დამწერნი, რატომ ვიქმნებით უკეთ?

– როგორ მუშაობს „საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი – ლიბო“, როგორ გაჩნდა მისი დაარსების იდეა და მომავლში რა გეგმები გაქვთ?

– ამის შესახებ ბევრჯერ დაგვიწერია. სრულ ენთუზიაზმზე ვართ დღესაც. იმით, რაც იმ წლებში გავაკეთეთ, როცა ქართველი ავტორის გაგონება არ უნდოდათ გამომცემლებს, ვთვლი, რომ ყინული დავძარით, ბევრი კარგი ინიციატივა და აქტივობა გვქონდა. მომავალშიც ალბათ სიტუაციის შესაბამისად ვიმოქმედებთ, თუმცა რთულია, ასე შიშველი ხელებით დღეს რამის გაკეთება. ჩვენ გვინდოდა ურთლეს წლებში გვერდით დავდგომოდით ქართველ მწერლებსა და ქართულ საბავშვო ლიტერატურას. ეს ცოტათი მაინც შევძელით. მომავლის ჰორიზონტები ხან ნისლიანია, ხან მზიანი. მთვარია, საბავშვო ლიტერატურის ცოცხალი პროცესი არ გაწყდა, გაგრძელდა, ვარსებობთ კოლეგები, რომლებიც ერთმანეთის წარმატებით ვხარობთ, რომლებსაც საერთო ინტერესები და მიზნები გვაქვს, ერთად კი ყოველთვის ადვილია კეთილი საქმეების კეთება!

კრწანისის ბრძოლაში დამარცხების მიზეზები

ავტორი: ზურაბ ჯამბურია

კრწანისის ბრძოლა ერთ-ერთი საყურადღებო საკითხია საქართველოს ისტორიაში. ირანის შაჰი აღა-მაჰმად-ხანი კატეგორიულად მოითხოვდა ქართლ-კახეთის მეფისაგან რუსეთთან კავშირის გაწყვეტას. წინააღმდეგ შემთხვევაში შემოსევითა და ქართლ-კახეთის აოხრებით იმუქრებოდა. ამას მოჰყვა კრწანისის ბრძოლა. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ამ ბრძოლაში ქართლ-კახეთის სამეფოს დამარცხების მიზეზები.

გავრცელებული თვალსაზრისით, დამარცხების მიზეზი იყო ღალატი. ერეკლე მეფეს უღალატა ყველამ და ყველაფერმა: მეუღლემ – დარეჯან დედოფალმა, რომელსაც, რატომღაც უხაროდა აღა-მაჰამ-ხანის მოსვლა; შვილებმა, რომლებიც თითქოს არ ემორჩილებოდნენ გვირგვინოსან მამას; თბილისელებმა, რომლებმაც ვითომ თბილისის დაცვაში არ მიიღეს მონაწილეობა; იმერლებმა, რომლებიც ერეკლეს დასახმარებლად იყვნენ მოსულნი, მაგრამ უბრძოლველად გაბრუნდნენ უკან; თავადებმა, რომლებმაც არ გამოიყვანეს თავიანთი ჯარები; სარდლებმა; უბრალო ხალხმა...

აღა-მაჰმად-ხანი

რატომ არის გავრცელებული ასეთი შეხედულება? მარტივი მიზეზის გამო: აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა განაპირობა გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამ. ირანი შეაშფოთა არა მარტო იმან, რომ კარგავდა ვასალურ (თუნდაც ფორმალურად) აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ იმიტომაც, რომ თავადაც ეშინოდა რუსეთის წინსვლისა, რომელიც ირანზე გაცილებით ძლიერი სახელმწიფო იყო. რუსეთმა არ შეასრულა ტრაქტატით გათვალისწინებული ვალდებულება და არ დაეხმარა მისივე მიზეზით გასაჭირში ჩავარდნილ ქართლ-კახეთის სამეფოს. კრწანისის ბრძოლაში ირანის გამარჯვება მაშინდელმა მსოფლიომ აღიქვა, როგორც რუსეთის

მარცხი, რომელმაც ვერ დაიცვა მის მფარველობაში მყოფი ქვეყანა. ამიტომ რუსეთს დასჭირდა თავის მართლება და ეს მარცხი გადააბრალა ქართველებს, რომლებიც ლამის რუსეთის ყველა ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ მოღალატეებად გამოაცხადა. ეს თვალსაზრისი ჩვენში დამკვიდრდა და დღემდე ძირითადად ეს თვალსაზრისია მიღებული. ეს თვალსაზრისია გატარებული მხატვრულ ფილმში „მაია წყნეთელი“. ამ ფილმმაც ხელი შეუწყო ღალატის ვერსიის გამყარებას.

1969 წელს დაიბეჭდა პროფესორ იასე ცინცაძის ძალზე საინტერესო მონოგრაფია „აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე“. ავტორი წყაროთა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ამტკიცებს სრულიად საპირისპიროს: არავითარ ღალატს ადგილი არ ჰქონია, ქართველების დამარცხების მიზეზი სულ სხვა იყო. რადგან ეს მონოგრაფია ნაკლებად ხელმისაწვდომია, გადავწყვიტე, მოკლედ მიმოვიხილო ი. ცინცაძის არგუმენტები, რაც ისტორიის მასწავლებლებს გამოადგებათ.

ერეკლე II

განსაკუთრებული ბრალი ედება ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილს, რომელიც „სიღნაღში უდარდელად ცხოვრობდა“ და მეფეს არ მიაშველა მის განკარგულებაში მყოფი 4 000-იანი ლაშქარი. ეს მაშინ, როდესაც ერეკლე 5 000-იანი ჯარით ებრძოდა 35 000-იან ჯარს და შავი დღე გაუთენა 13 000 მოძალადეს. თეიმურაზ ბატონიშვილისა და იაკობ ბებუთოვის ცნობებით, ბრძოლის შემდეგ აღა-მაჰმად-ხანს განუცხადებია: „მე ვიდრე ორმოცდაათამდის გამიმარჯვია, მაგრამ ყველაზე დიდი ეს არისო“. აქედანაც ჩანს, რა დიდი წინააღმდეგობა გაუწევია ერეკლეს 5 000-იანი ჯარით. ასეთ ვითარებაში გიორგი ბატონიშვილსაც რომ თავის განკარგულებაში მყოფი 4 000-იანი ლაშქარი მიეშველებინა, გამარჯვების შანსებიც ხომ ერთიორად გაიზრდებოდა! რით შეიძლება აიხსნას ტახტის მემკვიდრის საქციელი? მან ან უღალატა მამა-მეფეს, ან ასრულებდა მის ბრძანებას. პროფ. ი. ცინცაძეს დეტალურად აქვს განხილული, რომელი უფლისწული სად იმყოფებოდა და რას აკეთებდა, საიდანაც ჩანს, რომ მეფის ბრძანებას ყველა ასრულებდა და არავითარ ურჩობას ადგილი არ ჰქონია.

ამ დროს მოსწავლეებს შეიძლება გასაანალიზებლად მივცეთ წყარო – ერეკლეს წერილი თავისი „მოღალატე“ შვილისადმი კრწანისის ბრძოლის შემდეგ, რომელიც ასე იწყება: „ჩვენო ღვთის წყალობავ, შვილო, ბატონო გიორგი!“... მოსწავლეები თავად მივლენ დასკვნამდე, რომ დაუჯერებელია, მეფე ასე მიმართავდეს მოღალატე შვილს. ამის შემდეგ შეიძლება მოსწავლეებს მივცეთ წყარო, საიდანაც ჩანს, რომ, აღა-მაჰმად-ხანი თავის შემოსევის პარალელურად კახეთზე თავდასასხმელად და ასაოხრებლად ეპატიჟება

გეორგიევსკის ტრაქტატი

ლეკებს და ყველაფერი ცხადი გახდება – გიორგი ბატონიშვილი მეფის ბრძანებით კახეთს იცავს ლეკთა შესაძლო თავდასხმისაგან. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ ვერ გაბედეს ლეკებმა კახეთზე თავდასხმა. მაგრამ რუსულ ოფიციალურ ისტორიოგრაფიასა და საქართველოს მტრებს ღალატის ვერსია უფრო აწყობდათ. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ მაშინდელ ისტორიოგრაფიაში წყაროთა კრიტიკული ანალიზი თითქმის არ ხდებოდა.

კიდევ ერთი წყარო, რომელიც მოსწავლეებმა უნდა გააანალიზონ, არის „მოღალატე“ დარეჯან დედოფლის წერილები კავკასიის სამხედრო ხაზის გენერალ გუდოვიჩისადმი, სადაც ქართლ-კახეთის დედოფალი რუსეთის ამ ხელისუფალს ატყობინებს ირანისაგან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და ითხოვს ტრაქტატით გათვალისწინებულ სამხედრო დახმარებას. ამ წყაროს ანალიზის შედეგად მოსწავლეები დარწმუნდებიან, რომ დედოფლის ღალატიც ისეთივე მითია, როგორიც გიორგი ბატონიშვილისა.

ბრალდებულია არა მარტო გიორგი ბატონიშვილი, არამედ ყველა უფლისწული. არტემ არარატელი წერს, რომ თბილისში ყოფნისას მას გაუცვნია ერთი ერევნელი სომეხი, რომელსაც უთქვამს მისთვის, რომ თითოეული უფლისწული თავიანთი საუფლისწულოებიდან 10.000 მეომარს გამოიყვანსო (А. Араратский, Жизнь Артемия Араратского, 1813). ეს ცნობა გადაუბეჭდავს პ. ბუტკოვს მცირე ჩასწორებით – ერევნელი სომეხი თბილისელ სომხად გაუსაღებია (П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, II, 358). რამდენად სანდო შეიძლება იყოს ასეთი ცნობები, ამაზე მოსწავლეებმა იმსჯელონ. პროფ. ი. ცინცაძე კი ამის შესახებ წერს: „როდის ყოფილა, რომ რამდენიმე ათეულათასიანი კორპუსები ჰყავდა ერეკლე II-ს, ანდა რომელ ბატონიშვილს ჰქონდა ისეთი ხალხმრავალი სამფლობელო, რომ 10 000 შეიარაღებული მეომრის გამოყვანა შეძლებოდა?“ (ი. ცინცაძე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, 1969, გვ. 161).

კიდევ ერთი ბრალდებულია იმერეთის მეფე, რომელიც უმოქმედოდ იდგა იმერეთის ჯარით. ამის შესახებ საინტერესოა ალ. ორბელიანის ცნობა, რომ სოლომონ II იმერეთის ჯარის ერთი ნაწილით ბრძოლის ველიდან მოშორებით, „აბანოს კართან“ იყო დაბანაკებული და ერეკლეს ბრძანებას ელოდა, რომელ მხარეს მიშველებოდა. ერეკლე მეფეს სოლომონ მეფესთან ცხენოსანი შიკრიკი გაუგზავნია ბრძანებით სასწრაფოდ ზარბაზნების განლაგების ადგილას გადმოსვლის შესახებ. მაგრამ ეს შიკრიკი კოჯრიდან მომავალ სპარსელების მზვერავებს დაენახათ და მოეკლათ. ისე რომ, სოლომონ

მეფემდე ერეკლეს ბრძანებამ ვერ მიაღწია. სოლომონ მეფე განკარგულების მოლოდინში უძრავად იდგა „აბანოს კარებთან“ (ი. ცინცაძე). იმერეთის ჯარის მეორე ნაწილი კი ბრძოლაში მონაწილეობდა და დიდადაც უსახელებია თავი – ორასი იმერელი თავადი და აზნაური დაღუპულა კრწანისის ბრძოლაში.

ბრალდებას ვერ ასცდნენ თბილისელებიც, რომლებიც თითქოს უბრძოლველად გაიქცნენ თბილისიდან. საქართველოს ისტორიის IX კლასის სახელმძღვანელოში მოტანილია წყარო, საიდანაც ჩანს თბილისელთა თავდადებული ბრძოლა ქალაქის დასაცავად. ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

როგორც ვნახეთ, არავითარ ღალატს არ ჰქონია ადგილი. მაშ, რატომ ჰყავდა ერეკლეს ბრძოლაში მხოლოდ 5 000 მეომარი? კიდევ ერთი წყარო, რომლის ანალიზიც სასურველია ჩავატარებინოთ მოსწავლეებს, არის ერეკლეს ბრძანება თუშების მოურავისადმი, რომელიც 1795 წლის 8 სექტემბრით თარიღდება. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ პირველი შეტაკებები ქართველებსა და სპარსელებს შორის უკვე 9 სექტემბერს იწყება. ისინი უნდა მიხვდნენ, რომ ბრძანება დაგვიანებით არის გაცემული განთქმული მეომრების – თუშების გამოსაწვევად. ამის მიზეზი კი შემდეგია: ფეოდალურ საქართველოში არ არსებობდა მუდმივი ჯარი. ფეოდალური ლაშქრის თავშეყრა კი მაქსიმუმ ორი კვირით შეიძლებოდა იმიტომ, რომ სახელმწიფოს ჯარის რჩენა არ შეეძლო, მეომრები საკუთარი საგზლითა და იარაღით მიდიოდნენ ბრძოლაში და ცხადია, განუსაზღვრელი ვადით ჯარის შეყრა შეუძლებელი იყო. ამით ისარგებლა აღა-მაჰმად-ხანმა და ისე სწრაფად მოაწყო განჯიდან გადმოსვლა, რომ ერეკლემ მთელი ქართლ-კახეთიდან ჯარის გამოწვევა ვერ მოასწრო. სწორედ ამის დასტურია ასე ნაგვიანევი ბრძანება თუშების მოურავისადმი. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა ხევსურთა ომში მიმავალი რაზმის შეხვედრა უკვე დამარცხებულ და შიდა ქართლში გახიზნულ ერეკლესთან.

რატომ ვერ განსაზღვრა უფრო ზუსტად მტრის შემოსევის შესაძლო თარიღი სახელგანთქმულმა სარდალმა ერეკლემ? ამისათვის ყველაფერი გააკეთა ირანის შაჰმა. მან დაიწყო ერევნისა და შუშის ციხეების გარემოცვა, რაც ერთ თვეს გაგრძელდა. ამიტომ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ამ ციხეების აღების გარეშე (მათი მფლობელები ერეკლეს მოკავშირეები იყვნენ) აღა-მაჰმად-ხანი ვერ ბედავდა საქართველოზე წამოსვლას. ამასობაში აღა-მაჰმად-ხანმა ელჩებად შენიღბული მზვერავების საშუალებით დაადგინა, რომ კავკასიის ხაზზე ერეკლეს დასახმარებლად არავითარი მზადება არ მიმდინარეობდა. ამ ცნობის მიღებისთანავე ირანის ჯარი ცხენის სისწრაფით გამოემართა თბილისისაკენ. მას აღალის მოძრაობაც არ აფერხებდა – საკვების პრობლემა აღა-მაჰმად-ხანს წინასწარვე ჰქონდა მოგვარებული. ასეთი სისწრაფით ჯარის გადმოყვანის შესაძლებლობა ქართველებმა ვერ გაითვალისწინეს. სწორედ ამ ფაქტორმა გააუარესა თბილისის დაცვის საქმე და გამოიწვია ქართველების დამარცხება და არა რაღაც მითიურმა ღალატმა.

სოღომონ II

სდასუ
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

სდასუ არსებობის 25 წელს ითვლის. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაარსებულმა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტმა ჭეშმარიტად დაიმკვიდრა ქართული და, ამასთანავე, ევროპული უნივერსიტეტის იმიჯი.

თქვენ ახლა დიდი არჩევანის წინაშე დგახართ: ის, თუ რომელ უნივერსიტეტში გადაწყვეტთ სწავლას, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მომავალში თქვენს წარმატებულობას.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი გამორჩეულია სწავლების მაღალი დონით, რაც განპირობებულია ევროსტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით, რომელთაც ცნობილი მეცნიერები უძღვებიან. მათი მეშვეობით ჩვენი სტუდენტები იძენენ იმ პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, შემდგომში მათ პროფესიულ წინსვლასა და კარიერულ წარმატებებს რომ განაპირობებს. ამის საუკეთესო დასტურია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა წარმატებული მოღვაწეობა.

ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში სდასუს ინტეგრაციას მოწმობს ევროპის ბიზნესასამბლეისა და რექტორთა საბჭოში მისი გაწევრიანება, რაც გაცვლითი პროგრამების კიდევ უფრო გააქტიურების საშუალებას გვაძლევს.

რა გამოარჩევს სდასუ-ს?

- ევროპული სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები;
- აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხური – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა, აგრეთვე, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები და რეზიდენტურა მედიცინის მიმართულებით;
- მაღალკვალიფიციური პროფესურა

– თითოეული სკოლის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელს აქვს შესაბამისი სამეცნიერო ხარისხი;

- სდასუ კვლევითი უნივერსიტეტია – ინოვაციებზე, ხარისხსა და შედეგზე
- ორიენტირებული სამეცნიერო-კვლევითი პროცესი მჭიდროდ არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესთან, რაც სწავლისა და კვლევის მაღალ ხარისხს განაპირობებს;
- ევროკომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, მეცადინეობები ტარდება მცირერიცხოვან ჯგუფებში;
- სტიპენდიები წარჩინებული სტუდენტებისათვის – დავით აღმაშენებლისა და ილია მეორის სახელობის.

ადგილმდებარეობა და საუკეთესო პირობები:

- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა, სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო და სპორტული დარბაზები;
- პირველი სტუდენტური ტელევიზია – სდასუ TV;
- რადიოსტუდია – სდასუ-RADIO;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კრიმინალისტიკური ლაბორატორია;
- იმიტირებულ სასამართლოთა სხდომათა დარბაზი;
- უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები;
- ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდითა და ელექტრონული რესურსებით;
- საუკეთესო იურიდიული და სამედიცინო კლინიკური ბაზები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების ცენტრი.

შეთავაზება!

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პირველ და მეორე პრიორიტეტად არჩევის შემთხვევაში სტუდენტებს სწავლის საფასურის 10%-იანი შეღავათი ექნებათ;

წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ დავით აღმაშენებლისა და ილია მეორის სახელობის სტიპენდიები (120 და 100 ლარის ოდენობით);

ოჯახის წევრების ერთდროულად სწავლის შემთხვევაში თითოეული ისარგებლებს 10%-იანი შეღავათით;

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები დამატებით გაივლიან კურსებს საერთაშორისო სტანდარტების კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში და მიიღებენ სერტიფიკატს.

გადაწყვეტილების მიღებამდე გაეცანით უნივერსიტეტების პროფესურას, სასწავლო პროცესსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

გახსოვდეთ, სწორი არჩევანი თქვენი წარმატების გარანტიაა!

მივიწყებული საღარბაზოები

ავტორი: დავით კაკაღაშვილი

ბავშვობაში მეგონა, რომ ყველა ჩემნაირ სახლში იზრდებოდა. სახლში, რომელშიც სიძველის სუნი ტრიალებს და წარსული უფრო იგრძნობა, ვიდრე მომავალი.

სახლში, რომელშიც ულამაზეს ორნამენტებზე ჭუჭყიან ტილოს აშრობენ ან ტელევიზორის ყურებისას კედელზე გიკაკუნებენ და ხმის ჩაწევას ამ ფორმით გთხოვენ.

დიახ, ეს ძველი თბილისია. თბილისი, რომლის ერთ-ერთი მთავარი ხიბლი არა მიტოვებული, მაგრამ მაინც მივიწყებული სადარბაზოებია.

ეს ქალაქია, რომელიც საკუთარ ისტორიას გრძნობს, ებრძვის აჩრდილებს და ამ ბრძოლაში დამარცხებული მხოლოდ ერთია – ადამიანი, რომელიც წლიდან წლამდე იზრდება, ბერდება, ცხოვრობს და ამ ჰაერით სუნთქავს. ჰაერით, რომელიც შემწვარი კარტოფილისა და ჭუჭყის არომატთან ერთად უძველეს ამბებსა და ყველა თაობის პატარ-პატარა საიდუმლოებსაც ინახავას.

ამბავი ახლაც გრძელდება. როგორი ძველიც არ უნდა იყოს კედლები, კიბეები, თაობიდან თაობაზე გადასული ცხოვრების სტილი, აქ ყველაზე მთვარი მაინც ადამიანია.

და ამ კედელბსაც, ნაბიჯებით გათელილ კიბეებს ისევე უნდათ და უყვართ ცხოვრება, როგორც წლების, საუკუნეების წინ. გავუფრთხილდეთ ჩვენს ქუჩებს, სახლებს, სადარბაზოებს!

გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!

შეიძლება ჩვენი სახლი ჯერაც არ დაწყებული ან ჯერ კიდევ დაუსრულებელი ისტორიის უდიდესი ნაწილია...

თეიკო ანჯაფარიძე

რუბრიკა: ფოტორეპორტაჟი

აკაკის „განთიადის“ ისტორიისათვის

ავტორი: თამაზ ჯოღოგუა

გავრცელებულია აზრი, თითქოს აკაკი წერეთელმა „განთიადი“ დაწერა დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის დღეებში და იგი პირველად მთაწმინდაზე – ჩვენი დიდი მოღვაწის დაკრძალვაზე – წაიკითხა 1887 წლის 8 ნოემბერს (ძველი სტილით). ამ ვერსიას სათავე დაუდო მწერალმა და ჟურნალისტმა სოფრომ მგალობლიშვილმა, რომელიც 1923 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ მოგონებაში („აკაკი“) წერს: „დიმიტრი ყიფიანი აკაკის ძალიან უყვარდა, დიდ პატივსა სცემდა... დიმიტრის დასაფლავებაზე მან წარმოსთქვა თავისი ლექსი „განთიადი“. ამ ლექსის კითხვის დროსაც აკაკის გული აუდუღდა, ცრემლები წასკდა თვალთაგან და ტირილით გაათავა ლექსი“ (ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი. თბ.: 1938, გვ. 184-185). ამ ფაქტის დამადასტურებელ სხვა წყაროს ჩვენ არ ვიცნობთ (სხვათა შორის, აკაკის მიერ დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე ლექსის წარმოთქმას

ზაქარია ჭიჭინაძე და დავით დავითაშვილიც ახსენებენ. ოღონდ ეგაა, ზ. ჭიჭინაძე საერთოდ არ ასახელებს ნაწარმოების სათაურს, დ. დავითაშვილს კი დამახინჯებულად მოჰყავს ფრაგმენტი ა. წერეთლის სულ სხვა ლექსიდან – „ქართველი უცხოეთში“).

დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის გარემოებებზე მდიდარ მასალას იძლევა იმდროინდელი ქართული და კავკასიის რუსულენოვანი პრესა, რომელშიც არაფერია ნათქვამი აკაკის მიერ დიმიტრი ყიფიანის საფლავზე ***ლექსის*** წარმოთქმის შესახებ. მაგრამ მთავარი და არსებითი მაინც დოკუმენტური წყაროებია (მიმოწერა ხელისუფლების წარმომადგენლებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს შორის, თბილისიდან პეტერბურგში გაგზავნილი კონფიდენციალური წერილები თუ მოხსენებითი ბარათები, საიდუმლო სამსახურების მიერ შედგენილი პატაკები და სხვ.). ამ წყაროებში სკრუპულოზურად და უაღრესი სიზუსტითაა აღწერილი ყოველივე ის, რაც დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის დღეს თბილისში მოხდა, აკაკი წერეთლის გამოსვლაც არაერთხელაა აღნიშნული, მაგრამ ***უკლებლივ*** ყველა საბუთში ნათქვამია, რომ აკაკიმ დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე წარმოთქვა ***სიტყვა***, ხოლო ***ლექსი*** არსადაა ნახსენები (მთელი ეს მასალა ორჯერაა გამოქვეყნებული: შ. ჩხეტია. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე. „საისტორიო მოამბე“.



აკაკი წერეთელი

მთაწმინდა. მამა დავითის ტაძარი



ტ. 3. 1947; საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი. ტ. I. თბ.: 1997). დიმიტრი ყიფიანის დამკრძალავი კომიტეტის წევრსა და, შესაბამისად, ამ ამბის თვითმხილველ ექვთიმე თაყაიშვილს კი საგანგებოდ აქვს აღნიშნული: „საფლავზე პირველი სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა, რომელმაც დიმიტრი ყიფიანი გამოაცხადა საქართველოს მეორე დიმიტრი თავდადებულად და, რა თქმა უნდა, დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა. ის ცნობილი მშვენიერი ლექსი რომა აქვს, „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოო“, მაშინ არ უთქვამს, მერმე დაწერა, დიმიტრი ყიფიანს კი გულისხმობდა შიგ!“ (ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები. ტ. I. თბ.: 1968, გვ. 242-243; „განთიადის“ ისტორიისათვის საინტერესოა ისიც, რომ ლექსის ერთ-ერთ ხელნაწერში პირდაპირაა მითითებული ადრესატი: „...საფლავსა დიმიტრისასა“, ხოლო სხვა ხელნაწერს ახლავს ქვესათაური „დ. ყ-ნს“). დიდად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ „განთიადი“ შეტანილი არ არის



 განთიადი

Мта-წმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თაედადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთა-წმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა,—
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა.

მთა-წმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამა დავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს.

მგოსანი გრძნობა მორევით
თვალს აცლებს არე-მარესა
და გულის პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დაებრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!

„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ეღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,—
შენს ნახვას დაეჩქარეო.

„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ - მოელვარეო.

„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუეყარეო,—
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამიხარეო.

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის-ჩამდგმელო მხარეო!
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო.

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო,
და რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:

„დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ —
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!...“

აკაკი.

განთიადის პირველნაბეჭდი. ჟურნალი „კვალი“



დიმიტრი ყიფიანი

აკაკი წერეთლის სიცოცხლეში გამოცემულ თხზულებათა ორტომეულში, რომელიც, მართალია, 1893 წელს გამოიცა, მაგრამ უფრო ადრე – 1892 წლის შუახანებში – არის შედგენილი. მიზეზი მარტივი ჩანს – 1892 წლამდე „განთიადი“ არ დაწერილა.

საკითხთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებულ დოკუმენტურ მასალაში (ასევე მემუარულ თუ ეპისტოლარულ ტექსტებში) ნახსენებია დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაში მონაწილე უამრავი პირი, მაგრამ მათ შორის არსად გვხვდება სოფრომ მგალობლიშვილის სახელი. ეს კი გვაფიქრებინებს – მოგონების ავტორი არ ყოფილა თვითმხილველი დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვისა და ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მას ან მცდარი ინფორმაცია მიუღია, ან თვითონ შეუთხზავს დაღუპული მოღვაწის ცხედართან აკაკის მიერ „განთიადის“ წაკითხვის ისტორია.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, საკმარის საფუძველს იძლევა დასკვნისთვის – „განთიადი“ აკაკი წერეთელს არ წაუკითხავს დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე, ლექსი ავტორმა დაწერა მოგვიანებით, კერძოდ, 1892 წელს და იგი გაზეთ „კვალში“ გამოაქვეყნა 1893 წლის 3 იანვარს (ცენზურის ნებართვა გაცემულია 1892 წლის 12 დეკემბერს). რაც შეეხება დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილ იმ ლექსს, რომელიც ჩვენი დიდი მოღვაწის მკვლელობის დღეებში (ან ახლო ხანებში) აკაკი წერეთელმა დაწერა, ესაა „ქართველი უცხოეთში“, რომელიც გაზეთ „ივერიაში“ 1888 წლის იანვარში გამოქვეყნდა, ცენზურისათვის თვალის ახვევის მიზნით მიწერილი აქვს „ძველი ამბავი“ და პირველნაბეჭდში ასეა დასათაურებული – „ქართველი სპარსეთში“.

დასასრულ, „NAEC.ge“-ს მკითხველს ვთავაზობთ აკაკი წერეთლის სიტყვას, წარმოთქმულს დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე. უცნობი პირის მიერ ჩაწერილი (ან გადაწერილი) ხელნაწერი ტექსტი სიტყვისა დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (N18541-ხ; პირველნაბეჭდი: ი. უთურაშვილი. დიმიტრი ყიფიანი. თბ.: 1989, გვ. 311).

სიტყვა აკაკისა დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებაზედ

შენის სიცოცხლის დროს სიამოვნებითა და მოწიწებით შენ წინ თავმოხრილი, დღეს მწუხარებით მოვიდრეკ მუხლს, რომ უკანასკნელად თაყვანი ვსცე შენს გაციებულს გვამს, ავაზაკებისგან სიცოცხლედამწარებულს.

მნათობი, სხივ-მომფინარედ ამობრწყინებული, სხივგაფანტვითვე ჩაესვენება იმავ დიდებით და ძლიერებით, რომლითაც ამოელვარებულა და ნათელი სრბოლა მისი ყველასათვის სათვალ-და-თვალოა, თვინიერ ბრმებისა. და შენც, არსებანათელო, როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი შეიქნა ყველასთვის სათვალ-და-თვალო და მაშ, შენდა საქებად, სადიდებლად რაღა ვსთქვათ ისეთი, რომ საქართველოს ერთი კუთხიდამ მეორემდე არ ენახოსთ, არ ეგრძნოსთ.



ახალი ამბავი

† კვირას, 25 ოქტომბერს, მიეიღეთ სტავროპოლიდამ შემდეგი დეპეშა:

„დღეს დილაზე დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი მოკლული ნახეს თავის სადგურში. გამოძიება სწარმოებს.“

კვირას საღამოზე მოგვეივიდა მეორე დეპეშა:

„გამოძიებით ჩნდება, რომ ყიფიანის გაძარცვა სდომებიათ და ამ განზრახვით მოუკლავთ.“

პირველი ინფორმაცია დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის შესახებ

უმეტესმა ნაწილმა იმერეთისამ, – შენზედ მგლოვიარემ, – არ იცის, რაგვარი გვირგვინი უნდა გადმოგხუროს, დაფნისა თუ ყვავილებისა... და ეგ ხომ ჩვეულებრივ მოვლინებათ გადაიქცა ჩვენში და შენ კი, რომლის სიცოცხლეც და სიკვდილიც არაჩვეულებრივი იყო, შენ, რომელმანც შენს სიცოცხლეში მხოლოდ ეკლის გვირგვინი ატარე, ჩვეულებრივი აღარა გაგებედებოდა-რა და ვერც შემოგკადრეთ.

და აჰა! ხელცარიელი, უგვირგვინო, ვსდგევართ შენს წინ და მხოლოდ ცრემლებს ვაფრქვევთ გულწრფელად შენს ბედშავს, მაგრამ დიდებულს კუბოს! დეე, უღვთო-უსჯულოდ დათხეულს შენს სისხლს შეეთანაზიაროს ცრემლი სიმართლისა და გულწრფელობისა, რომ ორნივე ერთად, შეერთებულად, წინდათ დაიდვას იმა მომავლისათვის, რომელსაც შენ მთელ შენს სიცოცხლეს სწირავდი და ღირსიც გახდი, რომ იწოდო ნამდვილ დიმიტრი თავდადებულად!



დიმიტრი ყიფიანის საფლავის ძეგლი

მშვიდობით, ხორციელად ჩვენგან დაკარგულო, მაგრამ სულიერად კი საშვილიშვილოდ მოკავშირევ, ჩვენო დიდებულო მოძღვარო!

გარემო და მისი დაცვა უარყოფითი ანთროპოგენული ფაქტორებისაგან

ავტორი: აივენგო შათირიშვილი

„ბუნება არის ერთადერთი წიგნი, რომლის ყოველი ფურცელი დიდ შინაარსს გვთავაზობს.“
იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ადამიანი მჭიდროდ არის დაკავშირებული ბუნებასთან და მისი განუყოფელი ნაწილია. ბუნება არის არა მარტო საარსებო სივრცე, არამედ ერთადერთი წყარო, რომლიდანაც ადამიანი სასიცხლო მნიშვნელობის რესურსებს იღებს. ადამიანი საცხოვრებლად ირჩევს სიცოცხლისათვის გამოსადეგ გარემოს. ფართო გაგებით, გარემო არის აბიოტურ და ბიოტურ პირობათა ერთობლიობა, რომლებიც უშუალოდ ან არაპირდაპირ მოქმედებს ორგანიზმზე.

ბიოსფეროში გავრცელებული დანარჩენი სახეობებისაგან განსხვავებით, ადამიანი ცდილობს, გარდაქმნას ბუნება და გამოიყენოს იგი თავის სასარგებლოდ. ისტორიულ წარსულში ადამიანი ჰარმონიულად ვითარდებოდა ბუნების წიაღში და მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული. გარემოსთან ურთიერთობა მას შემდეგ გამწვავდა, რაც ადამიანმა დაიწყო ცეცხლის გამოყენება და ხელი მიჰყო მწარმოებლურ მეურნეობას – მიწათმოქმედებასა თუ მეცხოველეობას. ადამიანის სამეურნეო საქმიანობამ გამოიწვია ეკოსისტემების რღვევა, ფლორისა და ფაუნის გაღარიბება: 50 ათასი წლის წინ აფრიკის მრავალ რეგიონში (ადამიანის ისტორიულ საცხოვრისში) მსხვილ ძუძუმწოვართა სახეობების 50%-ზე მეტი მოისპო ანთროპოგენური ფაქტორის მოქმედებით.

ისტორიამდელ პერიოდში ტყეს მთელი ხმელეთის 70% ეკავა. განსაკუთრებით მასობრივად ტყე განადგურდა იმ ტერიტორიებზე, სადაც ძველი ცივილიზაციები ყვაოდა (ჩინეთი, ინდოეთი, ეგვიპტე, შუამდინარეთი და ა. შ.). ასე მაგალითად, 5000 წლის წინ, იუდეველთა მეფე სოლომონის ბრძანებით, ხის 80.000 მჭრელმა მასობრივად გაჩეხა ლიბანის კედრის ტყეები სასახლისა და ტაძრის მშენებლობისათვის. ტყეებს ანადგურებდნენ ასევე საძოვრების შექმნის მიზნით, რისთვისაც ხშირად გამოიყენებოდა ცეცხლი. ცნობილია, რომ 10.000 წლის წინ ჩრდ. ამერიკაში მოსახლე აბორიგენებმა ბიზონების საძოვრების გაფართოების მიზნით მთლიანად გადაწვეს ტყის მასივები. ტყის ადგილი პრერიებმა დაიჭირა.

ერთ დროს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ტყით იყო დაფარული. ცნობილია, რომ ქართველთა მეფეს, დავით აღმაშენებელს (XI-XII სს.), თურქ-სელჩუკები „ტყეთა მეფეს“ უწოდებდნენ. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის, ვახუშტი ბაგრატიონის (XVII-XVIII სს.) ცნობით, თბილისის შემოგარენი გაუვალი ტყით იყო დაფარული. საზოგადოდ, ისტორიული წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში 600. 000 ჰა-მდე ტყე განადგურდა.

ქვეყანაში ტყის მასობრივი ჩეხვა გრძელდებოდა

ახლო წარსულშიც. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოს გარე კახეთი, შირაქი და ელდარი დაფარული იყო ჭალის, ვაკის, ზოგან კი ნათელი ტყის მასივებით. ამჟამად ჭალის ტყე საქართველოში დიდ იშვიათობას წარმოადგენს, ნათელი ტყე კი მხოლოდ ვაშლოვანის ნაკრძალშია შემორჩენილი. ტყეების მასობრივი განადგურების უარყოფით შედეგებს – წყალდიდობას, ღვარცოფს, მეწყერს, ეროზიას, ნიადაგის ჩამორეცხვასა და გამოშრობას, მდინარეებში წყლის შემცირებას, წყაროების დაშრობას საქართველოს ყველა კუთხეში ვხვდებით.

დასასრულ, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ შორეულ წარსულში, მოსახლეობის სიმცირისა და შრომის პრიმიტიული იარაღების გამოყენების გამო, ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე უფრო ლოკალურ ხასიათს ატარებდა. ბოლო 100-200 წლის მანძილზე კი ველური ბუნების განადგურებამ გლობალური სახე მიიღო – ამ მცირე ხნის განმავლობაში ლანდშაფტები უფრო შეიცვალა, ვიდრე წინა ათასწლეულებში, დაირღვა ტრადიციული ეკოსისტემები. ველური ბუნების ეს მასშტაბური გაჩანაგება სამმა მოვლენამ გამოიწვია: 1. მოსახლეობის რიცხოვნობის მკვეთრმა ზრდამ და ინტენსიურმა ურბანიზაციამ; 2. სამეცნიერო ტექნიკურმა რევოლუციამ; 3. ბუნებრივი რესურსების გადამეტებულმა, გაუაზრებელმა გამოყენებამ. ადამიანის ზემოქმედების შედეგად დედამიწის ცოცხალი არსებებით დასახლებული გარსი – **ბიოსფერო**, გარდაიქმნა **ბიოტექნოსფეროდ**.

კავკასია – ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილი

კავკასიის ფლორისა და ფაუნის განუმეორებელი იერსახის ჩამოყალიბება 15 მილიონი წლის წინ დაიწყო. კავკასიის, მათ შორის, საქართველოს ფლორა და ფაუნა ნაირფეროვანია და წარმოადგენს ევროაზიური და აფრიკული სახეობებისაგან შექმნილ უნიკალურ ეკორეგიონს, რომელიც ენდემიზმის მაღალი დონით ხასიათდება. ენდემური მცენარეებიდან უნდა აღინიშნოს: კავკასიური სოჭი, ბიჭვინთისა და ელდარის ფიჭვი, ქართული ზამბახი, იმერეთისა და პონტოური მუხა, ქართული ნუში, კოლხური სურო, დეკა, შქერი და სხვ.; ენდემური ცხოველებიდან აღსანიშნავია: ორი სახეობის ჯიხვი, კავკასიური ირემი, კავკასიური მურა დათვი, კოლხური ხოხობი, კავკასიური და კასპიური შურთხი, კავკასიური როჭო, კავკასიური გველგესლა, აჭარული ხვლიკი, კავკასიური სალამანდრა, კოლხური ხრამული, ბუხის ლოკოკინა და სხვ.

კოლხური ხოხობი

დროთა განმავლობაში კავკასიის ფაუნა მნიშვნელოვნად შეიცვალა ადამიანის მოქმედებით, განადგურდა ბევრი სახეობა, მაგ.: 10 საუკუნის წინ მოისპო ლომი და კულანი (გარეული ვირი), XVII საუკუნეში – ავაზა, XVIII საუკუნეში – თახვი და ლოსი, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში – კავკასიური დომბა და თურანული ვეფხვი. ამჟამად ენდემური სახეობების 60% გადაშენების საფრთხის წინაშეა.

ჯიხვი

ზოგიერთი მათგანი საქართველოს წითელ ნუსხასა და წითელ წიგნშია შეტანილი. ცხოველებიდან, კერძოდ, საფრთხე ემუქრება: კავკასიურ ირემს, კავკასიურ ფოცხვერს, ნიამორს, ქურციკს, სვავს, ორბს, მთის არწივს და სხვ.; მცენარეებიდან – კაკალს, წაბლს, ჭოროხისა და ჭალის მუხას, ქართულ ზამბახს, კოლხურ თხილს, ქართულ ნეკერჩხალს, სამეგრელოს არყს, კოლხურ ბზას, ქართულ თელას, ძელქვას, ქაცვსა და მრავალ სხვას.

საქართველო უძველესი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ქვეყანაა, რომელიც მიეკუთვნება კულტურულ მცენარეთა წარმოშობის ერთ-ერთ კერად მიჩნეულ წინააზიურ ცენტრს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურის, ვაზის, სამშობლოდ საქართველოა აღიარებული. ჩვენი წინაპრების მიერაა გამოყვანილი ვაზის 500-მდე უნიკალური ჯიში. მათ შორის აღსანიშნავია: რქაწითელი,

კავკასიური როჭო

ქართული ზამბახი

საფერავი, ციცკა, ალადასტური, თავკვერი, ალექსანდროული, ბუდეშური, ცოლიკაური, ჩხავერი და სხვ. საქართველო ასევე მიიჩნევა ძვირფასი მარცვლოვანი კულტურის, ხორბლის, ერთ-ერთ სამშობლოდ. აბორიგენული ხორბლის ფორმებიდან აღსანიშნავია: დიკა, დოლის პური, მახა, გვაწამახა, თავთუხი, კოლხური ასლი, ჩელტა-ზანდური და სხვ. გარდა ამისა, საქართველოში გამოყვანილია ქერის, ჭვავის, მსხლის, ვაშლის, სელისა და სხვა კულტურულ მცენარეთა ჯიშები.

ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს ცხოველთა უნიკალური ჯიშებიც, კერძოდ: კავკასიური ნაგაზი, კახური და სვანური ღორი, თუშური და იმერული ცხვარი, მეგრული და თუშური ძროხა, მეგრული და თუშური ცხენი და სხვა. საფრთხის წინაშეა აგრობიომრავალ-ფეროვნება. თუ არ მივიღეთ გადამჭრელი ზომები, აბორიგენულ ჯიშებს ადვილად ჩაანაცვლებს უცხოური უხმოსავლიანი, მაგრამ გაცილებით დაბალი საგემოვნო თვისებების ან გენმოდიფიცირებული ფორმები.

კავკასია ბიოლოგიურ-ად უმდიდრესი, უნიკალუ-რი და ამავდროულად ხმელეთის ყველაზე მეტად საფრთხის წინაშე მყოფი ეკორეგიონია. ამის გამო „ბუნების დაცვის ფონდის“ ინიციატივით კავკასია აღიარებულ იქნა ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთ ცხელ წერტილად. ველური ბუნების დაცვას, საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რიცხოვნობის აღდგენასა და კონსერვაციას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

ველური ბუნება საფრთხეშია

ნებისმიერ ქვეყანას სამი ძირითადი ფასეულობა გააჩნია: მატერიალური, კულტურული და ბიოლოგიური. პირველი ორის შესახებ ყველამ კარგად ვიცით. რაც შეეხება ბიოლოგიურ ფასეულობას, მის შესახებ ძალზე მწირი ინფორმაცია გაგავაჩნია და არაფრად მიგვაჩნია, თუმცა ერი ისევე უნდა ზრუნავდეს მასზე, როგორც კულტურასა და ენაზე. ბიოლოგიური ფასეულობა მატერიალური კეთილდღეობის წყაროა. იგი გვაწვდის საკვებს, ჟანგბადს, საშენ მასალას, სათბობს, სამოსს, ქმნის კლიმატსა და სხვ.

ამჟამად კაცობრიობა ეკოლოგიური კრიზისის პირას იმყოფება. საარსებო გარემო იმდენადაა შეცვლილი, რომ შემდგომი ზემოქმედების შედეგად იგი ადამიანის საზოგადოებისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდება. ადამიანი თავისი საქმიანობით გავლენას ახდენს რელიეფზე, ჰიდროგრაფიულ ქსელზე, მცენარეთა და ცხოველთა სამეფოზე. განადგურების პირასაა მისული როგორც აღდგენითი (მაგ.: ნიადაგი, მცენარეულობა, ცხოველები), ისე აღუდგენადი (მაგ., წიაღისეული) ბუნებრივი რესურსები. ამიტომაც კაცობრიობის წინაშე წამოიჭრა მნიშვნელოვანი პრობლემა – თავიდან აიცილოს ადამიანის საარსებო გარემოს ხელყოფა და ბუნების აღდგენითი უნარის მოსპობა. ბუნებრივი ეკოსისტემების საერთო მოცულობის შემცირება თანამედროვეობის ერთ-ერთი საჭირბოროტო ტენდენციაა. განსაკუთრებით განადგურდა

კავკასიური საღამანდრა

კოღხური ბზა

ამაზონის აუზის ტროპიკული ტყეები – პლანეტის „ფილტვები“. მაგ., ზომიერი ტყის ფათობი 70%-ით შემცირდა. უდაბნოდ იქცა 9 მილ. კმ2-ზე მეტი ფართობი. 140 წლის მანძილზე დედამიწის საერთო ბიომასა 21%-ით შემცირდა, ხმელეთის ბიომასამ კი 20%-ით იკლო.

თანამედროვე პირობებში დიდი ყურადღება ექცევა დედამიწის გარსების (ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ლითოსფერო, ბიოსფერო) დაცვას დაჭუჭყიანებისაგან. დაბინძურების ძირითად კერას ქალაქები წარმოადგენს. გარემოს აბინძურებს საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩანადენი, ატმოსფერული მტვერი, ფაბრიკა-ქარხნების მიერ გამოყოფილი სხვა აირები. გარემოს მნიშვნელოვნად აბინძურებს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვიც. თითოეული ავტომობილი გარემოში ყოველწლიურად 1 კგ ტყვიას გამოყოფს. მნიშვნელოვან დამაჭუჭყიანებელ ფაქტორს წარმოადგენს

წითელ წიგნში შეტანილი ზოგიერთი სახეობა

ასევე სოფლის მეურნეობაში გამოყენებული შხამქიმიკატები.

ტექნოგენურმა პროგრესმა გამოიწვია სასმელი წყლის მარაგის შემცირება. ოკეანეების, მდინარეებისა და ტბების დაჭუჭყიანებამ გლობალური ხასიათი მიიღო. საყოფაცხოვრებო ნარჩენები (ნაგავი, სარეცხი საშუალებები, სინთეზირებული ნივთიერებები და მისთ.), წარმოების ნარჩენები, შხამქიმიკატები აბინძურებს მდინარეებს, რომელთა საშუალებით დაბინძურებული წყალი ხვდება ზღვებსა და ოკეანეებში.

გარემოს მნიშვნელოვნად აბინძურებს ნავთობპროდუქტები. დაბინძურებას იწვევს ტანკერების ავარიები, ნავთობის ჭაბურღილები ზღვაში და მათი ავარიები და მისთ. მსოფლიო ოკეანეში ყოველწლიურად სხვადასხვა მიზეზით 5 მილიონი ტ. ნავთობი იღვრება.



ჩერნობილის ატომურ ელექტრო სადგურში მომხდარი კატასტროფის შედეგად წარმოქმნილი რადიაქტიული ღრუბლის გავრცელება

ტექნოგენური კატასტროფები კაცობრიობის ისტორიაში არაერთხელ აღნიშნულა, მათი რაოდენობა ბოლო ათწლეწულებში ძალზე გაიზარდა. ყველაზე საშიშია ატომური ელექტროსადგურების აფეთქების გამო გარემოში რადიაქტიური ელემენტების გავრცელება. ასე მაგ., ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების შედეგად, რომელიც 1986 წლის 26 აპრილს მოხდა, გარემოში 180 ტონა ურანი გამოიფრქვა და დიდ ფართობზე გავრცელდა. კატასტროფას 10 000 ადამიანი ემსხვერპლა. ექსპერტების ვარაუდით, 70 წლის მანძილზე დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი კიბოთი დაიღუპება. ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში ახლაც მკურნალობენ „ჩერნობილის ბავშვებს“, რომლებმაც გამოსხივების დოზა მიიღეს.

ჟანგბადის წყაროა მცენარეები. ქარხნები, მანქანები, თვითმფრინავები და სხვ. დიდი რაოდენობით შთანთქავენ ჟანგბადს და გამოყოფენ

მავნე აირებს. ყოველწლიურად იხარჯება 2-10 ტ. ჟანგბადი. დამაბინძურებელი ფაქტორები მცენარის ზრდა-განვითარებას ორჯერ ამცირებს. ფოტოსინთეზის ინტენსივობა ინდუსტრიულ რაიონებში გაცილებით დაბალია, ვიდრე ბუნებრივ ეკოსისტემებში. ჟანგბადის რაოდენობის შემცირების პარალელურად ატმოსფეროში მატულობს მავნე აირების შემცველობა. სხვა უარყოფით ცვლილებებთან ერთად იგი იწვევს ინფრაწითელი სხივების გადამეტებულ შთანთქმას, რაც დედამიწაზე ტემპერატურის გლობალური მომატების მიზეზია. იგი იწვევს ე. წ. „სათბურის ეფექტს“, რაც უარყოფითად მოქმედებს ბიოსფეროზე. გარემოს დაცვა თბური დაბინძურებისაგან ერთ-ერთ საჭირბოროტო პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება.

ფოტოქიმიური პროცესების შედეგად ჰაერში გაიზარდა ოზონის შემცველობა. დასავლეთ ევროპაში მისი კონცენტრაცია გაზრდილია 2-4-ჯერ, კალიფორნიასა (აშშ) და ავსტრიაში ზოგჯერ 10-11-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას. ოზონი მავნე ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე, ცხოველებსა და მცენარეებზე. სტრატოსფეროში შეინიშნება საწინააღმდეგო მოვლენა. რიგი აირების (მაგ., ფრეონის) მოქმედების შედეგად სტრატოსფერული ოზონის შრე თხელდება. ზოგიერთ რეგიონში (არქტიკისა და ანტარქტიდის თავზე) წარმოიქმნა ოზონის ხვრელი. ბუნებრივია, ოზონის დაზიანებული ეკრანი ვეღარ შეაკავებს რადიაციულ გამოსხივებას, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს ბიოსფეროზე.

თანამედროვე კაცობრიობის ყველაზე სასიცოცხლო პრობლემათა რიცხვს ეკუთვნის ხალხთრიცხოვნობა. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში დედამიწაზე 200 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, 1000 წ. – 257 მილიონი. XVII ს. – 500 მილიონი. 1900 წ. – 1,6 მილიარდი, 1970 წ. – 4 მილიარდი. 2000 წლისათვის ადამიანთა რიცხვი 6 მილიარდს აღემატებოდა, 2050 წლისათვის კი 10-11 მილიარდს გადააჭარბებს. დედამიწაზე მოსახლეობის რიცხვის მკვეთრ ზრდას დემოგრაფიულ აფეთქებას უწოდებენ და გეოლოგიურ კატასტროფას ადარებენ. მოსახლეობის ზრდა იწვევს საცხოვრებელი ტერიტორიების, სასოფლო-სამეურნეო მიწების, საკვების ზრდის აუცილებლობას, ასევე ბუნებრივი რესურსების გადამეტებულ ხარჯვას. ამას თან ახლავს ეკოსისტემების ფართობის შემცირება და გარემოს დაჭუჭყიანების გაზრდა.

გარემოს მუტაგენები

ბოლო ათწლეულებში გარემოს დაჭუჭყიანებამ გლობალური მასშტაბები შეიძინა. მეცნიერთა აზრით, საშიშადაა მიჩნეული შემდეგი ფაქტორები (განლაგებულია სტრესული მნიშვნელობის თანმიმდევრობით): 1. პესტიციდები; 2. მძიმე მეტალები; 3. ნახშირბადის (II) ოქსიდი; 4. გოგირდის (II) ოქსიდი და მისი დაჟანგვის პროდუქტები; 5. დაღვრილი ნავთობი; 6. საწარმოებიდან ჩანადენი წყლები; 7. ქიმიური სასუქები; 8. ორგანული ნარჩენები; 9. აზოტის ოქსიდები; 10. რადიოაქტიული ნარჩენები; 11. ქალაქის ნაგავი; 12. ატომური ელექტროსადგურების რადიაციული ნარჩენები; 13. ფოტოქიმიური ოქსიდანტები; 14. ჰაერის ნახშირწყალბადები; 15. ნახშირბადის (IV) ოქსიდი; 16. ქალაქის ხმაური და სხვ.

ეს ჩამონათვალი გვიჩვენებს, თუ რარიგ მრავალფეროვანია ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე. დედამიწაზე არ მოიპოვება უბანი, სადაც ასეთ ზემოქმედებას მეტნაკლები ინტენსიურობით ცოცხალი სისტემა არ განიცდიდეს. გარემოს დამაჭუჭყიანებელ მრავალ ფაქტორს გენეტიკური აქტიურობა აღმოაჩნდა. ისინი გენეტიკურ სტრუქურაში სხვადასხვა სახის ცვლილებებს – მუტაციებს იწვევს. გარემოში მუტაგენების გავრცელება მუტაციის სიხშირის გაზრდას იწვევს. წარმოქმნილი მუტაციები მეტწილად რეცესიული და საზიანოა. ისინი არღვევს ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბებული ორგანიზმის ერთიან გენეტიკურ სტრუქტურას. საფრთხე ემუქრება როგორც თანამედროვე ადამიანს, ისე მომავალ თაობებსა და მთელ ბიოსფეროს. სადღეისოდ ადამიანში გამოვლენილი და აღწერილია 4000-მდე მემკვიდრული დაავადება. თუ გარემოს მუტაგენური ფაქტორები არ აიკრძალა ან არ შემცირდა, ადამიანში კიდევ უფრო მაღალი სიხშირით გამოვლინდება მემკვიდრული დაავადებები და მათი რიცვხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

გენეტიკურად აქტიური ფაქტორები იყოფა სამ ჯგუფად – ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ ფაქტორებად. ფიზიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება სხვადასხვა სახის მაიონიზებელი რადიაცია და

ულტრაიისფერი სხივები. მაიონიზებელი რადიაციის გენეტიკური ეფექტის შესწავლით დადგენილია, რომ დოზას ქვედა ზღურბლი არ გააჩნია, უმცირესი დოზაც კი ახდენს მუტაციის ინდუქციას. მაგ., თუკი ცოლქმრული წყვილიდან ერთ-ერთი ინდივიდი მიიღებს 1,0-1,5 გრეი დოზას (რაც მუტაციის ინდუქციას ორჯერადად ზრდის), დაავადებული შვილის ყოლის ალბათობა უმნიშვნელოდ (4-5%-დან 5-6%-მდე) იზრდება. სურათი მკვეთრად იცვლება, თუკი იმავე დოზას რეგიონის მთელი მოსახლეობა მიიღებს – მომდევნო თაობაში დაავადებულთა რაოდენობა ორჯერ მოიმატებს. ნათელია, რომ ბუნებრივი რადიაციული ფონის გაზრდამ (რასაც იწვევს ბირთვული იარაღის გამოცდა, რადიონუკლეოიდებით გარემოს გაბინძურება, მედიცინაში რადიაციის გამოყენება და მისთ.), შეიძლება ისეთ დონეს მიაღწიოს, რომელიც საშიში იქნება დედამიწაზე მცხოვრები ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმისათვის.

გენეტიკურად აქტიურ ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე ულტრაიისფერი სხივები. ოზონის ეკრანი არ ატარებს გრძელტალღოვან ულტრაიისფერ სხივებს, მაგრამ ტექნოგენური მოქმედებით ზიანდება ოზონის შრე. შემოჭრილი ულტრაიისფერი სხივები უარყოფითად იმოქმედებს ცოცხალ სისტემაზე. იგი გაათბობს დედამიწის ზედაპირს, რაც ქარის, ნალექებისა და ტემპერატურული რეჟიმის დარღვევას გამოიწვევს.

დღეისათვის სინთეზირებულია და სახალხო მეურნეობაში გამოიყენება 4 მილიონზე მეტი ორგანული ნაერთი, რომლებსაც სხვადასხვა მიზნისათვის იყენებენ. ბევრი მათგანი ევოლუციის პროცესის განმავლობაში ბიოსფეროში არასდროს ყოფილა. ამდენად, ნაერთების დაშლა (მინერალიზაცია) არ ხდება და ისინი დიდხანს რჩება გარემოში. ნაერთთა გარკვეული ნაწილი სხვადასხვა გზით ვრცელდება გარემოში. უშუალოდ ან კვებითი ჯაჭვების გზით ისინი ხვდება ორგანიზმში, რასაც თან სდევს გაუთვალისწინებელი შედეგები. ამ დამაჭუჭყიანებელ ფაქტორთა შორის ყველაზე საშიშადაა მიჩნეული პესტიციდები. მრავალი მათგანისათვის ნიშანდობლივია გენეტიკური აქტიურობა. თუ თავდაპირველად მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური მეთოდი დიდ მიღწევად ითვლებოდა, ამჟამად ის რთულ პრობლემად იქცა. კარგადაა შესწავლილი ქლორშემცველი ნახშირწყალბადის დდტ-ს გენეტიკური აქტიურობა. მას ფართოდ იყენებდნენ გასული საუკუნის 40-70-იან წლებში (სინთეზებული იყო 1,8 მილიონი ტონა ნივთიერება, რომლის 80% სოფლის მეურნეობაში გამოიყენეს, ხოლო 20% – დაავადებათა გამავრცელებელი მწერების წინააღმდეგ). იგი მთელ დედამიწაზეა გავრცელებული ანტარქტიდის ჩათვლით. ეს ნაერთი გამოირჩევა მდგრადობით, კვებით ჯაჭვებში დაგროვების დიდი უნარით, ძლიერი ტოქსიკურობითა და მაღალი გენეტიკური აქტიურობით. კვებით ჯაჭვში დონის ამაღლების კვალობაზე მატულობს დდტ-ს შემცველობა. გასული საუკუნის 70-იან წლებში



პესტიციდ დდტ-ს დაგროვება კვებითი ჯაჭვის რგოლებში

მისი გამოყენება აიკრძალა, მაგრამ ბუნებას მისი მოქმედების კვალი ამჟამადაც ამჩნევია. სოფლის მეურნეობაში ფართოდ გამოყენებული ნიტრატები ბიოქიმიური გზით გარდაიქმნებიან ნიტრიტებად. ძუძუმწოვართა, მათ შორის, ადამიანის, კუჭის მჟავა არეში ნიტრიტებისა და ამინონაერთებისაგან ძლიერი მუტაგენები (ე. წ. სუპერმუტაგენები) – ნიტროზონაერთები წარმოიქმნება. გენეტიკურ აქტიურობას ავლენს მძიმე მეტალები და მრავალი სამკურნალო პრეპარატი (აქტინომიცინი, ამინოპტერინი, ბიომიცინი, სტრეპტომიცინი, ზოგიერთი სულფანილამიდი და სხვა).

გამოვლენილია ბიოლოგიური ფაქტორები, რომლებიც გამოირჩევა გენეტიკური აქტიურობით. მათ რიცხვს მიეკუთვნება მრავალი ვირუსი. სომატურ უჯრედებში ქრომოსომულ მუტაციებს იწვევს წითელას, ჩუტყვავილას, ყვავილის, გრიპის, ჰეპატიტისა და სხვა ვირუსები.

როგორ შევინარჩუნოთ ველური ბუნება

სახეობათა განადგურების ასეთი მძლავრი ტენდენცია, რომელიც ამჟამად შეინიშნება ბუნებაში, დინოზავრების გაქრობის შემდეგ არ ყოფილა. გადაუდებელი ამოცანაა მისი შეჩერება და გარემოს დაცვა ხანგრძლივი და შეუქცევადი უარყოფითი ცვლილებებისაგან. ამ მიზნით შემუშავდა სხვადასხვა სტრატეგია. ერთ-ერთი მათგანია ***რაციონალური ბუნებათსარგებლობის*** განვითარება. იგი გულისხმობს ბუნებრივი რესურსებისა და ენერგიის რაციონალურ გამოყენებასა და უნარჩენო (ან მცირე ნარჩენებიანი) ტექნოლოგიების დანერგვა-გამოყენებას, ასევე დამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრული დასაშვები ნორმების განსაზღვრასა და პრაქტიკაში დანერგვას.

სავალდებულოა სახალხო მეურნეობასა და მედიცინაში შემოტანილი ახალი პრეპარატების ექსპერტიზა. მათი ტოქსიკური და გენეტიკური აქტივობის შემოწმება-განსაზღვრა. სადღეისოდ შემუშავებულია სპოტ-ტესტები, რომელთა გამოყენებით სწრაფად ხორციელდება ნივთიერებათა ავკარგიანობის დადგენა.

პესტიციდების მიერ გარემოს დაჭუჭყიანებისაგან დაცვის მნიშვნელოვანი გზაა მავნებელი მწერებისადმი რეზისტენტულ მცენარეთა ჯიშების გამოყვანა. საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: ნიადაგის ბაქტერიას (Bacillus thuringiensis) მოეპოვება გენი, რომელიც სპეციფიკური მოქმედების ცილა-ტოქსინს აკოდირებს. ტოქსინი უსაფრთხოა ძუძუმწოვრებისა და ფრინველებისათვის და ხოცავს მხოლოდ მწერებს. გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენებით ბაქტერიიდან გამოყვეს ტოქსინის მაკონტროლებელი გენი და შეიტანეს სიმინდის, ბამბის, თამბაქოსა და კარტოფილის საწარმოო ჯიშებში. მცენარეში ჩანერგილი გენი ნორმალურად ამოქმედდა და უჯრედში დაგროვდა ტოქსინი. იგი კლავს მხოლოდ იმ მავნე მწერს, რომელიც ამ მცენარით იკვებება. მანამდე ჰერბიციდებით ამუშავებდნენ ნაკვეთებს, რაც აჭუჭყიანებდა არა მარტო გარემოს, არამედ განურჩევლად სპობდა ყველა სახის მწერს, მათ შორის სასარგებლოებსაც.

სანიმუშოდ კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: მავნებელი მწერი მცენარეს იყენებს არა მარტო საკვებად, არამედ მისთვის საჭირო ნივთიერების – სტერინის მისაღებადაც. ამ ნივთიერების სინთეზი მწერს არ შეუძლია. სტერინი მწერში ჰორმონად (ეკტიზონად) გარდაიქმნება. ჰორმონი არეგულირებს მატლების განვითარების სტადიებსა და მდედრში კვერცხების ფორმირებას. ჰორმონის გარეშე მატლები იღუპებიან, ხოლო მდედრები სტერილურნი ხდებიან და ვეღარ წარმოქმნიან კვერცხებს. შექმნილია მცენარეთა ისეთი ჯიშები, რომლებშიც სტერინი არ სინთეზირდება და მავნე მწერებიც აღარ ეკარებიან.



მწერებისადმი მედეგი მცენარის ჯიშის მიღების სქემა

ერთ-ერთი უსაფრთხო და ეფექტიანი გზაა მავნებელ მწერთა პოპულაციებში ე. წ. „ბიოდივერსანტების“ შეგზავნა. ლაბორატორიაში გამოჰყავთ ლეტალური გენების შემცველი მავნებელი მწერების გენეტიკური ფორმები, რომლებსაც ბუნებაში უშვებენ. ისინი უჯვარდებიან სხვა ველურ მავნებელ მწერებს, პოპულაციებში ვრცელდება ლეტალური გენები და ჰომოზიგოტი მწერები იხოცებიან, რის შედეგადაც მათი რიცხოვნობა მკვეთრად ეცემა ანდა ისინი მთლიანად ნადგურდებიან.

ბუნების დაცვის პრიორიტეტული მიმართულება ბაქტერიული და ვირუსული პათოგენებისადმი რეზისტენტული ფორმების შექმნაა. ასე მაგალითად, ფლორიდის უნივერსიტეტში მკვლევარებმა ვაზის საშიში ბაქტერიული დაავადებისადმი (პირსისადმი) რეზისტენტული ფორმის მიღება შეძლეს. მათ

თუთისაბრეშუ-
მხვევიიდან
გამოყვეს
პათოგენისადმი
რეზისტენტობის
განმსაზღვრელი
გენი, რომელიც
ვაზის გენომში
გადაიტანეს.
ტრასგენულ
მცენარეში ექს-
პრესირებული
გენი გამოყოფს ანტისხეულებს და ვირუსით აღარ
ავადდება.

ღაგოდეხის ნაკრძალი

ამჟამად ქიმიური ნივთიერებებით დაჭუჭყიანებუ-
ლი ნიადაგისა და წყლის გასუფთავების
სხვადასხვა მეთოდია შემუშავებული. მათ შორის
ყველაზე სრულყოფილი და უსაფრთხოა ბიო-
ტექნოლოგიური მეთოდი, რომელიც გულისხმობს
დაჭუჭყიანებულ ტერიტორიაზე, ნაგავსაყრელებზე ან
ნაგავგადამამუშავებელ ქარხნებში საშიში ქიმიური
ნივთიერებების მიკროორგანიზმების მეშვეობით
უსაფრთხო ან ნაკლებად საშიშ ნივთიერებებად
(ბიორემედიტაცია) გარდაქმნას.

ბუნებაში გავრცელებული ბაქტერიებისა და ობის
სოკოებისაგან გამოყვანილია შტამები, რომლებიც
რთული ორგანული ნივთიერებების (პესტიციდები,
პოლიქლორბიფენილები და მისთ.) ბიოდეგრადაციას
ახდენს. ზოგიერთი მიკროორგანიზმი „საკვებად“
მძიმე ლითონებს მოიხმარს, ზოგი მცენარე კი
სხეულში დიდი რაოდენობით იგროვებს მათ.
ამდაგვარ მიკროოორგანიზმებსა და მცენარეებს
მძიმე ლითონებით (დარიშხანი, მანგანუმი,
ვერცხლისწყალი, რადიუმი, ტყვია და მისთ.)
დაჭუჭყიანებული გარემოს გასასუფთავებლად
იყებებენ. ზოგიერთ მიკრობს აღმოაჩნდა
ექვსვალენტიანი ქრომის (გენეტიკურად
აქტიურია და იწვევს კიბოს) სამვალენტიანად
(ნაკლებ ტოქსიკურია) გარდაქმნის უნარი.
ბიოდეგრადაციაში მონაწილე მიკროორგანიზმებიდან
მაღალი წარმადობის ან გენმოდიფიცირებული
შტამები გამოჰყავთ, მათ ინტროდუქციას
გაჭუჭყიანებულ გარემოში ახდენენ და ამ გზით
გარემოს ასუფთავებენ. შემუშავებულია აირებით
დაჭუჭყიანებული ჰაერის ბიოფილტრებით
გასუფთავების ტექნოლოგია.

ცოცხალი ბუნების დაცვას ემსახურება
ახლად ჩამოყალიბებული განხრა –
კონსერვაციული ბიოლოგია, რომლის მიზანია
ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, აღდგენა
და ბუნებათსარგებლობაში ისეთი გზების
დასახვა, რომლებიც მინიმალურ ზიანს მიაყენებს
ბიომრავალფეროვნებას. პრჟევალსკის ცხენი,
კალიფორნიული კონდორი, მექსიკური მგელი
ველურ ბუნებაში ამოწყდა ანთროპოგენული
ფაქტორის მოქმედებით. ბუნებრივ არეალში
მათი აღდგენა ზოოლოგიურ პარკებში დაცული
ცხოველების მეშვეობით მოხერხდა. სადღეისოდ
საქართველოში ბიომრავალეროვნების დაცვას 14
სახელმწიფო ნაკრძალი, 10 ეროვნული პარკი და 18
აღკვეთილი ემსახურება.



პრჟევალსკის ცხენი, კონდორი, მექსიკური მგელი, შავფეხა ქრცვინი ბუნებაში განადგურებულია.

მათი გამრავლება და ბუნებრივ არეალში გაშვება ზოოპარკში დაცული ცხოვრების მეშვეობით განხორციელდა

ველურ ბუნებაში აღდგენილი სახეობები

ველური ბუნების დაცვის საქმეში გადამწყვეტი
მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ეკოლოგიური
ცნობიერების ამაღლებას, მომავალ თაობაში
ეკოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბებასა და
განვითარებას. წინამდებარე სტატია სწორედ ამ
მიზანს ისახავს.

ეს მასალა სხვა ვიდეოლექციებთან ერთად შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.naec.ge

ჯიდიესი - ახალი თაობის ტელევიზია დიდი გეგმებით!

GDS TV გასართობი, მუსიკალური და შემეცნებითი ტელევიზიაა. მაუწყებლობა 2012 წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებიდან დაიწყო. ამ ხნის მანძილზე გვთავაზობს განსხვავებული ფორმატის, საინტერესო, ნოვატორულ და ახალგაზრდულ პროექტებს. ტელევიზიის ძირითადი მაყურებელი ახალგაზრდა თაობაა (16-45 წლის ასაკობრივი ჯგუფი), თუმცა არხმა უკვე დაიწყო ისეთი პროექტების ჩვენება რომლებიც ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის ადამიანისათვის ძალიან საინტერესოა.

„როდესაც იგებენ რომ ჯიდიეს-ში ვმუშაობ, იმ წუთას ვატყობ, როგორ ეცვლებათ ადამიანებს განწყობა პოზიტივისაკენ. ვფიქრობ, ეს განპირობებულია იმით, რომ უკვე ტელეკომპანიამ მოიპოვა პოპულარობა საზოგადოების ყველა ფენაში, ყველა ასაკობრივ კატეგორიაში... ჩვენ ვცდილობთ გავცეთ პოზიტივი, შესაბამისად, მაყურებლისაგანაც იგივეს ვიღებთ.“

ტელეკომპანია ჯიდიესის პიარ მენეჯერი თათა ძმანაშვილი ტელეკომპანიაში დაარსების დღიდან მუშაობს ანუ 2012 წლიდან, როცა შემეცენებით-გასართობმა არხმა მაუწყებლობა დაიწყო. **„ჩვენ ვრჩებით ახალი თაობის ტელევიზიად, თუმცა თავიდან მაუწყებლობა უფრო მცირე სეგმენტზე იყო გათვლილი, ახლა კი ჩვენი არეალი გაიზარდა, შესაბამისად, გაიზარდა აუდიტორიაც“.**

თათა ძმანაშვილის თქმით, ტელეკომპანიის ფეისბუკის გვერდი იმდენად აქტიურია, რომ მას თავისუფლად შეუძლია გაიგოს, ყოველდღიურად ვინ უყურებს არხს, რა ასაკის ადამიანია და როგორია მისი რეაქცია. **„აქედან გამომდინარე , თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ 40 წელს გადაცილებული ადმაიანიც გვიყურებს და სკოლის მოსწავლეც. მე ეს ძალიან მახარებს და მიმაჩნია, რომ ამის მიზეზი ჩვენი საინტერესო გადაცემებია“.**

GDS-ის საეთერო ბადე ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული გადაცემებისაგან შედგება. არხისათვის პრიორიტეტული გადაცემებიდან თათა რამდენიმეს ასახელებს: მაგალითად, გადაცემა **„პეპლის ეფექტი“ იმ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს, რომლის მსგავსი ქართულ ტელესივრცეში არ მოიძებნება. „პეპლის ეფექტი“ აუდიტორიას მსოფლიო ისტორიის ალტერნატიულ ვერსიას სთავაზობს. მაგალითად, რა მოხდებოდა მუსიკალურ სამყაროში, „ბიტლები“ რომ არ ყოფილიყვნენ? ან რა იქნებოდა, ჰიტლერს რომ მეორე მსოფლიო ომი მოეგო. გადაცემა, რომელიც არსებულ რეალობას თავდაყირა აყენებს, დიდ ინტერესს იწვევს სწორედ უფროსი თაობის მაყურებელში“.**

არხზე არსებული გადაცემებიდან ყველაზე დიდი ხნის ისტორია „GD პედიას“ აქვს. ის ეთერში 2012 წლიდან გადის. შემეცნებით-გასართობ გადაცემაში ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ჟურნალისტები სხვადასხვა თემაზე ამზადებენ

სიუჟეტებს. თითოელი მათგანი სიუჟეტის მთავარი გმირია. **„ჯიდიპედიას“ სიუჟეტები სტანდარტული არ არის – ეს არის მინი დოკუმენტური ფილმები, განსხვავებული თემებითა და ორიგინალური ვიზუალით“.**

რაც შეეხება გასართობ-მუსიკალურ შოუს, „ერთი ერთში“ ეს სწორედ ის პროექტია, რომელიც ნებისმიერი გემოვნებისა და ასაკის მაყურებელს აინტერესებს. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შოუ ჯიდეისზე უკვე მესამე სეზონია გადის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეგა-შოუმ ტელეკომპანიას მართლაც განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა. GDS-ის ყურება დაიწყეს მათაც, ვისაც ამ არხის შესახებ მხოლოდ გაგონილი ჰქონდათ. უკვე მესამეჯერ ტელეკომპანიამ დაინტერესებულ მაყურებელს მომღერლების არაჩვეულებრივი გარდასახვა შესთავაზა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, გრიმიორების განსაკუთრებული პროფესიონალიზმი და მონდომება. ასევე თავად მონაწილეთა სითამამე და, რაღა თქმა უნდა, პროდიუსერებისა და მთელი „სტაფის“ თავდადება, რომლებიც მაყურებელს უპრეცედენტო შოუს სთავაზობს.

საინტერესო გადაცემების შესახებ საუბრისას, არ შეიძლება არ ვახსენოთ „კიბერჰაუსი“. ეს პროექტი კონკრეტულ სეგმენტზეა გათვლილი, კერძოდ, იმ ადამიანებზე, ვისაც ახალი ტექნოლოგიები აინტერესებთ. **„ესაა ციფრული სამყაროს უახლესი ამბები. საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია. აქტუალური ციფრული ტექნიკის მიმოხილვა. უახლესი ვიდეო თამაშების განხილვა და მნიშვნელოვანი კიბერთემები“,** – ამბობს თათა ძმანაშვილი.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მიმართულება, თათა ძმანაშვილის თქმით, არის ის სერიალები, რომლებიც არხზე კეთდება. **„სუბიექტური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენს არხზე დაიბადა რამდენიმე ძალიან საინტერესო სერიალი, რომლებიც ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია და რომლებმაც მაყურებელში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ესაა „პარადოქსი“, „პანიკის გარეშე“ და „ტიფლისი“. „პარადოქსის“ ერთი სეზონი გავიდა და მისით ერთ-ერთი უკრაინული არხი დაინტერესდა, „პანიკის გარეშე“, რომელიც ჩვენს თანამედროვეობას ასახავს, მართლაც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მაყურებელში. რაც შეეხება „ტიფლისს“, მე პირადად ვამაყობ ჩვენს არხზე შექმნილი ამ პროდუქტით. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ „ტიფლისმა“ თბილისი აალაპარაკა. ამ სერიალს, მიუხედავად ასაკისა, ელოდება ყველა, ვინც კი ერთხელ მაინც ნახა. სოციალურ ქსელებში უდიდესი მოთხოვნილებაა ამ სერიალზე. სერია გასული არ არის ეთერში, რომ უკვე გვწერენ, გვეკითხებიან, აინტერესებთ, როდის დაიდება ბოლო სერია. „ტიფლისი“ კიდევ გაგრძელდება რამდენიმე სეზონი და მჯერა, რომ ხალხს სულ ასეთი მოლოდინი ექნება“.**

რაც შეეხებათ ადამიანებს, რომლებიც უშუალოდ ქმნიან GDS-ს – ისინი ძირითადად ახალგარზრდა, ენერგიული, გამოცდილი თანამშრომლები არიან. თათას თქმით, არხის ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალი სახეების შექმნაა. **„ის ჟურნალისტები, რომლებიც ჯიდიესის დილაში, შუადღეში თუ ჯიდიპედიაში მუშაობენ, სწორედ აქ გაიზარდნენ. აქ ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად. ასევე სიამაყით აღვნიშნავ, რომ გვყავს ძალიან ნიჭიერი რეჟისორები – ლევან დაბრუნდაშვილი და ჯაბა მელქაძე, რომლებიც სერიალების ავტორები არიან. ისინი ტელეკომპანიაში არიან მისი შექმნის დღიდან და სწორედ მათ სახელს უკავშირდება იმ გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც დღეს ჯიდიესში მუშაობს“.**

თათა ამბობს, რომ ჯიდიესი – ეს არის ახალგარზდა ტელეკომპანია დიდი ამბიციებით. მაუწყებლობა დაიწყო 2012 წლის ნოემბრიდან. GDS TV მაუწყებლობს საკაბელო, IP ტელევიზიებისა და სატელიტური თეფშების საშუალებით. 2013 წლის ზაფხულში მაუწყებლობა გაფართოვდა და მისი ნახვის საშუალება აქვს ყველას სახლის ანტენითაც დეციმეტრულ სიხშირეზე თბილისსა და მთელს საქართველოში.

GDS მაყურებელს 2015 წლიდან კიდევ ბევრ ახალ და საინტერესო პროექტს ჰპირდება.

„სიყვარულის“ შემქმნელისაგან...

ინტერვიუ ირაკლი ოჩიაურთან

ავტორი: ქეთი კვიტატიანი

ამ კვირის განმავლობაში რამდენიმე ადამიანს ვკითხე: გაიხსენეთ ქანდაკება ან რელიეფური პანო საქართველოში, რომელიც თქვენთვის სიყვარულის სიმბოლოა-მეთქი? – ალბათ თამარ კვესიტაძის „ალი და ნინოო“ – მითხრა რამდენიმემ. დაახლოებით 40-50 წლის წინ რომ ჩამეტარებინა ეს გამოკითხვა, სავარუდოდ, ბევრი ირაკლი ოჩიაურის რელიეფურ პანოს „სიყვარულს“ დაასახელებდა, რომელიც საქართველოში გასნილ პირველ ქორწინების სასახლეშია მოთავსებული. „1965 წელს, სანაპიროზე, სადაც თბილისის ქორწინების სახლი გაიხსნა, მაღაზია უნდა გახსნილიყო, მაგრამ ხელისუფლებამ გადაწყვეტილება შეცვალა და არქიტექტორებმა შ. ყავლაშვილმა და რ. კიკნაძემ პროექტი გადააკეთეს. თბილისის ქორწინების სახლის კედლები ირაკლი ოჩიაურმა გააფორმა. მოწონებული იქნა მისი სპილენძზე ნაჭედი ჭაბუკის და ქალიშვილის ერთმანეთზე მიდებული თავების რელიეფი – სკულპტურული პანო „სიყვარული“ (მალხაზ კოხრეიძე).

„სიყვარული“ მრავალი წელია ამშვენებს ქორწინების სასახლეს. ჩვენი დედებისა და ბებიების მეხსიერებაში სახლწოდების ცოდნის გარეშეც იქცა ეს ნამუშევარი სიყვარულისა და შეუღლების სიმბოლოდ. ის მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ხშირად ჩნდებოდა ოქროს ბეჭდებზე, ჭედურ ზარდახშებზე, გულსაკიდებზე და ა. შ.

60-იანი წლების ყველაზე პოპულარული „სასიყვარულო პანოს“ შემქმნელი პროფესიით მოქანდაკეა, გატაცებით ფერმწერი და ცნობილია, როგორც ჭედური ხელვნების ამღორძინებელი მე-20 საუკუნეში. ბ-ნი ირაკლი ოჩიაური ახლა 90 წლისაა. ის 50-იანი წლების ბევრი ქართველი მხატვრის მსგავსად თბილისის „მონმარტრზე“ – ნუცუბიძის ქუჩაზე ცხოვრობს და სახლის სამი მეოთხედი სახელოსნოდ და მუზეუმად გადაუქცევია. თუ ირაკლი ოჩიაურის შესახებ 50 წლის წინ დაწერილ სტატიებს წაიკითხავთ, აღმოაჩენთ, რომ ის „ენერგიული და დაუღალავი“ შემოქმედია, რომლის ეზოდანაც ლითონის წკრიალის ხმა გამოდის მუდმივად. მართლაც უცნაურია, როგორ მოახერხა ერთმა ადამიანმა ისეთი პოპულარული გაეხადა 100 წლის წინ მივიწყებული ჭედური ხელოვნება, რომ ის საბჭოთა ხელოვნების წამყვან დარგად აქცია. „60-იან წლებამდე მხოლოდ მე ვმუშაობდი ჭედურობაში, შემდეგ გამიჩნდნენ მიმდევრები. იმდენად დიდი იყო მოთხოვნა, რომ შეკვეთებს ვერ ვუთავდებოდი და დამხმარე ავიყვანე“ (ი. ოჩიაური). 1976 წელს ირაკლი ოჩიაურის შესახებ გამოცემულ წიგნში ვკითხულობთ: „ხელოვნებათმცოდნენი ერთხმად

ვაჟა-ფშაველას ძეგლი

აღიარებდნენ ქართული ჭედურობის მშვენიერებას, მაგრამ 50-იანი წლების შუა ხანებამდე მუზეუმის ვიტრინებში გამოფენილი ჭედური ნაწარმოებებით ტკბებოდნენ... და აი, ეს ხელოვნება თამამად შემოიჭრა თანამედროვე თბილისის ცხოვრებაში. არა მარტო ინტერიერები – ჭედური თემატური პანოები მეტროებში, მუსიკალური კომედიის თეატრში, ქორწინების სასახლეში, სასტუმროებში, დაწესებულებებში გაჩნდა... ქალაქის ქუჩების იერი დღეს წარმოუდგენელია გამომწვევად სტილიზებული თუ მკაცრად რეალისტური ფირნიშების გარეშე... სპილენძით, ალუმინით, თითბრით ნაჭედი ფირნიშები ქმნიან თავისებურ კოლორიტს, ერთიან სტილისტურ ჯაჭვს“ (ი. მელენტიევი).

მიუხედაად ასეთი დიდი პოპულარობისა, ჭედური ხელოვნების გამოფენა საქართველოში არასდროს გამართულა, ხოლო ე. წ. პოლიტიკური „გარდაქმნის“ შემდეგ, ქართველ ხელოვანებს სულ სხვა ინტერესი გაუჩნდათ – აქამდე აკრძალულ თემებზე დაიწყეს მუშაობა, „რკინის კარის“ შეღების შემდეგ კი აქამდე უცნობი ან შორიდან ნაცნობი ევროპული კულტურის გაცნობასა და ათვისებას შეუდგნენ, ამიტომ თანამედროვე ქართული ჭედურობის გაჩენისა და განვითარების ისტორია აქ წყდება. „ჭედურობა, ასე ვთქვათ, სრულფასოვანი მხატვრობა არ არის, ნაწილობრივ დეკორატიული ხელოვნებაა, რის გამოც თანამედროვე მიდგომებისათვის ის არ აღმოჩნდა ხელსაყრელი, ამიტომაც დღეს ჭედურობაში არავინ მუშაობს“ – ი. ოჩიაური.

– ბ-ნო ირაკლი, თქვენ როგორ გახდით ჭედურობის ოსტატი? როგორ მიაგენით მთელი საუკუნის განმავლობაში მივიწყებული ხელოვნების ამ დარგს მე-20 საუკუნის 50-იან წლებში?

– სრულიად შემთხვევით, ჩემი პედაგოგის, იაკობ ნიკოლაძის, სახელოსნოში ერთხელ ტყვიის პატარა ნაგლეჯი ვიპოვნე და ვთხოვე, ჩემთვის მოეცა. მეც და ჩემი ძმაც ნადირობის დიდი მოყვარულები ვიყავით და საფანტს ძნელად ვშოულობდით, ვიფიქრე, ამ ტყვიისაგან საფანტს დავამზადებ-მეთქი. იაკობმა მითხრა, რომ სჭირდებოდა: – იქნებ რამე ჭედური ნივთი გავკეთოო! – მაშინ ყურადღება არ მივაქციე, როცა გარდაიცვლა, ისევ ამომიტივტივდა მისი ნათქვამი თავში და თითბერზე ვცადე რელიეფის გაკეთება. სიმართლე გითხრათ, მე მოქანდაკე ვარ და მაღალი რელიეფი ყოველთვის მაინტერესებდა. ძალიან გამიჭირდა, არასწორად დარტყმის გამო ნაკაწრები ეტყობოდა რბილი თითბრის ნაჭერს. შემდეგ უფრო გავიწაფე და გამოფენაზეც გავიტანე ჩემი ნამუშევრები. ერთ-ერთი პირველი, იაკობ ნიკოლაძის პორტრეტი იყო, ის ჩემს ცხოვრებაში ძალიან ძვირფასი ადამიანია. სამხატვრო აკადემიაში რომ ვაპირებდი ჩაბარებას, იაკობი შემთხვევით შეგვხვდა ეზოში, მზეზე თბებოდა, მაშინ არც ვიცოდით, დიდი მოქანდაკე რომ იყო, ჩემი ნამუშევრები ვაჩვენე, ხეზე მქონდა ამოკვეთილი ხვსურების ცხოვრებიდან სხვადასხვა სცენა და მოეწონა, დიდი აღფრთოვანება არ გამოუხატავს, მაგრამ მითხრა: ჩემთან ჩააბარე ქანდაკებაზე,



იაკობ ნიკოლაძის პორტრეტი

ირაკლი ოჩიაური

რა გინდა ფერწერაზეო. მოსამზადებელ ჯგუფში ავედით, აქ შემეძლო ერთი კვირის განმავლობაში ხელი გამეწაფა და შემდეგ გამოცდაზე გავსულიყავი. პირველად მაშინ შევეხე თიხას, პირი დავაღე, არ ვიცოდი ქანდაკებები თიხისაგან თუ კეთდებოდა, მაგრამ არ გამჭირვებია, ეტყობა მქონდა ნიჭი, რომელმაც საშუალება მომცა, თუნდაც პირველივე ცდაზე კარგად შემესრულებინა დავალება.

– **თქვენი სადიპლომო ნამუშევარი „ვაჟა-ფშაველა“ დუშეთში დგას. როგორ მოახერხეთ 50-იან წლებში „არასოციალისტურ თემაზე“ შექმნილი ნამუშევრით დაგეცვათ დიპლომი?**

– ჩვენ, მთელი ოჯახი, ნაციონალისტები ვიყავით. მამაჩემი რამდენჯერმე იჯდა ციხეში, დედაჩემის ახლო ნათესავი, თომა ბალიაური, ქაქუცას რაზმში იბრძოდა და წითლებმა მოკლეს, ბიძაჩემი, მწერალი თომა ბალიაური გადაასახლეს. ჩემს ცხოვრებაში ყველაზე სასიხარულო საბჭოთა კავშირის დანგრევა და საქართველოს დამოუკიდებლობაა. არ მეგონა, ეს საშინელი მანქანა თუ დაიმსხვრეოდა. ჩვენ, მთის ხალხი თავისუფალი და უშიშარი ადამიანები ვართ, მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა, არც ერთი ხევსური არ ჩავიდა დუშეთში, რომ ომში წასულიყვნენ. არ ვიცი, ეს როგორ მოხდა, მაშინ ხომ არ იყო ფიჭური კავშირგაბმულობა, არც მიმოწერით შეეძლოთ შეეკრათ ასე ერთად პირი... ეს საერთო ხასიათის, სილაღის, სიჯიუტის მანიშნებელია, არ უნდოდათ სხვის ომში ჩაბმა და მორჩა. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, მოსკოვს შეატყობინეს, თუმცა, რადგან 500-600 ადამიანზე მეტი არ გამოდიოდა, ვისაც ბრძოლა შეეძლო, თავი დაგვანებეს. მეც ასე გადავრჩი, მთელი ომის პერიოდში მთაში ვიყავი, 1945 წელს ისევ დაგვაბრუნეს მშობლებმა თბილისში, ჩვენს ერთოთახიან პატარა ბინაში. არც ვიცი, როგორ ვეტეოდით 18 კვადრატულ მეტრიან ოთახში, მაგრამ სწავლის სურვილის გამო ვიტანდით ალბათ ყველაფერს. სოფლელი ადამიანები ამ მხრივ უფრო ჟინიანები არიან, ცდილობენ, რომ კარგი განათლება მისცენ შვილებს, ქალაქში გამოუშვან უკეთესი ცხოვრების საპოვნელად. ასე გავხდით მე და ჩემი ძმაც ერთი ოჯახიდან ორი ცნობილი მოქანდაკე. ჩემს სადიპლომო ნამუშევარს რაც შეეხება, როგორც ცნობილია, მაშინ თემატიკა შეზღუდული იყო და ან მეჩაიე, ან მეშახტე, ან მუშა შეგეძლო გაგეკეთებინა. მეც ამათგან რომელიღაცის ქანდაკება დავამზადე, არც მახსოვს ზუსტად და უკან ამოვუყენე ვაჟა-ფშაველას სკულპტურა. იაკობ ნიკოლაძეს, რა თქმა უნდა, არ გამორჩენია მხედველობიდან ჩემი ვაჟა და ვითომ სხვათაშორის მითხრა: „შენ ამას გააკეთებ დიპლომის დასაცავადო“. დიპლომის დაცვაზე პრობლემები შემექმნა, მაშდელმა ცეკას მდივანმა



სახელოსნოში...

ჩარკვიანმა იმ ხანებში გამოაცხადა, რომ ვაჟა-ფშაველა ცუდი მწერალი იყო, „ეგ რა მწერალიაო!“ და დარჩა ჩემი დიპლომიც ჰაერში... ჩაუვლის-ჩამოუვლის კომისია და ზედ არ უყურებს არავინ ჩემს ვაჟას. მერე რაღაცნაირად მოხდა ისე, რომ ნორმალური შეფასებაც დამიწერეს და დიპლომიც

ირაკლი ოჩიაურის სახელოსნო

მომცეს. დუშეთში სადიპლომო ვერსიის ოდნავ შეცვლილი ვარიანტი დგას. კონკურსი გამოცხადდა, ცოტა შევცვალე სკულპტურა და ისე გავიტანე, ჩემდა გასაკვირად, გაიმარჯვა.

– ძალიან ხშირად მშობლები უკრძალავდნენ შვილებს სახელოვნებო ფაკულტეტებზე სწავლის გაგრძელებას, თქვენ არ შეგხვდათ ამ მხრივ წინააღმდეგობა?

– არა, ხევსურები ლაღად ზრდიან შვილებს და თავისუფლებას აძლევენ მათ ყველაფერში, მათ შორის პროფესიის არჩევაშიც. მე აკადემიაში, სიმართლე გითხრათ, მათემატიკის უცოდინრობამ მიმიყვანა. მათემატიკა რომ კარგად მცოდნოდა, ალბათ ფიზიკის ფაკულტეტზე ჩავაბარებდი. მხატვრობასაც ცუდად ვიცნობდი, მხოლოდ ილია რეპინის ალბომი მქონდა გულდასმით დათვალიერებული, თუმცა განათლებული ახალგაზრდა ვიყავი, ბევრი წიგნი მქონდა წაკითხული და თეორიული ცოდნა დამეხმარა წარმატებით დამეძლია ბევრი სირთულე. დედაჩემის ძმას, მწერალ ლადო ბალიაურს არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა ჰქონდა, აქ ვნახე პირველად ნიცშეს „ასე იტყოდა ზარატუსტრა“. რუსულად ძლივს ვკითხულობდი, მაგრამ ისე გამიტაცა წიგნმა, რომ ვერ მოვწყდი. ხელოვანისათვის და საერთოდ ყველასათვის ძალიან მნიშვნელოვანია წიგნიერება. ვურჩევ ახალგაზრდებს, რომ პირველ რიგში ისწავლონ „წერა-კითხვა“, ხელოვნების თანამედროვე ნიმუშებს ისინი ამის გარეშე ვერ შექმნიან. ასევე აუცილებელია, შემოქმედი განთავისუფლდეს „მონური“ მიმბაძველობისაგან და პლაგიატობისაგან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ამ ქვეყანაში დავიბადეთ, ალბათ ვალდებულები ვართ ჩვენს შემოქმედებას ეროვნულობის კავლი დავატყოთ.

– ბ-ნო ირაკლი, ამბობენ, რომ თქვენი შემოქმედება ძალიან ქართულია და არ კარგავს კავშირს განსაკუთრებით მთის კულტურის ფესვებთან...

– ჩემგან თუ რამე დარჩა და ხსენების ღირსი იქნა, მინდა, რომ დარჩეს ქართული და ეროვნულის მატარებელი. ჩვენ ყველანი, რა თქმა უნდა, განვიცდით ევროპული კულტურის გავლენას. მათ უდიდესი კულტურა აქვთ და შეუძლებელია, მათ გავლენას არ განიცდიდე, მაგრამ მე ვფიქრობ, იმით განვსხვავდები ბევრი სხვა ქართველი მხატვრისაგან, რომ ევროპული ხელოვნების ნიმუშები პირდაპირ არ გადმომაქვს და ასევე, უსაგნო ხელოვნებით ჟონგლირებაშიც არ ვიღებ მონაწილეობას. ჩემი შემოქმედება ქართული ტრადიციების მატარებელია და ვამაყობ ამით!

ჩვენი ხალხი და განათლება

ავტორი: ილია ჭავჭავაძე

უმეცრება – აი უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალ-რბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰლრღნის სიცოცხლეს... ეს არავისთვის საიდუმლო არ არის: თითონ ცხოვრება ხმა-მაღლივ ღაღადებს. ჩვენს ცხოვრებაში ისე ფეხს ვერ გადასდგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ არ წააწყდეთ, რომ უმეცრების მწარე ნაყოფმა თავისი მწარე გემო არ გაგაღებინოთ...

ჩვენი ხალხი უმთავრესად მიწის მუშაობას მისდევს. წლითი-წლობით მიწას ჩაჰყურებს, ატრიალებს, ჰხნავს, სთესავს; ვაზს უვლის, ბოსტნეული მოჰყავს; წელებზედ ფეხს იდგამს, თავს მაღლა არ იღებს, ჯაფას არ ერიდება, ძალ-ღონეს არ ჰზოგავს, ოღონდ წლის საზრდო მოიპოვოს. მაგრამ აი წელს სეტყვამ გაუნადგურა წლის ნაღვაწევი საზრდო, მერმის კალიამ ხელცარიელზე დასვა, მესამე წელს კიდევ სხვა ღვთის რისხვა დაატყდა თავსა. წლის ნაწვავ-ნადაგი ხელიდამ გამოეცალა... რა ქნას? ცოდნა მას არა აქვს, ვერც თავის საკუთარს ძალ-ღონეს დანდობია, ვერც სხვას მინდობია, ვერც ცალკე ღონით გასძღოლია... სად არის განათლებული, მეცნიერებით შეიარაღებული კაცი, რომ მისთვის გული შესტკივოდეს და წარმატების გზა უჩვენოს?

ხალხს მოსავლიანი წელიწადი დაუდგა, ჯაფამ მუქთად არ ჩაუარა; ხალხს ათას-გვარი ხარჯი და გადასახადი აწევს კისერზე. ამისთვის ფული უნდა. მოსავალია მთელი მისი სიმდიდრე, ერთად-ერთი წყარო. მოსავალია მისი ფული, მოსავლით უნდა გაუძღვეს ყველა ხარჯს და გადასახადსა. მოსავალი უნდა ფულად აქციოს. მაგრამ როგორ? აღებ-მიცემობისა არა ესმის რა, ანგარიში კარგად ვერ გაუგია; სად რასა აქვს გასავალი, არ იცის... ესეც ერთი უმეცრების ნაყოფი!

სიღარიბე, რიგიანი სახლის უქონლობა, ცუდი სასმელ-საჭმელი, უსუფთაობა, სიბინძურე და სხვა ამგვარი ჯანმრთელობის წინააღმდეგი გარემოება ავრცელებს ხალხში და ხელს უწყობს ათას-გვარ ავადმყოფობას, სნეულებას და ჭირსა... ბევრი მათგანი იხოცება და შველას-კი ვერსაიდამა ჰხედავს.

ექიმი არა ჰყავს, წამალი არა აქვს. უილაჯობით ხან შემლოცველთან გარბის, ხან მკითხავთან, ხან ხელთ ეძლევა უმეცარს ექიმობას სოფლისას, შელოცვას, ხატებში სიარულს. სოფლელ დედაკაცების წამლობას ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვთ ხალხისთვის, ვიდრე სარგებლობა. განა ხალხს სიცოცხლე მოსძაგებია, განა სიკვდილი იამება? მაშ რატომ მეცნიერებას არ მიჰმართავს, რატომ თავის ერთს უძვირფასეს საუნჯეს – სიცოცხლეს არ იცავს რიგიანად? აქაც დამნაშავე იგივე უმეცრება, ცრუმორწმუნებაა.

დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი, ცემა-ხოცვა ეკონომიურს გაუწყობლობის გამო, და სხვა ბევრი ამგვარი ნაყოფი უმეცრებისა – ვრცლად არის მოფენილი ჩვენს ცხოვრებაში. უმეცარ კაცს როგორ შთააგონებ, რომ მისი საკუთარი ინტერესები მოითხოვს, რომ თავის მეზობელთან კარგი განწყობილება ჰქონდეს, რომ მეზობლის უბედურება და შეუძლებლობა მას ბედნიერებას და შეძლებას ვერ შესძენს, რომ მხოლოდ ურთიერთობრივი თანხმობა, შეწევნა ჰბადავს ნამდვილ ბედნიერებას და სიმდიდრეს როგორც მთელის ხალხისას, ისე კერძო კაცისას.

ბევრს ჯერ პირველ-დაწყებითის განათლების ნიშანწყალიც არ მოსცხებია. ხალხმა უმეტეს ნაწილად ცარიელი წერა-კითხვაც არ იცის. წიგნების კითხვა ჩვენში სრულიად არ არის გავრცელებული, რომ ხალხმა თავის ავი მაინც გაიგოს, თუ სხვის კარგს ჯერ კითხვით ვერ შეიძენს. ხალხი უმეცრების გამო სკოლებს ეჭვის თვალით უყურებს და განს უდგება. ზოგიერთ ადგილას ხალხი პირდაპირ მტრულად ეკიდება სკოლას. მაგალითად ამ დღეებში ერთი ჩვენი კორესპონდენტი გვწერდა, რომ ილორის საზოგადოება ცდილობს თავის სკოლას ხელი შეუშალოსო.

სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება; განათლებამ უნდა განფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად, და ხალხი კი სდევნის სკოლას, განათლებას. რა მიზეზია? ცხადია, უმეცრება!

აი მოკლედ რა სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ უმეცრების შედეგი. დასაფიქრებელია ასეთი არა-სანუგეშო სურათი. უმეცრებაა ჩვენი საშიშარი მტერი. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა – აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას, კვალში ჩაუდგეს, ხალხს მხარი მისცეს და შველა აღმოუჩინოს, ვისაც წამალი აქვს, ვისაც მკურნალობა შეუძლიან. მასწავლებელი, ექიმი, ტეხნიკი, მიწის შემუშავების მცოდნე, – ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ეხლა. თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისთვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ. თუ ხალხის სიყვარულით არიან გამსჭვალულნი, საქმით დაამტკიცონ სიყვარული და მრავალნი გამოიყვანონ უმეცრებიდამ. უნდა ჩვენს კერძო სარგებლობას, კეთილდღეობას ცოტა რამ ჩამოვათალოთ და საზოგადო სარგებლობას, კეთილდღეობას შევსწიროთ. ფული არა გვაქვსო, გარშემო შემწეობას არა ვხედავთო და ამიტომ უღონონი ვართ ამ სამისთვისაო. ეს, რასაკვირველია, შესაწყნარებელი მიზეზია და არა გასამართლებელი. ნიჭი, გარჯა და მხნეობა დღეს თუ ხვალ ფულსაც იშოვის და შემწეობასაც მოიპოვებს; ყოველივე ეგ თითონ ფულია, თითონ ღონეა და სიმდიდრე, ოღონდ კი კაცი ნუ შეიკეტება ოთხ-კედელ-შუა, ოღონდ კი გულხელდაკრეფილი ცას ნუ შევაჩერდებით: აცა, მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდებაო. ამ ნიჭსა, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ან ვის მოსთხოვს სხვას, თუ არ განათლებულსა და მცოდნე კაცსა!..

2 მაისი, 1886 წ.

მოსწავლეთა წიგნიერებაზე ზემოქმედი ფაქტორები

ავტორი: ია კუტალაძე

წიგნიერების საერთაშორისო კვლევა

მოსწავლეთა წიგნიერებასთან დაკავშირებულ კვლევებს დიდი ისტორია აქვს. კითხვის სწავლება ყოველთვის აქტუალური და პრობლემური საკითხი იყო. 1950 წლამდე უკვე არსებობდა 3000-ზე მეტი სამეცნიერო კვლევა ამ საკითხთან დაკავშირებით. უკანასკნელ ათწლეულებში მსგავსი პუბლიკაციების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. ამ კვლევებში განსაკუთრებული ადგილი წიგნიერების საერთაშორისო კვლევას (PIRLS – Progress in International Reading Literacy Study) უჭირავს. ეს კვლევა მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, **კვლევის მეთოდოლოგიისა** და **მასშტაბურობის** გამო.

წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS) მიზანია: (1) შეუმოწმოს 9-10 წლის მოზარდებს წაკითხულის გააზრების უნარი და (2) იკვლიოს ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა კითხვის უნარის განვითარებასა და კითხვისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე.

კვლევაში გამოყენებული ტესტების მეშვეობით მოწმდება: რამდენად იგებს, იაზრებს ბავშვი სხვადასხვა ტიპის ტექსტებიდან მიღებულ ინფორმაციას, შეუძლია თუ არა ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა, პერსონაჟის ხასიათის, თვისებებისა და ქცევის მოტივის ამოცნობა და ტექსტის ძირითადი აზრის წვდომა უკვე შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებასთან შეჯერების საფუძველზე; ახერხებს თუ არა იგი საკუთარი აზრის გამოხატვას, გარკვეული ენობრივი თუ მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გარჩევასა და შეფასებას.

წიგნიერების საერთაშორისო კვლევა გარკვეული პერიოდულობით ტარდება, რის გამოც ეს კვლევა სისტემაში მიმდინარე ცვლილებების მონიტორინგისა და პროგრესის შეფასების კარგი საშუალებაა. საერთაშორისო კვლევის ფარგლებში შეფასება ორი მიმართულებით ხორციელდება: 1) მოზარდთა ტესტირება მათი მიღწევების შემოწმების მიზნით; 2) იმ გარემო ფაქტორების კვლევა, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის მიღწევებზე (საგანმანათლებლო სისტემა, სკოლა, მასწავლებელი, ოჯახი და ა. შ.). მოსწავლის, მასწავლებლის, სკოლისა და სხვა კითხვარების საშუალებით იკრიბება ინფორმაცია იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე.

თანდართული ილუსტრაციიდან ნათლად ჩანს, რომ კვლევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლის მიკრო და მაკრო გარემოს მახასიათებლების შესწავლას, იმ ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე – წაკითხულის გააზრების უნარის განვითარებასა და კითხვისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე. კომპლექსურად

მიღებული ინფორმაციის შეჯერება საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ: რატომ აქვს მოსწავლეთა კონკრეტულ ჯგუფს/კონკრეტულ მოსწავლეს



ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს წაკითხულის გააზრების უნარის ჩამოყალიბებაზე.

უკეთესი თუ უარესი შედეგი; როგორია სწავლების პროცესის მისეული აღქმა; როგორია სკოლის საგანმანათლებლო რესურსი (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები და სხვ.), სწავლების რა მეთოდოლოგიას იყენებენ პედაგოგები, როგორია ოჯახის საგანმანათლებლო რესურსი და ა. შ.

რადგან კითხვის სწავლება და კითხვისადმი პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბება არა მხოლოდ პიროვნების, არამედ საზოგადოების კეთილდღეობისთვისაც მნიშვნელოვანი ფაქტორია, წიგნიერების საერთაშორისო კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთელს მსოფლიოში.

საზოგადოდ, საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები განათლების პოლიტიკის დაგეგმვის ეფექტიანი ინსტრუმენტია, რადგან ისინი სიღრმისეულად შეისწავლის სწავლისა და სწავლების პროცესთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან ფაქტორს. საერთაშორისო კვლევის შედეგების სისტემური ანალიზი საშუალებას გვაძლევს: კრიტიკულად შევაფასოთ განათლების პოლიტიკა და პრაქტიკა და შევიმუშაოთ კვლევაზე დაფუძნებულ რეკომენდაციათა პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლისა და სწავლების პროცესის ეფექტიანობასა და მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობას.

მოსწავლეთა წიგნიერებაზე ზემოქმედი ფაქტორები PIRLS-ის მიხედვით

PIRLS 2011-მა გვიჩვენა, როგორ აისახება სკოლისა და ოჯახის საგანმანათლებლო რესურსი, ასევე, კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლადები მოსწავლეთა მიღწევებზე. ცხადია, ის, თუ როგორია მოსწავლეთა მიღწევები კითხვაში, **სხვადასხვა მიზეზის** კომპლექსური, ერთობლივი მოქმედების შედეგს წარმოადგენს. ეს მიზეზები შეიძლება დაიყოს/კლასიფიცირდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად არსებითია მათი გავლენა მოსწავლეთა მიღწევაზე, ანუ რამდენად შეიძლება მათი მნიშვნელობების მიხედვით **ვიწინასწარმეტყველოთ მოსწავლეთა შედეგი კითხვაში.** ამგვარი ანალიზი გვეხმარება მოსწავლეთა მიღწევების ინტერპრეტირებასა და იმის გარკვევაში, რატომ აქვს მოსწავლეთა კონკრეტულ ჯგუფს უკეთესი თუ უარესი შედეგი წიგნიერებაში.

პირველ რიგში წარმოგიდგენთ **მასწავლებლის** კითხვარით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს, შემდეგ კი მშობლის, დირექტორის, მასწავლებლისა და მოსწავლის კითხვარებით მიღებული ინფორმაციის **კომპლექსურ ანალიზს**.

ორიოდ სიტყვა იმის თაობაზე, თუ რატომ გამოვყავით ცალკე მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაცია: პედაგოგთა კვალიფიკაციისა და

პროფესიული უნარების გავლენა მოსწავლეთა მიღწევებზე ყოველთვის იყო მკვლევართა და განათლების ექსპერტთა ინტერესის საგანი, რადგან მოსწავლეთა მიღწეევები არსებითადაა დამოკიდებული მასწავლებელთა კვალიფიკაციასა და პროფესიულ უნარებზე.

მასწავლებლის კვალიფიკაციის, სწავლების მეთოდოლოგიისა და საკლასო აქტივობების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ, რას მიაღწიეს მოსწავლეებმა მოქმედი პედაგოგების კვალიფიკაციის, შრომითი კმაყოფილების, შრომითი განწყობებისა და დამოკიდებულებების, ასევე, პედაგოგის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების გათვალისწინებით.

მასწავლებელი

ქვემოთ მოცემულია იმ 4 ფაქტორის აღწერა, რომლებიც **მასწავლებლის** კითხვარით მიღებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოიყო და რომლებიც, კვლევის შედეგების მიხედვით, **არსებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე**. განვიხილავთ **სხვა კვლევით მონაცემებსაც**, რომლებიც ადასტურებს ამ ფაქტორების მნიშვნელობას დაწყებით კლასებში მოსწავლეთა წიგნიერების და, ზოგადად, სწავლა-სწავლების პროცესში.

1. ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში მოსწავლის მიღწევებზე დიდ ზეგავლენას ახდენს **კლასში მოსწავლეთა რაოდენობა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლადი – მასწავლებლის სამუშაო პირობები**.

კლასის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მახასიათებელს კლასში ბავშვების რაოდენობა წარმოადგენს. **კლასის ზომა შეიძლება მასწავლებლის სამუშაო პირობების მნიშვნელოვან ინდიკატორად მივიჩნიოთ**. არაერთი კვლევა მიუთითებს, რომ დაწყებით კლასებში ბავშვების მცირე რაოდენობა ხელს უწყობს კითხვის უნარების განვითარებას (Rivkin, Hanushek & Kain, 2005). ბაღსა და დაწყებით კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა (20-ზე ნაკლები) პოზიტიურ კავშირშია მათ მიღწევასთან. მეტა-ანალიტიკური კვლევის მიხედვით, კლასებში, რომლებშიც 20-ზე ნაკლები მოსწავლე სწავლობს, ბავშვები მათემატიკასა და კითხვაში უფრო მაღალი მიღწევებით გამოირჩევიან[1]. მცირე ზომის კლასის გავლენა უფრო მეტად აისახება დაწყებით კლასებში დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებიდან შემოყვანილ ბავშვებზე. კლასებში, რომლებშიც ცოტა ბავშვი სწავლობს, ზოგადად, რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების (უმცირესობების წარმომადგენლები, ბავშვები დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან, ქალაქის ღარიბი უბნების მცხოვრებნი) აკადემიური მიღწევები უფრო მაღალი აღმოჩნდა (Finn, Gerber, 2005). რადგან საქართველოში არცთუ მცირეა დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც ვერ ექნებათ შესაბამისი მხარდაჭერა ოჯახების მწირი ეკონომიკური ან

1 აშშ-ში ტენესის შტატის განათლების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ბაღიდან მოყოლებული მესამე კლასის ჩათვლით მოსწავლეთა მიღწევა ბევრად მაღალი იყო მცირე ზომის კლასებში. მესამე კლასის შემდგომ კვლევაში მონაწილე ყველა ბავშვი დიდი ზომის კლასებში გადაანაწილეს (full-size class), თუმცაღა, მე-4-მე-8 კლასებში იმ მოსწავლეების მიღწევები, რომლებიც თავიდან მცირე ზომის კლასებში სწავლობდნენ, კვლავ უფრო მაღალი იყო. ამასთან, მცირე ზომის კლასების მოსწავლეები დიდი ზომის კლასების მოსწავლეებთან შედარებით უფრო მაღალი ჩართულობით გამოირჩეოდნენ.

საგანმანათლებლო რესურსის გამო, აუცილებელია, მათ ეს მხარდაჭერა სკოლაში მიიღონ. ამასთან, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება დიდ კლასებში ვერ ხერხდება, რაც ართულებს პედაგოგის შრომასა და ამცირებს მის ეფექტიანობას.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეფექტიანია კლასის ზომის შემცირებაზე რესურსების ხარჯვა, იყოფა. მათი ნაწილი თვლის, რომ კლასის ზომის შემცირებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. თუმცა კლასის ზომის შემცირებაზე გაწეულ ხარჯებს ვერ მოაქვს მისი საპირწონე შედეგები და შედეგების გაუმჯობესების ალტერნატიული და იაფი გზები მოსწავლეთა მიღწევების უფრო მაღალ და სტაბილურ გაუმჯობესებაზე გაგვიყვანს. ამასთან, კლასის ზომის ოპტიმალურობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა მასწავლებლის კვალიფიკაცია და კლასში მოსწავლეთა საჭიროებები. (Hanushek, 1999, 2000, 2002; Kruger, 2003; Sondergaard & Murthi, 2012).

კლასის ზომის შემცირება მაღალხარჯიანი ინტერვენციაა და თანაბრად ეფექტიანი არ არის ყველა კონტექსტისათვის. როგორც აღნიშნავენ, კლასის ზომა უფრო დიდი შეიძლება იყოს იმ ბავშვებთან, რომლებსაც აკადამიური წარმატების მისაღწევად კარგი წინაპირობა აქვთ. მაგრამ კლასის ზომის შემცირება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა, უფრო გამართლებული იყოს მოწყვლად ჯგუფებთან. **შესაბამისად, სკოლას უნდა ჰქონდეს კლასის ზომის განსაზღვრის თავისუფლება საკუთარი საჭიროებიდან გამომდინარე**, რაც პედაგოგს მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით დახმარებისა და სასწავლო მიზნების ეფექტიანი განხორციელების საშუალებას მისცემს.

2. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია **პოზიტიური სასწავლო გარემო**. ეს ფაქტორი აერთიანებს სკოლის უსაფრთხო გარემოსა და მასწავლებელთა მიერ სასწავლო გეგმების მიზნების გააზრებასა და განხორციელებას.

პოზიტიური სასწავლო გარემო ამხნევებს და აქეზებს მოსწავლეებს, სრულად გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი, ახდენს მათი ინდივიდუალური მოთხოვნილებებისა და ინტერესების იდენტიფიცირებას, გათვალისწინებას და დელიკატურად აგვარებს ჯგუფებში წარმოქმნილ პრობლემატურ საკითხებს (New Zealand Qualifications Authority, 2010).

პოზიტიურ სასწავლო გარემოსა და მოსწავლეთა მიღწევებს შორის არსებულ დადებით კავშირზე მრავალი კვლევა მიუთითებს. სტრესული და საფრთხის შემცველი გარემო უარყოფითად მოქმედებს ბავშვების მიღწევებზე. საფრთხე დაცვის მექანიზმებისა და იმ ქცევების გააქტიურებას ახდენს, რომლებიც კარგია „გადარჩენისათვის“, მაგრამ ხელს უშლის სწავლას (Jensen, გვ. 57, 1998). უსაფრთხო გარემო გულისხმობს როგორც ფიზიკურ, ისე ემოციურ უსაფრთხოებას. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ რთულია სკოლის გარეთ მოქმედი სტრესორების გაკონტროლება, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას ხელს შეუწყობს მოსწავლეების ისეთი საფრთხეებისაგან დაცვა, როგორებიცაა: სხვა ბავშვების მიერ დაჩაგვრა, მასწავლებლების არასწორი მიდგომები დისციპლინასთან დაკავშირებით და სხვ. უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად მასწავლებლებმა არაძალადობრივი ატმოსფერო უნდა შეინარჩუნონ.

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით (Holtz Frank, 2006), მოსწავლეთა მიღწევების მაღალი დონე დამოკიდებულია მხარდამჭერ სასწავლო გარემოზე, რომელიც შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

- *უსაფრთხო ფიზიკური გარემო*, რომლის შესაქმნელად აუცილებელია მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების

ერთობლივი მუშაობა.

- ისეთი პრაქტიკის დანერგვა, რომელიც მოსწავლეთა წარმატებაზე პასუხისგებლობას სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს დააკისრებს.
- *სტრუქტურირებული და პერსონალიზებული სასწავლო გარემო*, რაც მოიცავს კონსულტაციებს, მენტორობას, მცირე ზომის კლასებს, უფრო ინდივიდუალიზებულ მიდგომას სასკოლო და საკლასო გარემოს მიმართ.
- *მოსწავლეზე ცენტრირებული სასწავლო პრაქტიკა* – კოოპერატიული სწავლის ტექნიკა; სწავლასთან ყოველდღიური ცხოვრების დაკავშირება; მოსწავლეებისათვის საკუთარი პროგრესის მონიტორინგისა და მიზნების დასახვის საშუალების მიცემა; მოსწავლეებისათვის უკუკავშირის მიწოდება; მულტიკულტურული კომპეტენცია.
- *მზრუნველობა და ერთობის გრძნობა* – მაღალი მოლოდინები ყველა მოსწავლის მიმართ, პოზიტიური სასკოლო კლიმატი, მოსწავლეთა შეგრძნება, რომ უფროსები მათ მხარს უჭერენ და მასწავლებლებთან ერთობის განცდა.
- *პოზიტიური დისციპლინა მთელი სკოლის მასშტაბით და თვითმართვის პრაქტიკა* – მოსწავლის ქცევების შესახებ არსებული მოლოდინები, თვითმართვისა და სოციალური უნარების ყოველდღიური განმტკიცება.
- მოსწავლეების, მათი ოჯახების, სკოლის თანამშრომლებისა და საზოგადოების ჩართულობა.

მოსწავლეებს, რომლებიც პატივს სცემენ მასწავლებლებს, ემორჩილებიან წესებს და გააჩნიათ სწავლის მზაობა, თავიანთი წვლილი შეაქვთ პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირებაში და, აგრეთვე, ხელს უწყობენ **მასწავლებელთა ენთუზიაზმის, ეფექტიანობისა და ერთგულების გაზრდას** (Hanushek, Kain, Rivkin, 2004; Kelly, 2004; Stockard and Lehman, 2004).

PIRLS 2011-ში საქართველოს შედეგები და სხვა კვლევითი მონაცემები ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანია სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნა. ამ კონტექსტში განსაკუთრებით არსებითია სკოლის დირექტორის როლი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით, სკოლის დირექტორების **პროფესიული ზრდის მხარდაჭერა.**

3. მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა მასწავლებლის მიერ საკუთარი სამუშაოს მნიშვნელობის აღქმა და მოსწავლის მიმართ პოზიტიური მოლოდინი.

ადამიანის შრომითი კმაყოფილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა მის მიერ საკუთარი სამუშაოს/დავალების მნიშვნელოვნების აღქმაა (შრომითი კმაყოფილების სამუშაოს მახასიათებლების მოდელი, Hackman and Oldham, 1976). სამუშაოს მნიშვნელოვნებაში იგულისხმება ის, თუ რამდენად ღირებულად აღიქვამს ინდივიდი მის მიერ შესრულებულ საქმეს (Borman, Ilgen, Klimoski, Weiner, 2003). დავალების მნიშვნელოვნებაში, აგრეთვე, იგულისხმება ის, თუ რა ხარისხის ზეგავლენას ახდენს ადამიანის სამუშაო სხვა ადამიანებზე როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე – მის გარეთ (Lunenburg, 2011).

PIRLS 2011-ის მიხედვით, როდესაც **პედაგოგს გაცნობიერებული აქვს თავისი სამუშაოს მნიშვნელობა, აქვს შრომითი კმაყოფილების განცდა და მოტივირებულია, ის უკეთეს შედეგს აღწევს**. როგორც კვლევიდან ჩანს, პედაგოგის

მიერ საკუთარი სამუშაოს მნიშვნელოვნების აღქმა პოზიტიურ კავშირშია **ბავშვების მიმართ მაღალი მოლოდინების ჩამოყალიბებასთან**. ჩვეულებრივ, მასწავლებლებს მოსწავლეთა ქცევისა და მიღწევების შესახებ სხვადასხვა მოლოდინი უყალიბდებათ. ამ განსხვავებულ მოლოდინთა შესაბამისად, მასწავლებლები ბავშვებს განსხვავებულად ეპყრობიან. ის, თუ როგორ ქცევასა და დავალებების რა დონეზე შესრულებას მოელის მასწავლებელი მოსწავლისაგან, აისახება მოსწავლის მიღწევის მოტივაციაზე, გაკვეთილზე ქცევასა და მასწავლებელთან ურთიერთობაზე. საბოლოოდ, ეს ყველაფერი გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევასა და სხვა შედეგებზე (Cotton, 1989). კვლევებმა აჩვენა, რომ მაღალი მიღწევების მქონე მოსწავლეთა სკოლებში დიდი ყურადღება ექცევა პედაგოგთა წრეში ბავშვების მიმართ მაღალი მოლოდინების ჩამოყალიბებას Carter, 2000).

მოსწავლის მიმართ მაღალი მოლოდინი კრიტიკულ როლს თამაშობს მის მოტივაციაში, თავდაჯერებულობასა და წარმატებაში. კვლევითი მონაცემები ცხადყოფს, რომ სასკოლო გარემო და მოსწავლეების მიმართ მოლოდინი – *თითოეულ მოსწავლეს შეუძლია და ყველა შეძლებს კარგად სწავლას* – ხელს უწყობს ეფექტიან სწავლებასა და სწავლას. მოსწავლეები, რომელთა მიმართ მასწავლებელს მაღალი მოლოდინი აქვს, თავიანთი პოტენციალის შესაბამის ან მასთან ახლოს მყოფ შედეგებს აჩვენებენ განსხვავებით იმ ბავშვებისაგან, რომელთაგანაც ნაკლებს მოელიან (Cotton, 1989).

PIRLS 2011 აჩვენებს, რომ მასწავლებლის მიერ სამუშაოს მნიშვნელობის აღქმა და მოსწავლის მიმართ პოზიტიური მოლოდინი მოსწავლის მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სწავლისა და სწავლების თეორიებში (როჯერსის ჰუმანისტური თეორია და სხვ.) განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული მოსწავლეთა მიმართ პოზიტიური მოლოდინების მნიშვნელობაზე. **პრაქტიკული რეკომენდაციები და პედაგოგთა პროფესიული განვითარებისათვის დაგეგმილ აქტივობებში ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილება** ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თავდაჯერებულობასა და მოტივირებას, შესაბამისად, მათი მიღწევების ზრდას.

4. მოსწავლეთა მიღწევებზე მნიშვნელოვნად აისახება მასწავლებლების მჭიდრო თანამშრომლობა.

ლიტერატურაში მასწავლებლების თანამშრომლობა განიმარტება, როგორც ერთად მუშაობა, სწავლებასთან დაკავშირებული მოსაზრებებისა და სიახლეების გაზიარება, პროფესიული გაერთიანების ჩამოყალიბება (Louis, Marks, & Kruse, 1996).

ისეთი კომპლექსური მიზნების მისაღწევად, როგორებიცაა ხარისხიანი განათლება და სკოლის განვითარება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლაში მომუშავე ადამიანების თანამშრომლობასა და საერთო მიზნებზე ორიენტაციას, რაც განაპირობებს თითოეული მასწავლებლის რესურსებისა და სტრატეგიების კოორდინაციას, რადგან ამ მიზნების მიღწევა არც ერთ მასწავლებელს არ შეუძლია სულ მცირე სხვა ერთი ადამიანის დახმარების გარეშე. ამის გარდა, **თანამშრომლობა ემოციური და სოციალური მხარდაჭერის, აზრების გაცვლისა და რჩევების მიღების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს**. მას შეუძლია როგორც პროფესიონალიზმის, ისე თვითეფექტიანობის გრძნობის გაზრდა და სტრესისა და პროფესიული გამოფიტვის თავიდან აცილება (Rosenholz, 1989; Clement and Vandenberghe, 2000).

თანამშრომლობა, შესაძლოა, სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს. ის შეიძლება მოიცავდეს ადმინისტრაციულ დავალებებს, სწავლებას

ან პროფესიულ განვითარებას[2]. მაგალითად, გერმანიასა და შვეიცარიაში კოოპერაცია მოიცავს მასწავლებლების მიერ ერთობლივი მიზნების განსაზღვრას, კომუნიკაციასა და კოორდინაციას კურიკულუმისა და სწავლების მეთოდების შემუშავებისას (Steinert et al., 2006)[3]. **მასწავლებელთა შორის თანამშრომლობა პოზიტიურად უკავშირდება მოსწავლეთა მიღწევების ზრდას კითხვასა და მათემატიკაში** (Goddard, Goddard, 2007). მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობით უფრო მეტად იღრმავებენ ცოდნას სხვადასხვა თეორიის, მეთოდისა და, ზოგადად, სწავლების პროცესის შესახებ, შესაბამისად, უმჯობესდება სწავლების ხარისხიც.

ამ ფაქტორის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სკოლის დონეზე უნდა წახალისდეს პედაგოგთა თანამშრომლობა, კოოპერაცია, ერთობლივი მიზნების განსაზღვრა, სწავლების შედეგების ერთობლივი შეფასება და განხილვა.

კომპლექსური ანალიზი

ამჯერად წარმოგიდგენთ მშობლის, მასწავლებლის, სკოლის დირექტორისა და მოსწავლის კითხვარებით მიღებული ინფორმაციის (ანუ კვლევაში ჩართული ყველა ცვლადის) კომპლექსურ ანალიზს.

რეგრესიული და ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოიყო **ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსსწავლეთა მიღწევებზე**, ამ ფაქტორთაგან **ყველაზე მნიშვნელოვანი** შემდეგი 4 აღმოჩნდა:

- კითხვასთან დაკავშირებული ადრეული, სკოლამდელი აქტივობები და მზაობა;
- მშობლის ჩართულობა შვილის სწავლების პროცესში;
- სკოლის აქცენტი სასწავლო გეგმისა და მისაღწევი მიზნების განხორცილებაზე და სამუშაო პირობები;
- კითხვისადმი ბავშვის პოზტიური დამოკიდებულება.

მოკლედ განვიხილავთ თითოეულ ფაქტორს, ასევე **სხვა კვლევით მონაცემებსაც**, რომლებიც ადასტურებს ამ ფაქტორების მნიშვნელობას დაწყებით კლასებში მოსწავლეთა წიგნიერებისა და, ზოგადად, სწავლა-სწავლების პროცესისათვის.

კითხვასთან დაკავშირებული ადრეული, სკოლამდელი აქტივობები და მზაობა

როგორც PIRLS 2011-ის შედეგები გვიჩვენებს, მშობლის ჩართულობასა და ბავშვის წიგნიერებაზე ზრუნვას არსებითი, განსაკუთრებული როლი ენიჭება ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპზე. მშობლების ჩართულობა ბავშვის წიგნიერებასთან დაკავშირებულ ადრეულ აქტივობებში მნიშვნელოვნად განაპირობებს მის წიგნიერებასა და მიღწევებს კითხვაში. სხვა კვლევეთი მონაცემებიც

2 მაგალითად, მასწავლებლებმა შეიძლება გაცვალონ სასწავლო მასალები, რეგულარულად შეხვდნენ ერთმანეთს და მოსწავლეთა შესახებ დისკუსიები გამართონ. თანამშრომლობის ფორმებია: კოლექტიური სასწავლო აქტივობები (ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრება და შემდგომ უკუკავშირის მიწოდება), პროფესიული სასწავლო აქტივობები და ერთობლივი აქტივობები, რომლებიც სხვადასხვა კლასთან და ასაკობრივ ჯგუფთან ერთად ხორციელდება (OECD, 2009).

3 თუმცაღა, ყველა სახის თანამშრომლობა ერთნაირ ეფექტს არ იძლევა. მუდმივი პროფესიული ზრდა მოითხოვს აზრებისა და დამოკიდებულებების უფრო სიღრმისეულად გაცვლას და არა უბრალოდ პრაქტიკული პრობლემების კოლექტიურ გადაჭრას (Vandenberghe, 2000).

ადასტურებს კითხვასთან დაკავშირებული ადრეული, სკოლამდელი აქტივობების კავშირს მოსწავლის მიღწევასთან. The National Literacy Panel-მა საფუძვლიანად იკვლია სასკოლო ასაკში კითხვაში მაღალი შედეგების მიღწევის პრედიქტორები. კვლევა ფოკუსირებული იყო კითხვის სკოლამდელი უნარების განვითარებაზე დაბადებიდან 5 წლამდე. კვლევა ადასტურებს, რომ ბავშვები, რომლებსაც სკოლამდელ ასაკში კითხვის უნარები უფრო მეტად აქვთ განვითარებული, შემდგომში მიღწევის შედარებით მაღალი დონით ხასიათდებიან. ძლიერი კავშირი არსებობს სკოლამდელ ასაკში განვითარებულ კითხვის უნარებსა და კითხვის ისეთ უნარებს შორის, როგორებიცაა დეკოდირება, ხმამაღლა და გამართულად კითხვა, წაკითხულის გააზრება, წერა და მართლწერა. კლევამ გამოავლინა პრედიქტორები, რომლებიც ძლიერად და კონსისტენტურად წინასწარმეტყველებს სამომავლო მიღწევებს კითხვაში. ესენია: *ანბანისა და იმის ცოდნა, თუ როგორ ჟღერს დაწერილი ასოები; იმის ცოდნა, რომ ბგერა დაწერილ/დაბეჭდილ ასოებს უკავშირდება; სალაპარაკო ენაში ბგერებით მანიპულირების შესაძლებლობა, მაგ., სიტყვების დამარცვლა; ასოების, ციფრების, ობიექტების ან ფერების თანმიმდევრულად, სწრაფად დასახელება; საკუთარი სახელის, ან ცალკეული ასოს წერა, მაგ., ბარათზე მოცემული ასოების სწორად გადაწერა; მოსაუბრის მიერ გადმოცემული შინაარსის მოკლე დროით დამახსოვრება.*

კითხვაში მიღწევის საშუალო დონის წინასწარმეტყველება შეუძლია ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ბეჭდური მასალის გამოყენების ჩვევები, გარემოში მოცემული ბეჭდური მასალის (დასახელებები, ლოგოები, ნიშნები) ცნობა და იდენტიფიცირება, ცნებებისა და აზრების სიტყვებით გადმოცემის უნარი და სხვისი ნათქვამის გაგების შესაძლებლობა, ვიზუალურ სიმბოლოებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების დანახვის შესაძლებლობა (The National Literacy Panel, 2009).

PIRLS 2011-ის შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მშობლების ჩართულობა ბავშვის წიგნიერებასთან დაკავშირებულ ადრეულ აქტივობებში, მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსწავლის წიგნიერებასა და მის მიღწევებს კითხვაში. ეს შედეგი კი მიუთითებს, რომ საქართველოში სკოლამდელ განათლებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან იმ ბავშვებს, რომელთაც ადრეულ ასაკში სოციო-ეკონომიკური კონტექსტის, მშობელთა განათლებისა თუ რაიმე სხვა ფაქტორის გავლენით აკლიათ წიგნიერებასთან დაკავშირებულ აქტივობებში მათი მხარდაჭერა, ეხმარება ამ პრობლემის დაძლევასა და მიღწევის დონის გაუმჯობესებაში.

მშობლის ჩართულობა შვილის სწავლების პროცესში (მონიტორინგი და მხარდაჭერა)

არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც ჩართულნი არიან შვილების სწავლის პროცესში, უფრო მაღალი აკადემიური მიღწევით ხასიათდებიან, ვიდრე ისინი, ვისი მშობლებიც ამ კუთხით ინტერესს არ იჩენენ (Jeynes, 2005). აგრეთვე, ბავშვები, რომლებიც საშინაო დავალებებსა და საკითხავ მასალას მშობლებთან ან მზრუნველებთან ერთად განიხილავენ, უფრო მაღალ შედეგებს აჩვენებენ, ვიდრე ისინი, ვინც ამას არ აკეთებენ (Mullis, Martin, Gonzalez, & Kennedy, 2003).

კვლევების მიხედვით, მშობელთა ჩართულობა ბავშვის განათლების პროცესში უფრო შედეგიანი სწავლის დაწყების ადრეული პერიოდიდან იქნება, ხოლო მშობელთა ჩართულობის ყველაზე ეფექტიან ფორმად სახლში, ბავშვებთან ერთად სასწავლო

აქტივობებზე ფოკუსირება მიიჩნევა (Cotton, Wikelund, School Improvement Research Series, 1987-1995).

ათწლეულების მანძილზე ჩატარებული კვლევების მიხედვით (Parent Teacher Association), რაც უფრო მეტადაა მშობელი შვილის სწავლის პროცესში ჩართული, **მით უფრო მაღალია** მოსწავლეთა ნიშნები, ტესტებში მიღებული ქულები და საბოლოო, დამამთავრებელი ნიშნები; ასევე, გაკვეთილებზე დასწრება, მოსწავლეთა მოტივაცია და თვითშეფასება; **უფრო დაბალია** სკოლიდან დროებით გარიცხვის მაჩვენებლები, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება და ძალადობრივი ქცევა.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა განათლებაში მშობელთა ჩართულობა მიღწევის ორჯერ უფრო ძლიერ პრედიქტორს წარმოადგენს, ვიდრე სოციო-ეკონომიკური სტატუსი. ჩართულობის ზოგიერთი უფრო ინტენსიური პროგრამა სხვა ფაქტორებთან შედარებით 10-ჯერ უფრო ძლიერ გავლენას ახდენს მიღწევაზე (Walberg, 1984). აგრეთვე, რაც უფრო ინტენსიური ხასიათისაა ჩართულობა, მით უფრო დადებითი ეფექტი აქვს მიღწევაზე (Cotton, Wikelund, School Improvement Research Series, 1987-1995).

მშობლის ჩართულობას შვილის სწავლების პროცესში სკოლა უნდა უწყობდეს ხელს (National Education Association, 2008). ამისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მშობლების ან მზრუნველების ჩართვა სკოლასთან დაკავშირებულ პროცესებში (Federal Interagency Forum on Child and Family Statistics, 2002; Wells, 1985). შვილის სწავლების პროცესში მშობლის ჩართულობა და სკოლასთან თანამშრომლობა არა მხოლოდ მშობლების, არამედ სკოლების მონდომებასაც მოითხოვს. სკოლებში, რომლებშიც მხარდაჭერილია მშობელთა ჩართულობა, უფრო მეტი მშობელი ინტერესდება სასწავლო პროცესით. თუ სკოლა მშობელს ინფორმაციას არ აწვდის და არ მოუწოდებს გარკვეულ აქტივობებში მონაწილეობაზე, მათი ჩართულობის ხარისხიც ნაკლები იქნება. მშობლის მაღალ დონეზე ჩართულობამ შეიძლება გააუმჯობესოს როგორც მოსწავლის მიღწევა, ისე მისი დამოკიდებულება სკოლის მიმართ (Darling, Westberg, 2004; Dearing, Kreider, & Weiss, 2008; Taylor, Pearson, Clark, & Walpole, 2000).

სკოლის აქცენტი სასწავლო გეგმისა და მისაღწევი მიზნების განხორციელებაზე და სამუშაო პირობები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადებითმა სასკოლო გარემომ და აკადემიურ მიღწევაზე ყურადღების გამახვილებამ შეიძლება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიც კი დაჯაბნოს (McGuigan & Hoy, 2006). ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება.

მასწავლებელსა და სასწავლო გეგმას შორის „ურთიერთობის“ შესახებ სხვადასხვაგავრი ხედვა არსებობს. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი მიდგომის მიხედვით, გაკვეთილის დიზაინის შემუშავებისას მასწავლებლები აქტიურად ახდენენ სასწავლო გეგმის მასალების ინტერპრეტაციასა და ტრანსფორმაციას. შესაბამისად, მასში ასახულია ცალკეული პედაგოგის ხედვა სწავლის, საჭირო მასალებისა და სწავლების გეგმის შესახებ (Remillard & Bryans, 2004). ამის საწინააღმდეგო გავრცელებულ მიდგომას წარმოადგენს ის, რომ რადგანაც კურიკულუმი კლასის გარეთ, ექსპერტების მიერ იქმნება, მასწავლებლები კი მხოლოდ მის დანერგვას ახდენენ (Lloyd, 1999; Remillard & Bryans, 2004). სკოლის ეფექტიანობის გაუმჯობესების მნიშვნელოვან კომპონენტს „გასაგები, კარგი“ სასწავლო გეგმა წარმოადგენს, რომლის

ინტერპრეტირებისა და დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანია მასწავლებელთა კოოპერაცია – **მასწავლებლები ერთად უნდა განიხილავდნენ სასწავლო გეგმებსა და მიღწევების შეფასების მეთოდებს. მათ უნდა გამოყონ დრო სწავლებაზე ფოკუსირებული კურიკულუმის გადასახედად და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების შესატანად** (Mooney, Mausbach, 2008).

წარმატებული სკოლის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ იქ მომუშავე ყველა ადამიანს უნდა ესმოდეს და ყველა მათგანი უნდა იზიარებდეს სკოლის მიზნებსა და სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასწავლო გეგმის მიზნებისა და მოლოდინების საშუალებით გამოხატული ნათელი ხედვა მასწავლებელთა ქმედების სახელმძღვანელო პრინციპს უნდა წარმოადგენდეს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებას (Cotton, 2000; Levine & Lezotte, 1990).

კითხვისადმი ბავშვის პოზიტიური დამოკიდებულება

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი სწორედ კითხვისადმი მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. დამატებით მოვიყვანთ რამდენიმე კვლევით მონაცემს, რომლებიც მიუთითებს **კითხვისადმი ბავშვის პოზიტიური დამოკიდებულების მნიშვნელობაზე.**

დამოკიდებულება კითხვის მიმართ შეძენილი მახასიათებელია, რომელიც კითხვის აქტივობებში მოსწავლის ჩართულობის ხარისხს განსაზღვრავს. მასზე გავლენას საზოგადოების, ოჯახისა და სკოლის ფაქტორები ახდენს (Baker, 2003; Cole, 2002; McKenna et al., 1995; Miller, 2003; Willis, 2002).

მკვლევრები მიუთითებენ, რომ კითხვის მიმართ მოსწავლის პოზიტიური დამოკიდებულება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მათი, როგორც მკითხველების ჩამოყალიბებაში (Baker, Scher, & Mackler, 1997; Guthrie, Wigfield, Metsala, & Cox, 1999; Mullis, Martin, Gonzalez, & Kennedy, 2003; Mullis, Martin, Kennedy, & Foy, 2007). ბავშვები, რომელთაც უყვართ კითხვა და რომლებიც მიიჩნევენ, რომ კარგი მკითხველები არიან, უფრო ხშირად კითხულობენ და კითხვაში უფრო მაღალი მიღწევის დონით გამოირჩევიან, ვიდრე მათი დანარჩენი თანატოლები (Guthrie, Hoa, Wigfield, Tonks, Humenick, & Littles, 2006; Wigfield & Guthrie, 1997; Wang & Guthrie, 2004). მკვლევრების მიერ აღიარებულია, რომ პოზიტიურ დამოკიდებულებას კითხვის მიმართ მივყავართ კითხვასთან დაკავშირებულ პოზიტიურ გამოცდილებამდე, რის შედეგსაც მაღალი აკადემიური მოსწრება წარმოადგენს (Partin, Gillespie Hendrix, 2002).

ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში გამარჯვებული ნაწარმოებები

„შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფმა 2015 წლის სასწავლო ოლიმპიადის მე-3 ტურში გადასულ მოსწავლეებს ამგვარი დავალება შესთავაზა:
შეურჩიეთ სათაური ამ ფოტოს და დაწერეთ მოთხრობა, ჩანახატი ან მინიატურა.

გთავაზობთ გამარჯვებულ მოსწავლეთა ნაწარმოებებს:

„ანგელოზივით ბავშვია...“

„საკმარისია!“ – დავიყვირე მჭახედ, კიდევ ერთხელ მტკივნეულად მოვიჯახუნე ზურგსუკან კარი და ნაცნობი ტკივილი ვიგრძენი დიაფრაგმასთან. ქალაქი – მთელი თავისი აურზეურით, ყაყანით, შენობებით, ტრანსპორტით, ამ ტარანსპორტში მსხდომი, მოჩვენებას დამსგავსებული ადამიანებით – უკვე ყელში მიჭერდა. მაღალი შენობები სულთამხუთავებივით დამცქეროდნენ თავს, როგორც საღამოობით სახლში მისულს ჩემი ცოლი ელა და პატარა ანაბელი. მათ მზერაში მუდამ საყვედური და უკმაყოფილება იგრძნობოდა დარდიანი, აპათიით შეპყრობილი მამის მიმართ. ისმის კითხვა: რა მჭირდა მე?

ახალგაზრდობაში თავქარიანი, მეოცნებე, თავგადასვლების მაძიებელი წყალწაღებული ოპტიმისტი გახლდით. ყოველდღე ახალ-ახალი ემოციებით დახუნძლულს ფურცლები აღარ მყოფნიდა, ვწერდი დღიურებს, ჩანახატებს, მოთხრობებს. ვცდილობდი, როგორმე შემეცნო საკუთარი თავი და, მასთან ერთად, ჭეშმარიტება. სიმართლე გითხრათ, თავადაც არ ვიცოდი, რას ვგულისხმობდი სიტყვა „ჭეშმარიტებაში“, მაგრამ ახალგაზრდული სისავსით თავბრუდახვეულს მუდამ მესმოდა რაღაც ძახილი სამყაროსგან და მეც ამ ხმას მივყვებოდი ბრმად. თუმცა ძახილი შეწყდა, „ჭეშმარიტების“ ცნებაც ნელ-ნელა შემომეფშვნა ხელში და აღმოვჩნდი პირისპირ რუტინულ, პროგნოზირებად, პასუხისმგებლობებითა და ჩემკენ მომართული მზერებით აღსავსე ცხოვრებასთან. ერთი სიტყვით, მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა. ის, რაშიც ყველა ნორმალური ადამიანი ხედავს კომფორტსა და ბედნიერებას, მაგრამ არა ჩემი, ჯერ კიდევ დაუცხრომელი სული.

სწორედ ასე აღმოვჩნდი საჰარისკენ მიმავალ გზაზე. რა მინდოდა, რას ვეძებდი ამ უკაცრიელ, ცხელ, შემზარავ და იდუმალ ადგილას? ნეტა რას უდნა შეეცვალა ჩემი ცხოვრება? დროებით განმარტოებას?! მოგზაურობას?! უდაბნოს ქვიშას?! რაიმე ახალი აღმსარებლობის ზიარებას?! თუ... ?!

ის, რასაც მე ვეძებდი გაცილებით მარტივი და მოულოდნელი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. თითქოს ღმერთმა დასცინა ჩემს ახირებებს და დამანახა თავისი არსებობის ყველაზე თვალსაჩინო, სათუთი და ნათელი გამოხატულება – ეს იყო ბავშვი.

მზე იწვოდა, ბუღი იდგა და ოაზისამდე ჯერ შორი იყო. ჰორიზონტზე ბურუსში გახვეული არსება დავინახე. ოდნავ მივუახლოვდი და გავარჩიე: 5-6 წლის ქერათმიანი გოგონა ქვიშაში იჯდა. მას საოცრად მშვიდი, გასხივოსნებული იერი ჰქონდა. თითქოს მიწიერი არაფერი გააჩნდა და საცაა ანგელოზებს ცაში უნდა აეტაცათ. გარშემო, არც მეტი, არც ნაკლები, ლომის მოზრდილი ბოკვრები შემოესვა და უცოდველი ღიმილით უმზერდა მათ. ნანახით შეძრული იქითკენ გავექანე, რათა საფრთხისგან მეხსნა, მაგრამ ქვიშა თვალებში მეყრებოდა და ვერ ვმოძრაობდი. ამ გასაჭირში ვიყავი, როცა უარესი

გაკვირვებისგან ადგილზე გავშეშდი: ორი ბოკვერი ბავშვისკენ წავიდა და ისე მიეალერსა, როგორც შვილი დედას. გოგონა ჯერ თათებზე მოეფერა, შემდეგ კი ხელები მოხვია და თავზე მიეალერსა. ბოკვრებიც თამაშ-თამაშით მიახტნენ ზედ და ალერსითვე უპასუხეს. არავითარი აგრესია, შიში და დაძაბულობა, მხოლოდ სითბო და სიყვარული იგრძნობოდა მათ უცოდველ თამაშში. სწორედ მაშინ, სწორედ ამ ზმანებასავით დანახულ ბავშვში, რომელიც იქნებ სულაც მირაჟი იყო, დავინახე მთელი სამყაროს საწყისი, ღვთის სიტყვა, სული და ის გამოუთქმელი რამ, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს. მისი ხელების მოძრაობამ უდაბნოს ქარს გამოატანა რაღაც ნაზი, თავბრუდამხვევი და მომაჯადოებელი. ეს არც სურნელი იყო, არც ხმა, არც გემო, არამედ რაღაც ადამიანისთვის გამოუცნობი ნაპერწკალი, რომელმაც სიცოცხლით ამავსო და ჩამჩურჩულა, რომ ჭეშმარიტება ჩემს ხელთ იყო.

თეთრ, ქათქათა პალატაში გავიღვიძე. სუნთქვა მიჭირდა, აპარატზე ვიყავი შეერთებული. უცებ ყველაფერი გამახსენდა: როგორ ვიწექი უღონო და ლამის გულწასული ცხელ ქვიშაში, შემდეგ კი მგონი ვიღაც ბედუინმა მიპოვა. ოდნავ წამოვიწიე და პალატის კუთხეში მჯდარი, თოჯინებით მოთამაშე ანაბელი დავინახე. ხმაურზე თავი მოაბრუნა, გაოცებისგან პირი დააღო და სახეანთებულმა წამოიძახა: „მამიკო! რა კარგია, რომ ჩემს დაბადების დღეზე გაიღვიძე!“

დიახ, ასეთი მარტივია ჭეშმარიტება: იგი ჩემი შვილის ანთებულ თვალებშია.

ნინო მუმლაძე
თბილისის 161-ე საჯარო სკოლის მოსწავლე.
I ადგილი

მტაცებელი

ცხელოდა, ცხელოდა...

ხახაგამომშრალი ადამიანივით დაეღოთ პირები ქვიშაში გათხრილ სოროებს. ფხვიერ ტალღებში დაცურავდნენ ქვეწარმავლები. მოქნილი, წვრილი ფეხები, გადმოკარკლული თვალები, შხამიანი ბუსუსები და ათი თვალი – პატარა ცხოველები თითქოს გაეცალნენ ბუნების ორი შვილის უხმო დაპირისპირებას: ცხოველი თუ ადამიანი?

ცხელოდა, ცხელოდა...

გამოფიტული ქვიშა... ზედაპირს სიცხის ალმური ასდის, იკლაკნება გამჭვირვალე ხვატი და ჰორიზონტს ამახინჯებს. ერთმანეთის პირისპირ ზის ორი პატარა – ბავშვი და ბოკვერი. მათი ჯერ კიდევ შეუბღალავი და ნაკადულივით კრიალა თვალები დაჟინებით უცქერენ ერთმანეთს. დიდი ხანია ასე სხედან და უსიტყვოდ ლაპარაკიც ისწავლეს. თვალებით ევედრება გოგონა უწილადოს ნანადირევი პატარა ლომმა. ცხოველი კი ძუნწი ბავშვივით გადაფარებია ხორცის ნაფლეთს. გოგონას ხელები ქვიშაზე ეწვის, მაგარმ ოთხით მიცოცავს ბოკვრისკენ. როგორც უწინ თავის სათამაშოს, ახლა ნამდვილ ცხოველს გაუყარა თითები ოქროსფერ ბეწვში. ცხოველი შეკრთა და კბილები გამოაჩინა. ბავშვი შეცბა. მას ადრეც ენახა კატა, მაგრამ ეს კატაზე დიდი იყო. ის უკვე ძიძგნიდა ლუკმას, პირს ილოკავდა და გოგონასაც ნერწყვი მოადგა. შიმშილმა სძლია შიშს და სანამ ბოკვერი ღეჭავდა, ბავშვი სწვდა დარჩენილ ლუკმას და მანაც პირით, ხელების დაუხმარებლად დაიწყო ჭამა. ჭამდნენ, თან ერთმანეთს თვალს არიდებდნენ, თითქოს რაღაცას ელოდნენ, არ ენდობოდნენ ერთმანეთს.

ცხელოდა, ცხელოდა...

მზემ სისიხლის ლაქებივით მოსცხო სხივები ცას, ჰორიზონტზე სიწითლემ გაჟონა...

კვლავ ერთმანეთის პირისპირ ზის ორი პატარა, ორი ნაშიერი – ერთი ადამიანის, მეორე – ლომის, ორივე დაკარგული... აღარ შიათ, მაგრამ კვლავ ეშინიათ, თვალის ერთი დახამხამებით ცრემლები ჩამოგორდება ბავშვის ლოყაზე და მოწყვეტით ეცემა ქვიშას, რომელიც ხარბად სვამს წვეთებს. ბოკვერიც სუსტად კნავის, ძალაგამოცლილნი მიწაზე ეშვებიან. გამჭვირვალე სიცხე თითქოს სხეულებს ალივლივებს, სიცხის თუ სიზმრის ტალღებმა გადაუარა პატარებს...

ცხელოდა...

ცხელა, მაგრამ როცა მზე ჩაესვენება თავის საუფლოში, ობლად დარენილ ქვეყანას სიცივე დააზრობს. მწერები და ქვეწარმავლები მიწის ცხელ სიღრმეში გაეხვევიან, მაგრამ რას იზამენ გოგონა და ბოკერი? შიმშილმა და სიცივემ პატარა, მაგრამ ძლიერი ცხოველი ნელ-ნელა დააბრუნა სიზმრების ქვეყნიდან. პატარა იყო, უმანკო, სუფთა, მაგარამ მაინც ცხოველი, მაინც მტაცებელი ერქვა. ღმერთმა შემოსა ბეწვით, მისცა ეშვები და ბრჭყალები, რათა ბუნებაში მოხეტიალეს სხვაზე ნადირობით ერჩინა თავი. ახლა რა ქნას, როცა შია, როცა ძალა ელევა, ეშვები ექავება? თბილ, ნორჩ სხეულს გრძნობს გვერდით და სისხლი უდუღდება, კუჭი ეწვის... ცხოველია, ნადირი და ნადავლიც ახლოს ეგულება...

ციოდა, ციოდა...

ქვეყანაზე სიცივე ჩამოწოლილიყო, ქვეწარმავლები ქვიშის ტალღებში დაცურავდნენ...

ქეთი ფილიშვილი
თბილისის სკოლა „პრომეთეს“ მოსწავლე.
II ადგილი

გამოსაშვები გამოცდების დავალებათა ნიმუშები

I. ქართული ენა და ლიტერატურა

1. რომელი არ არის სინონიმები?

ა) ალპინისტი - მთამსვლელი.
ბ) არქიტექტურა - ხუროთმოძღვრება.
გ) ბიბლიოთეკა - წიგნთსაცავი.
დ) კომეტა - თანამგზავრი.

2. რომელ წინადადებაში არ არის სტილისტური ხარვეზი?

ა) ამერიკელმა რეჟისორებმა ამ თემაზე ორი მხატვრული ფილმის გადაღება აწარმოეს.
ბ) არქეოლოგიურ გათხრებს ქართველი და გერმანელი მეცნიერები ერთად აწარმოებენ.
გ) გასულ წელს ახალშექმნილმა კომპანიებმა 10 მილიონი ლარის პროდუქცია აწარმოეს.
დ) ექიმები მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის სამედიცინო შემოწმებას აწარმოებენ.

3. რომელია სწორი?

ა) თხუთმეტიათას რვაას ოცდაცხრამეტი.
ბ) თხუთმეტიათას რვაასოცდაცხრამეტი.
გ) თხუთმეტი ათას რვაასოცდაცხრამეტი.
დ) თხუთმეტი ათას რვაას ოცდაცხრამეტი.

4. რა ტიპის არის წინადადება:

კარგად თუ დააკვირდებით, აუცილებლად დაინახავთ ვიწრო ბილიკზე მიმავალ მგზავრს.

ა) მარტივი.
ბ) შერწყმული.
გ) რთული თანწყობილი.
დ) რთული ქვეწყობილი.

5. იოვანე საბანისძის თხზულებაში „აბო თბილელის წამება“ მსაჯული აბოს ეკითხება:

„რაი ეგოდენი სიტკბოებაი გაქუს ქრისტეის შენისაგან, რომლითა სიკუდიდცა არა გეწყალოს თავი შენი“?

რა უპასუხა აბომ მსაჯულს?

ა) ვერც ერთი მაჰმადიანი ამას ვერ გაიგებსო.
ბ) ირწმუნე ქრისტეს მოძღვრება და თვითონ გაიგებო.
გ) რაკიღა ერთხელ ვაღიარე ქრისტე, რწმენას ვეღარ დავთმობო.
დ) როგორც არ უნდა ეცადო, მაინც ვერ გაიგებო.

6. დატყვევებული ნესტან-დარეჯანი ტარიელს სწერს:

„შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე;
ჩემი მეთქვა: გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი ღონე;
აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვმონე,
ჩემი ყველა აქამდისი ჭირი ლხინსა შევაწონე“.

ნესტანის რა სულიერი მდგომარეობა ჩანს სტრიქონში: „ჩემი მეთქვა: გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი ღონე“?

ა) იმედიანობა.
ბ) სასოწარკვეთილება.
გ) სინანული.
დ) შეუპოვრობა.

7. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“.
რა არის ის, რასაც ადამიანს ვერავინ წაართმევს?

ა) გვარიშვილობა.
ბ) ვაჟკაცობა.
გ) სილამაზე.
დ) ცოდნა.

8. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსიდან „გოგჩა“:

„მაგრამ რა?! დროსა მსვრელის ცელით, ყოვლთა წარმწყმედით,
ციურთა მჯობი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილა!“

რა მხატვრული საშუალებაა „დროის მსვრელი ცელი“?

ა) ალიტერაცია.
ბ) გაპიროვნება.
გ) მეტაფორა.
დ) ჰიპერბოლა.

9. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“.
როგორ შეაფასა ბათუმ საფარ-ბეგის გადაწყვეტილება ცხენის მოპარვის შესახებ?

ა) აზრის გამოთქმას მოერიდა.
ბ) მოუწონა ძუძუმტეს განზრახვა.
გ) ტრადიციის დაცვად მიიჩნია.
დ) უღირს საქმედ მიიჩნია.

10. მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“ ვკითხულობთ:

„კარგა ხანს იდგა გალაჯული ჯაყო ტროტუარზე. გზას აღარავის არ აძლევდა, არავის არ ერიდებოდა, კეტის სისქე კომბალს ანჯღრევდა, ხარხარებდა, რახრახებდა და იქადნიდა: – ფეხებზე გკიდია მეთქი ყველანი ჯაყოსა!“

ჯაყოს ხასიათის რა კონკრეტული თვისება ჩანს ტექსტის ამ მონაკვეთში?

ა) თავხედობა.
ბ) ლაჩრობა.
გ) სიხარბე.
დ) წინდაუხედაობა.

II. ქართული, როგორც მეორე ენა

1. რომელია არასწორი შესიტყვება?

ა) აზრი გამოთქვა.
ბ) ზეიმი გააკეთა.
გ) მუშაობას შეუდგა.
დ) ყურადღება მიაქცია.

2. წაიკითხეთ წინადადება: ბიჭს თვალში მოხვდა მეგობრის უცნაური ცვლილება.
რას ნიშნავს „თვალში მოხვდა“?

ა) გაიაზრა.
ბ) გაუკვირდა.
გ) შეამჩნია.
დ) შეხედა.

3. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) აქედანვე შეუხვიე მარცხნივ, ბაქრაძის ქუჩაზე.
ბ) მარჯვნივ, გაჩერებასთან, პატარა ქუჩა ადის.
გ) მოედანის გადაკვეთა და გადასვლა მომიხდა.
დ) სკოლაში ყოველთვის ფეხით მივდივართ.

4. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) ბევრ ადამიანს უყვარს მზარეულობა და ამას სიამოვნებით აკეთებს.
ბ) გასუფთავებული პროდუქტები მაგიდაზე დავალაგე.
გ) ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების შერჩევა მნიშვნელოვანია.
დ) მზარეული წინასწარ მოამზადა საჭირო პროდუქტები.

5. რომელი კავშირებია გამოტოვებული წინადადებაში?

. . . ყველაფერი გაიგე, . . . დამოუკიდებლად შეასრულე დავალება.

ა) თუ/მაშინ.
ბ) ისე/როგორც.
გ) ისე/რომ.
დ) ის/რაც.

6. რომელ წინადადებაშია გადმოცემული მოქმედების მიზანი?

ა) აქ ჩამოსახლებული გერმანელები საკუთარ სახლებში ცხოვრობდნენ.
ბ) ბავშვებს შრომას აჩვევდნენ, რათა მომავალში ცხოვრება არ გასჭირვებოდათ.
გ) გერმანელთა დასახლებას ჰქონდა სახელოსნოები და მაღაზიები.
დ) ხელოსნობის გარდა გერმანელები სხვა საქმიანობასაც მისდევდნენ.

7. რის შესახებ <u>არ არის საუბარი</u> დიალოგში?

– ნინო, ახალი ფილმი ნახე?
– კი, გუშინ ვნახე. ძლივს ვიშოვე ბილეთი.
– ხომ მოგეწონა?
– ძალიან. რა კარგად ჰყავს რეჟისორს შერჩეული ყველა მსახიობი!
– როგორი ამაღელვებელია ფილმის ბოლო კადრი!
– ნამდვილად. საოცრად სევდიანი და ლამაზი ფინალი აქვს.

ა) ბილეთის ღირებულების შესახებ.
ბ) საკუთარი ემოციების შესახებ.
გ) ფილმის ფინალის შესახებ.
დ) შერჩეული მსახიობების შესახებ.

8. რა არის წერილის ავტორის მიზანი?

გამარჯობა, გიორგი. როგორ ხარ? მე და ნიკამ კარგად ვიმგზავრეთ. მშვენიერ სასტუმროში დავბინავდით. გუშინ საღამოს ქალაქში გავისეირნეთ. ძალიან მომეწონა სუფთა და გამწვანებული ქუჩები. ხალხიც ქართველებივით თბილი და ყურადღებიანია. დღეს დილით სააგენტოში მივედით და ერთ-ერთ ტურისტულ ჯგუფს შევუერთდით. რამდენიმე ძველი უბანი გვაჩვენეს. თითოეულ უბანს საინტერესო ისტორია აქვს. სურათებიც გადავიღეთ. რომ ჩამოვალთ, გაჩვენებ.
შეხვედრამდე, ლადო.

ა) მოსმენილი ისტორიების გაცნობა.
ბ) პირველი შთაბეჭდილების გაზიარება.
გ) სააგენტოს საქმიანობის შეფასება.
დ) ქალაქის დეტალური აღწერა.

9. წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვას.

ლურჯი ვეშაპი ყველაზე დიდი ცხოველია დედამიწაზე. მისი სხეულის სიგრძე 33 მეტრია, მასა 150 ტონას აღემატება. ერთი ლურჯი ვეშაპი საშუალოდ 15-20 ტ. ცხიმსა და 35-40 ტ. ხორცს იძლევა, ამიტომაც მასზე ინტენსიურად ნადირობდნენ. დაახლოებით ოციოდე წლის წინ ოკეანეებში რამდენიმე ათასი ლურჯი ვეშაპი დაცურავდა, მაგრამ დღეს მხოლოდ მცირე ნაწილია დარჩენილი. ამიტომ 1966 წლიდან ლურჯ ვეშაპზე ნადირობა აკრძალულია.

რის გამო აიკრძალა ლურჯ ვეშაპზე ნადირობა?

ა) რადგან ერთი ლურჯი ვეშაპი საშუალოდ 15-20 ტ. ცხიმს იძლევა.
ბ) რადგან ერთი ლურჯი ვეშაპი საშუალოდ 35-40 ტ. ხორცს იძლევა.
გ) რადგან ლურჯი ვეშაპები ყველაზე დიდი ცხოველები არიან.
დ) რადგან ოკეანეებში ლურჯი ვეშაპების რაოდენობა ძლიერ შემცირდა.

10. შეადარეთ ავტობიოგრაფია და CV ერთმანეთს. გაარკვიეთ, ავტობიოგრაფიის რომელი მონაცემი <u>არ არის</u> გამოყენებული მეორე ტექსტში.

ავტობიოგრაფია:
მე, მერი ხუროძე, დავიბადე 1985 წლის 3 აგვისტოს თბილისში. 2003 წელს დავამთავრე თბილისის მე-2 საჯარო სკოლა. 2003-2008 წლებში ვსწავლობდი კონსერვატორიაში. 2009 წლიდან დღემდე ვარ 1-ლი სკოლის მუსიკის მასწავლებელი.

CV (მოკლე ბიოგრაფია):
სახელი, გვარი – მერი ხუროძე;
დაბადების თარიღი – 03. 08. 1985;
განათლება:
2003-2008 – კონსერვატორია,
1991-2003 – თბილისის მე-2 სკოლა;
საქმიანობა:
2009 – 1-ლი სკოლა, მუსიკის მასწავლებელი.

ა) განათლება.
ბ) დაბადების ადგილი.
გ) დაბადების თარიღი.
დ) ვინაობა.

III. უცხოური ენები

ა) გერმანული ენა

Lesen Sie die Sätze und markieren Sie die passende Antwort.

1. Im Sommer _____ Nana einen Abenteuerroman.
A. leste
B. laste
C. las
D. gelesen

2. Gogi wartet vor dem Kino _____ seine Freunde.
A. über
B. zu
C. mit
D. auf

3. Ich weiss noch nicht, _____ wir morgen eine Klassenarbeit schreiben.
A. wenn
B. dass
C. als
D. ob

4. Wir haben einen _____ Kühlschrank gekauft.
A. neu
B. neuen
C. neue
D. neuer

5. Aus unserer Wohnung haben wir eine schöne _____ auf die Altstadt.
A. Aussicht
B. Absicht
C. Vorsicht
D. Rücksicht

6. Zu ihrem Geburtstag will Nino die ganze Klasse _____.
A. eingehen
B. einbilden
C. einladen
D. einkaufen

7. Nach dem Regen sind die Straßen _____.

A. nass
B. glatt
C. trocken
D. bunt

Lesen Sie die Frage und markieren Sie die passende Antwort.

8. Wie geht es deiner Mutter?

A. Leider nicht.
B. Danke, gut
C. Nein, noch nicht.
D. Ja, gern.

Lesen Sie den Text und markieren Sie die passende Antwort.

9. In Deutschland sind Katzen die beliebtesten Haustiere. Kurz danach kommen Hunde. Auf Platz drei der Liste stehen Fische. Auch Vögel sind beliebt. Etwa jeder Zwanzigste hat einen Vogel zu Hause. Zu den Tieren, die die Deutschen nicht zu Hause halten, gehören Schlangen und Krokodile.

Was steht im Text?

A. Vögel sind bei den Deutschen nicht beliebt.
B. Viele Deutsche halten Schlangen zu Hause.
C. Die Deutschen halten keiene Fische zu Hause.
D. Katzen sind bei den Deutschen besonders beliebt.

Lesen Sie den Dialog und markieren Sie die passende Antwort.

10. - Kann ich Ihnen helfen?

- Ja, ich suche eine Bluse Größe 38.
- In welcher Farbe?
- In rosa, bitte.
- Hier sind die Blusen in Ihrer Größe.

Wo findet das Gespräch statt?

A. Im Supermarkt
B. Im Schuhgeschäft
C. Im Kleidergeschäft
D. Im Schreibwarengeschäft

ბ) ინგლისური ენა

Read the sentences and mark the correct choice.

1. Mother Teresa won _____ Nobel Peace Prize in 1979.
A. a
B. an
C. the
D. ---

2. The information I read in the paper _____ very interesting.
A. was
B. were
C. are
D. be

3. I am Sam and this is _____ brother.
A. my
B. hers
C. yours
D. mine

4. If Bob likes your car, he _____ it.
A. buys
B. bought
C. will buy
D. has bought

5. I'm afraid I have _____ my umbrella on the bus.
A. left
B. taken
C. stayed
D. put

6. She is very_____. She speaks four languages.
A. lazy
B. clever
C. stupid
D. unintelligent

7. Bob felt so bad that his parents had to call a _____.

A. photographer
B. singer
C. teacher
D. doctor

Read the question and mark the correct choice.

8. Why don't we jump with a parachute?

A. What a good idea!
B. He is a parachutist.
C. I enjoy jumping.
D. Is it serious?

Read the dialogue and mark the correct choice.

9. - Have you been here before?
- Yes, of course. I never miss a new exhibition.
- Oh, how nice you brought me here.
- This is one of the richest exhibitions of the 18th century paintings.

Where is the dialogue taking place?

A. In the street
B. At the hotel club
C. At the art gallery
D. At home

Read the text and mark the correct choice.

10. Robin Hood, the hero of children all over the English-speaking world, was the fearless hero who together with his friends lived in Sherwood Forest and spent a lucky and exciting life robbing the rich to help the poor.

Why did Robin Hood rob the rich people?

A. To become rich himself
B. To help his family
C. To live in Sherwood forest
D. To help the poor

გ) რუსული ენა

Прочитайте предложения и выберите правильный вариант ответа.

1. Когда началась война, писательница Агата Кристи начала работать _____

А. к госпиталю
Б. в госпитале
В. с госпиталем
Г. в госпиталь

2. Дети, которые занимаются в детской студии, любят слушать музыку _____

А. русских композиторов
Б. русским композиторам
В. русскими композиторами
Г. русские композиторы

3. Вчера я _____ диск в музыкальном отделе этого супермаркета.

А. покупаю
Б. куплю
В. купить
Г. купил

4. Она сегодня петь не сможет, _____ болит горло.

А. у неё
Б. ей
В. её
Г. к ней

5. Майкл Фарадей первым обнаружил свойство газов _____ электрический ток.

А. упускать
Б. выпускать
В. пропускать
Г. спускать

6. Необходимо _____ заниматься, чтобы хорошо сдать экзамены.

А. сильно
Б. тяжело
В. трудно
Г. много

7. У меня очень сильно болит зуб, надо _____.

А. немного отдохнуть

Б. идти к врачу

В. почитать

Г. пойти погулять

Прочитайте реплику. Выберите правильный вариант ответа.

8. Пожалуйста, помогите мне решить задачу.

А. Извините

Б. Спасибо

В. Охотно

Г. Всего хорошего

Где происходит действие? Выберите правильный вариант ответа.

9. - Простите, Вы не скажете, где ближайший магазин? Я хочу купить минеральную воду.
- Недалеко есть супермаркет. Видите высокий дом? Это театр. Идите к нему, потом поверните направо. У станции метро увидите магазин.
- Спасибо большое!

А. В театре

Б. На станции метро

В. На улице

Г. В магазине

Прочитайте текст. Выберите правильный вариант ответа.

10. В русском селе Палех издавна писали иконы. После революции, когда церкви закрылись, мастера Палеха начали делать сувениры. Расписывали их красками, которые изготавливали по уникальному рецепту из желтка куриного яйца, с добавлением настоящего золота. В наши дни изделия палехских мастеров очень высоко ценят в мире искусства.

Что отличает сувениры из Палеха?

А. Краски для них делают по особой технологии.

Б. Их делают уникальные мастера.

В. Они ценятся на вес золота.

Г. Их изготавливают из куриных яиц.

დ) ფრანგული ენა

Trouvez la bonne réponse.

1. Mon père a des yeux _____.
A. bleux
B. bleus
C. bleues
D. bleu

2. Tout enfant aime _____ maman.
A. son
B. ses
C. sa
D. ta

3. David a 12 ans, il est _____ sixième.
A. en
B. au
C. dans
D. à

4. Les enfants, _____ dans la classe!
A. entres
B. entre
C. entrent
D. entrez

5. J'ai vraiment _____ d'avoir oublié ton anniversaire.
A. envie
B. honte
C. besoin
D. froid

6. Je prends un _____ pour effacer le tableau.
A. gomme
B. craie
C. torchon
D. crayon

7. Ce livre m'a beaucoup _____, tu devrais le lire aussi.

A. aimé
B. ennuyé
C. détesté
D. plu

8. Qu'est-ce qu'il prend au petit déjeuner ?

A. un café
B. un bus
C. un médicament
D. froid

Lisez le dialogue et trouvez la bonne réponse

9.
- **Bonjour, vous désirez?**
- **Je voudrais un hamburger et un grand paquet de frites.**
- **Et quelle boisson ?**
- **Un grand jus d'orange.**
- **Sur place ou à emporter ?**
- **Sur place.**

L'action se passe

A. au fast food
B. à la boulangerie
C. à la crémerie
D. à la poissonnerie

Lisez le texte et trouvez la bonne réponse

10. Les grandes vacances ont commencé. Cette année, nous sommes à Kvariati, dans un petit hôtel. Il fait très chaud, c'est normal en juillet. Chaque matin nous allons à la plage. Nous nageons, bronzons, faisons du ski nautique. Le soir, nous partons pour Batoumi où nous nous promenons sur le boulevard, nous visitons des cafés ou assistons aux concerts à la place Piazza.

D'après le texte, l'action se passe

A. en hiver
B. au printemps
C. en été
D. en automne

IV. ისტორია

1. ვისი საზღვაო ექსპედიციაა ასახული რუკაზე?

ა) ბართოლომეო დიაშის.
ბ) ვასკო და-გამას.
გ) ქრისტეფორე კოლუმბის.
დ) ფერნანდო მაგელანის.

2. რაზე მიუთითებდა XIX საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო საქმეთა რუსულ ენაზე წარმოება?

ა) დეკოლონიზაციის პროცესზე.
ბ) განათლების დონის ამაღლებაზე.
გ) რუსიფიკატორული პოლიტიკის წარმოებაზე.
დ) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებაზე.

3. ძირითადად რა მიზნით გამოსცემდნენ თერგდალეულები ქართულ ჟურნალ-გაზეთებს?

ა) პირადი სამეწარმეო საქმიანობის მხარდასაჭერად.
ბ) საკუთარი მოსაზრებების საზოგადოებისათვის გასაცნობად.
გ) მათში განთავსებული რეკლამებიდან მოგების მისაღებად.
დ) რევოლუციონერებისა და ამბოხებულების მხარდასაჭერად.

4. ვის სამხედრო ბანაკს ასახავს სურათი?



ა) სელჩუკთა.
ბ) ჯვაროსანთა.
გ) მონღოლთა.
დ) მამლუქთა.

5. მეორე მსოფლიო ომის წინ რომელ სახელმწიფოში გამართული მსვლელობაა ასახული ფოტოზე?



ა) გერმანიაში.
ბ) დიდ ბრიტანეთში.
გ) იაპონიაში.
დ) სსრკ-ში.

6. რომელი მოსაზრებაა მართებული, 1848 წელს ევროპაში მომხდარი რევოლუციების შეფასებისას?

ა) რუსეთის დახმარებით რევოლუციური გამოსვლები ჩახშობილ იქნა გერმანიასა და ავსტრიაში, ხოლო საფრანგეთში ბურბონების დინასტია აღდგა.
ბ) ვერცერთ ქვეყანაში აჯანყებულმა რევოლუციონერებმა ვერ შეძლეს წარმატების მიღწევა, თუმცა ზოგიერთ სახელმწიფოში სერიოზული ბრძოლებიც კი მიმდინარეობდა.
გ) რევოლუციონერებმა გაიმარჯვეს მხოლოდ იტალიაში, ხოლო ბელგიაში, გერმანისა და ავსტრიაში ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწიეს.
დ) მხოლოდ საფრანგეთში აღმოჩნდა რევოლუცია წარმატებული, რასაც მონარქიის დამხობა და რესპუბლიკის გამოცხადება მოჰყვა.

7. რომელი სახელმწიფოს მონარქის დასჯაა ასახული სურათზე?



ა) იტალიის.
ბ) საფრანგეთის.
გ) პრუსიის.
დ) ესპანეთის.

8. ვისი იმპერიაა ასახული რუკაზე?

ა) ალექსანდრე მაკედონელის.
ბ) მითრიდატე VI-ის
გ) იულიუს კეისრის.
დ) კონსტანტინე დიდის.

9. რომელი სახელმწიფოების მეთაურები არიან წარმოდგენილნი ფოტოზე?

ა) ბრიტანეთის, აშშ-ის, სსრკ-ის.
ბ) სსრკ-ის, გერმანიის, საფრანგეთის.
გ) აშშ-ის, ბრიტანეთის, საფრანგეთის.
დ) გერმანიის, საფრანგეთის, სსრკ-ის.

10. რუკაზე სამი სხვადასხვა ფერით გამოსახულია მეომარ სახელმწიფოთა ორი ბლოკი და ნეიტრალური სახელმწიფოები. რომელი ომის დროინდელ ვითარებას ასახავს რუკა?



ა) პირველ მსოფლიო ომის.
ბ) მეორე მსოფლიო ომის.
გ) ნაპოლეონის ომების.
დ) ოცდაათწლიანი ომის.

V. მათემატიკა

ამოცანა 1

იპოვეთ უმცირესი ორნიშნა რიცხვი, რომლის 7-ზე გაყოფისას ნაშთში მიიღება 5.

ა) 10.
ბ) 11.
გ) 12.
დ) 16.

ამოცანა 2

ცნობილია, რომ სამი მოცემული რიცხვიდან ერთი არის 5-ის ტოლი და ის, ამავე დროს, უდრის დანარჩენი ორი რიცხვის საშუალო არითმეტიკულს. რას უდრის სამივე რიცხვის საშუალო არითმეტიკული?

ა) 5.
ბ) 1.
გ) 15.
დ) 10.

ამოცანა 3

ერთი ლიტრი საწვავის ფასი 2,5 ლარიდან შემცირდა 2 ლარამდე. რამდენი პროცენტით შემცირდა ერთი ლიტრი საწვავის ფასი?

ა) 15%.
ბ) 20%.
გ) 25%.
დ) 30%.

ამოცანა 4



სურათზე მოცემულია y = f(x) ფუნქციის გრაფიკი. სურათზე დაყრდნობით დაადგინეთ y = f(x) ფუნქციის ნულები, თუ ნახაზზე მონიშნულია ამ ფუნქციის გრაფიკის კოორდინატთა ღერძებთან გადაკვეთის წერტილების კოორდინატები და ფუნქცია განსაზღვრულია [–1; 8] შუალედზე.

ა) x=2 და x=6.
ბ) x=0 და x=3.
გ) x=1 და x=4.
დ) x=–1 და x=8.

ამოცანა 5

$a_1, a_2, \ldots$ გეომეტრიულ პროგრესიაში $a_4 = \frac{1}{5} a_5$. იპოვეთ $\frac{a_6}{a_5}$

ა) 5.
ბ) 1/5.
გ) –5.
დ) –1/5.

ამოცანა 6

ქალაქებს შორის მანძილი 120კმ-ია. რა მანძილია ამ ქალაქებს შორის რუკაზე, რომლის მასშტაბია 1:2 500 000?

ა) 24სმ.
ბ) 4,2სმ.
გ) 4,8სმ.
დ) 2,4სმ.

ამოცანა 7



სურათზე მოცემული მონაცემების მიხედვით დაადგინეთ რამდენით ნაკლებია ∠ *AOB*-ს სიდიდე ∠ *COB*-ს სიდიდეზე?

ა) 10°-ით.
ბ) 20°-ით.
გ) 30°-ით.
დ) 40°-ით.

ამოცანა 8

12 სმ რადიუსის მქონე წრის ცენტრალური კუთხე 45°-ია. რისი ტოლია იმ რკალის სიგრძე, რომელსაც ეს კუთხე ეყრდნობა?

ა) 2π სმ.
ბ) $1{,}5\pi$ სმ.
გ) 3π სმ.
დ) $2{,}5\pi$ სმ.

ამოცანა 9



წრიულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მონაცემები ოლიმპიადაში მონაწილე IX, X, XI და XII კლასელთა რაოდენობების შესახებ. რამდენი XII კლასელი მონაწილეობდა ოლიმპიადაში, თუ მასში მონაწილე IX კლასელების რაოდენობა 250 იყო?

ა) 170.
ბ) 180.
გ) 190.
დ) 200.

ამოცანა 10



კონუსის ღეძული კვეთა ტოლგვერდა სამკუთხედია. იპოვეთ კონუსის ფუძის რადიუსი, თუ მისი სიმაღლე $6\sqrt{3}$ სმ-ია.

ა) 4სმ.
ბ) 1,5სმ.
გ) 3სმ.
დ) 6სმ.

პასუხები:

I. ქართული ენა და ლიტერატურა

1-დ, 2-გ, 3-დ, 4-გ, 5-ბ, 6-ბ, 7-დ, 8-გ, 9-დ, 10-ა.

II. ქართული, როგორც მეორე ენა

1-ბ, 2-გ, 3-გ, 4-დ, 5-ა, 6-ბ, 7-ა, 8-ბ, 9-დ, 10-ბ.

III. უცხოური ენები (გერმანული ენა)

1-C, 2-D, 3-D, 4-B, 5-A, 6-C, 7-A, 8-B, 9-D, 10-C.

III. უცხოური ენები (ინგლისური ენა)

1-C, 2-A 3-A 4-C, 5-A 6-B 7-D 8-A 9-C, 10-D.

III. უცხოური ენები (რუსული ენა)

1-Б, 2-A, 3-Г, 4-A, 5-B, 6-Г, 7-Б, 8-B, 9-B, 10-A.

III. უცხოური ენები (ფრანგული ენა)

1-B, 2-C, 3-A, 4-D, 5-B, 6-C, 7-D, 8-A, 9-A, 10-C.

IV. ისტორია

1-დ, 2-გ, 3-ბ, 4-ბ, 5-ა, 6-დ, 7-ბ, 8-ა, 9-ა, 10-ა.

V. მათემატიკა

1-გ, 2-ა, 3-ბ, 4-ა, 5-ა, 6-გ, 7-ბ, 8-გ, 9-დ, 10-დ.





მთავარი რედაქტორი:

გიორგი მაჭავარიანი

გარეკანის ფოტო:

ოთო გორდელაძე

ნომერზე მუშაობდნენ:

თეიკო ანჯაფარიძე

ქეთი კვიტატიანი

დაკაბადონება:

ლევან მაჭავარიანი

გამომცემლობა:

"კოლორი"

ჟურნალი “Naec.ge” VI ნომერი, მარტი 2015.

შეფასებისა და გამოცდების

ეროვნული ცენტრი

მისამართი: მინდელის N9.

ტელ: 2 47 33 33.

info@naec.ge

www.naec.ge

IMEDI.FM

RADIO IMEDI FM რადიო იმედი

WWW.NAEC.GE

შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

საინფორმაციო მხარდამჭერი

ყოველ სამშაბათს
14 საათსა და 10 წუთზე
წარმოგიდგენთ გადაცემას
„გამოცდებიდან
გამოცდებამდე“
თეიკო ანჯაფარიძესთან ერთად

„შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“ აცხადებს ფოტოკონკურსს!

საკონკურსო ნამუშევრები გამოგზავნეთ ელ. ფოსტაზე: **konkursi@naec.ge 2015** წლის 25 მაისის ჩათვლით;

გამარჯვებული ავტორების ფოტონამუშევრები გამოქვეყნდება ცენტრის ჟურნალის, „**Naec.ge**“-ს სხვადასხვა ნომერში;

სახელის, გვარისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითების გარეშე ნამუშევრები არ მიიღება;

უპირატესობა მიენიჭება ავტორის მიერ გამოგზავნილ იმ ფოტოკოლაჟს, რომელსაც საერთო კონცეფცია და სათაური ექნება. იდეის სიცხადისათვის შეგიძლიათ ფოტოებს დაურთოთ ტექსტიც, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას.

გისურვებთ წარმატებას!

ISSN 2346-7509

მისამართი: მინდელის №9. | ტელ: 2 47 33 33. | info@naec.ge | www.naec.ge